საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№10 (339)
16 – 22 მარტი, 2016
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



## ვინ იყო ალექსანდრე ნადირაძე და რატომ უნდა იყოს მისი სახელობის ქუჩა თბილისში
5

## «მსოფლიოს ლიდერები გვეუბნებიან, ნატოში ვერ მიგიღებთო, და ჩვენ მაინცდამაინც რესპუბლიკელებს რატომ უნდა დავუჯეროთ?!»
6



«აუცილებელია რუსეთთან დიალოგი და ეს იცის ჩვენმა ხელისუფლებამ, მაგრამ ამერიკის განაწყენება არ სურთ, ვაშინგტონი კი მოლაპარაკებას გვიკრძალავს»

## პორნოსიანცე, ანუ ვის ხელშია ბედი ქვეყნისა?

„ამორალურ და გათახსირებულ პიროვნებებს — ლესბოსელებს, მამათმავლებს, ტრანსგენდერებს, ვერცხლისმოყვარულებს, კარიერისტებს და ა.შ. აქტიურად იყენებენ უცხოეთის ქვეყნების სპეცსამსახურები თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად“
8

## «სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, კოალიცია უნდა დაიშალოს»
3



«რესპუბლიკელები ყველანაირად ეცდებიან, ივანიშვილის ხარჯზე უკანა კარიდან აღმოჩნდნენ პარლამენტში»



„ენ-დი-აისა და აი-რა-ის არ აინტერესებს, რას ფიქრობს მოსახლეობა. მათ მიერ გამოქვეყნებული მონაცემები ხშირად არ შეესაბამება სინამდვილეს“
6

## «ნაცმოძრაობამ» დეზინფორმაცია ოსტატობის ხარისხში აიყვანა

## «ოქრუაშვილის სინდრომი» და ამერიკული ტანკები საქართველოში
2

„ხიდაშელის დღევანდელი სტატუსი სიტუაციას ორაზროვანს ხდის. ამიტომ, ალბათ, სასურველია, წინასაარჩევნო პერიოდში თინა ხიდაშელი გადადგეს (მით უმეტეს, რომ მასთან კითხვები არსებობს საგარეჯოს არჩევნების თაობაზე), რათა რადიკალური განცხადებებით ქვეყანას დამატებითი პრობლემები არ შეუქმნას“.



## «დედიკო და დედა ქორწინდებიან»



14

ბავშვებს ჰომოსექსუალების ოჯახში ცხოვრებას ასწავლიან

## ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები და ოკეანის გაღმიდან დაფინანსებული ხლისტები
4

## «ხელისუფლებას ქვეყანაზე რომ ეზრუნა, დღეს არც ამდენი ემიგრანტი ეყოლებოდა საქართველოს და არც ამდენი გაჭირვებული!»
10

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ვაშინგტონს არ ძალუძს, ევროპელი მოკავშირეების წინააღმდეგობა დაძლიოს და საქართველო ნატოში შეიყვანოს. ამ მხრივ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მომავალი სამიტი, 99%-იანი ალბათობით, ისეთივე უშედეგო იქნება, როგორც წინა. ამას კი ქართველი საზოგადოების იმ ნაწილში, რომელსაც ნატოში სწრაფი გაწევრება რეალისტურად მიაჩნია, ისევ იმედგაცრუება და ვაშინგტონის შესაძლებლობების მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულების გავრცელება მოჰყვება. ამერიკელებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ განწყობების თუნდაც ნაწილობრივი კომპენსირება მოახდინონ და სამხედრო ძლიერების დემონსტრაცია ამისთვის საკმაოდ ეფექტიანი საშუალებაა.**

# «ოქრუაშვილის სინდრომი» და ამერიკული ტანკები საქართველოში

**მაისში აშშ-საქართველოს ერთობლივი სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი“ გაიმართება; მან შეიძლება კრემლის მწვავე რეაქცია გამოიწვიოს. საინტერესოა, რა გავლენას მოახდენს ის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე.**



ევროპაში აშშ-ის ჯარების სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ **ბენ ჰოჯესის** ცნობით, სწავლებაში მონაწილეობას, სადესანტო ასეულის გარდა, მიიღებს სატანკო ასეულიც, რომელსაც საქართველოში შავი ზღვის გავლით გადაისვრიან. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოში ამერიკული ტექნიკა შემოვა. მაგალითად, შარშან ანალოგიურ სწავლებაში ამერიკელებმა ქვეითთა საბრძოლო მანქანა „ბრედლის“ 14 ერთეული ჩართეს. ტანკების მცირე რაოდენობა, ერთი შეხედვით, არაფერს ცვლის, თუმცა აქ, ალბათ, ყურადღება პოლიტიკის სიმბოლურ შემადგენელს უნდა მივაქციოთ.

რუსების აღქმაში ტანკი სამხედრო ძლიერების მთავარი სიმბოლოა. აშშ-სა და ბრიტანეთში, რომელთა ისტორიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა საზღვაო უპირატესობამ შეასრულა, სიტუაცია განსხვავებულია, იქ გავლენასა და ძლიერებას ხომალდი (უპირველესად, ავიამზიდი) განასახიერებს.

**საქართველოში ამერიკული ტანკების გამოჩენა, სავარაუდოდ, წყობიდან გამოიყვანს რუს ტელემაყურებლებს და კრემლი, დიდი ალბათობით, საჭიროდ ჩათვლის, მკვეთრი რეაქცია გამოხატოს.** ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ ბალტიის ქვეყნების გამოცდილება — მიუხედავად იმისა, რომ ისინი, დიდი ხანია, ნატოს წევრები არიან, რუსი საზოგადოება უკიდურესად გაღიზიანდა, როდესაც იქ აშშ-ის მძიმე ჯავშანტექნიკა გამოჩნდა (2015 წელს). საზოგადოდ, ეროვნული ფსიქოლოგია საკმაოდ რთული და ბუნდოვანი რამ არის, მაგრამ ფაქტია — **თანამედროვე რუსები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ამერიკული ტანკების გამოჩენას დაახლოებით ისე აღიქვამენ, როგორც მათი წინაპრები გერმანული ტანკების გარღვევას სმოლენსკთან და ეს ის შემთხვევაა, როდესაც სიმბოლოების ომმა შეიძლება პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს.**

ვაშინგტონს არ ძალუძს ევროპელი მოკავშირეების წინააღმდეგობა დაძლიოს და საქართველო ნატოში შეიყვანოს, ამ მხრივ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მომავალი სამიტი, 99%-იანი ალბათობით, ისეთივე უშედეგო იქნება როგორც წინა. ამას კი ქართველი საზოგადოების იმ ნაწილში, რომელსაც ნატოში სწრაფი გაწევრება რეალისტურად მიაჩნია, ისევ იმედგაცრუება და ვაშინგტონის შესაძლებლობების მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულების გავრცელება მოჰყვება. **ამერიკელებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ განწყობების თუნდაც ნაწილობრივი კომპენსირება მოახდინონ და სამხედრო ძლიერების დემონსტრაცია ამისთვის საკმაოდ ეფექტიანი საშუალებაა. მათთვის კარგი იქნებოდა, ქართველებს ყველა პრობლემა „მხდალ ევროპელებთან“ დაეკავშირებინათ, ხოლო ძია სემი მათ ფონზე „ღირსეულ პარტნიორად“ წარმოჩენილიყო** (სწავლებასაც ასე უწოდეს). ამ შემთხვევაშიც **„აბრამსები“ სიმბოლურ სივრცეში ოპერირების ინსტრუმენტად გვევლინება. ეს ტანკები საქართველოს მთავრობას, უპირველესად კი, მის რადიკალურად განწყობილ პროდასავლურ ნაწილს შესაძლებლობას მისცემს, დროებით დაარწმუნონ ამომრჩევლები, რომ პარტნიორობას ხელშესახები შედეგი მოაქვს.**

არის კი უსაფრთხო ასეთი პოლიტიკა? **მიხეილ სააკაშვილი რეალურსა და წარმოსახვითს ერთმანეთისგან არ განასხვავებდა და რაღაც მომენტში ჩათვალა, რომ ამერიკელების ზოგიერთი სიმბოლური ჟესტი უპირობო მხარდაჭერის გარანტია იყო. ეს 2008 წლის კატასტროფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა გახდა; სააკაშვილს სრულიად სერიოზულად სჯეროდა, რომ კრიტიკულ მომენტში აშშ საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთვებოდა. დღევანდელ ხელისუფლებას, მისი ყველა მინუსის მიუხედავად, პოლიტიკურ შიზოფრენიაში ასე ღრმად არ შეუტოპავს. თუმცა არის ერთი მიმართულება, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.**

უცნაურ სენს, რომელიც ბოლო წლებში თავდაცვის მინისტრებს უტევს, შეიძლება „ოქრუაშვილის სინდრომი“ ვუწოდოთ. რაღაც მომენტში ისინი თითქოს კარგავენ რეალობის ადეკვატური აღქმის უნარს და აკეთებენ განცხადებებს, რომლებზეც უცხოეთში საკმაოდ ნერვულად რეაგირებენ. ჯერ იყო **ირაკლი ოქრუაშვილი**, რომელიც გვპირდებოდა, რომ ახალ წელს ცხინვალში შეხვდებოდა და რუსეთისთვის უკიდურესად შეურაცხმყოფელ განცხადებებს აკეთებდა. შეგვიძლია, ასევე, გავიხსენოთ (თავი დავანებოთ კეზერაშვილს მისი იდეებით „დაჟანგულ რუსულ ტანკებზე“ და შაშკინზე დრო არ დავხარჯოთ) **ირაკლი ალასანიას** მოწოდება საქართველოში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ელემენტების განლაგების შესახებ, რომელიც ხელისუფლების პირველ პირებთან შეთანხმებული არ იყო და, როგორც შემდგომი კომენტარებიდან ჩანდა, ამერიკელებისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. ეს იყო „კერძო“, მთავრობისგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმართვის უნიკალური შემთხვევა. შემდეგ ავანსცენაზე **თინა ხიდაშელი** გამოვიდა, რომელმაც გააკეთა ძალზე უხერხული კომენტარი ლენინგრადის ბლოკადაზე. ამის შემდეგ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ **გრიგორი კარასინმა** განაცხადა, რომ ხიდაშელის განცხადებები „ყველა ზღვარს სცილდება“. საქართველოს საგარეო საქმეთა იმჟამინდელი მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი** საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და იძულებული შეიქნა, ეთქვა: „მე არ მჯერა, თინას ეთქვას რაიმე ასეთი“. „ლენინგრადის ბლოკადა იყო გმირობის მაგალითი და ის ხელშეუხებელია“, — დასძინა კვირიკაშვილმა. შემდეგ თინა ხიდაშელმა განაცხდა: „თანამედროვე ცივილიზებული სამყარო პრაქტიკულად შეთანხმებულია, რომ ორი მთავარი გამოწვევის წინაშე ვდგავართ. ეს არის „ისლამური სახელმწიფო“ და რუსეთი. საინტერესოა, შეესაბამება ეს განცხადებები მთავრობის კურსს, რომელიც რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციას ითვალისწინებს.

**რატომ ემართება ეს მაინცდამაინც თავდაცვის მინისტრებს „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში?** — საზოგადოდ, **იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის სიახლოვე ინფანტილურ ადამიანებში ყოვლისშემძლეობის ილუზიას აჩენს და საკუთარ თავზე გადაჭარბებულ წარმოდგენას უქმნის. ამასთანავე, თავდაცვის მინისტრებს მუშაობა უცხოელ პარტნიორებთან, კერძოდ კი, ამერიკელებთან, მჭიდრო კონტაქტში უწევთ. შესაძლოა, ისინი მიიჩნევენ, რომ, რაც უფრო რადიკალურები იქნებიან რუსეთის მიმართ, მით მეტ ქულას დაიწერენ დასავლელი პარტნიორების თვალში (ეს შეცდომაა). ნებისმიერ შემთხვევაში, იმის ალბათობა, რომ თინა ხიდაშელი შეეცდება მომავალი ქართულ-ამერიკული სწავლება „ღირსეული პარტნიორი“ ანტირუსულ დემონსტრაციად გადააქციოს, წინარე განცხადებების გათვალისწინებით, საკმაოდ მაღალი ჩანს.**

ეს პროცესები, ალბათ, უფრო ფართო კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ბოლო თვეებში გაიმართა ერთგვარი „შეჯიბრება“ ევროკავშირსა და რუსეთს შორის, — ერთმა გაამარტივა სავიზო პროცედურები, მეორემაც იგივე გააკეთა და, სავარაუდოდ, ვიზების გაუქმების შემთხვევაშიც ანალოგიური რამ მოხდება. **მიუხედავად იმისა, რომ კონტინენტზე „სანქციების ომი“ მძვინვარებს, საქართველოს ყველასთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა აქვს და ახლო მომავალში შეიძლება დამატებითი პრეფერენციები მიიღოს. გამორიცხული არ არის, გარემოებათა თანხვედრის გამო, რაღაც მომენტში იმავე სიტუაციაში აღმოვჩნდეთ, რომელშიც ფინეთი „ცივი ომის“ წლებში, რომელიც ბონუსებს როგორც აღმოსავლეთისგან, ისე დასავლეთისგან იღებდა. ეს არ გადაწყვეტს ყველა პრობლემას, მაგრამ შეიძლება საკმაო სარგებელი მოგვიტანოს.** ამასთანავე, რუსეთისა და ევროკავშირის სავსებით მშვიდობიანი კონკურენციის ფონზე ჩინეთმა რეგიონში ახალი სატრანზიტო პროექტები დაიწყო, ჩინური კომპანიები სულ უფრო მეტ პროექტში ერთვებიან. **ასეთ სიტუაციაში ვაშინგტონმა თავი, შესაძლოა, „თამაშგარე მდგომარეობაში“ იგრძნოს. მის პოლიტიკას საქართველოში მძიმე ტვირთად აწევს შეფერხებული ინტეგრაცია ნატოში და სააკაშვილის რეჟიმის მხარდაჭერა ბუშის ადმინისტრაციის მიერ, რომელიც ბევრ ქართველს დღემდე მწარედ ახსოვს. მაგრამ, თუ თეთრი სახლი მოახერხებს თამაშის წესების შეცვლას და „ცივი ომის“ ლოგიკის ფარგლებში მოქცევას, შესაძლებლობა მიეცემა, კონკურენტები ჩამოიტოვოს.** ამ მხრივ „აბრამსების“ კოლონამ შეიძლება ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულოს.

„ცივი ომის“ „მთელი მუღამი“ ამ შემთხვევაში ისაა, რომ ის ევროპელებს ამერიკელებზე დამოკიდებულს ხდის. მოქმედების ალგორითმი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: **ა) მოქმედება, რომელიც კრემლს გააღიზიანებს და მოახლოებული საფრთხის განცდას გაუჩენს; ბ) კრემლის გადასვლა კონფრონტაციულ პოლიტიკაზე და შესაბამის ინსტრუმენტებზე; გ) საფრთხიდან გამომდინარე, რეგიონში ევროპული პოლიტიკის დაქვემდებარება ამერიკულისადმი, პლუს ამას, ბონუსის სახით; დ) სამხრეთ კავკასიაში პეკინის გავლენის ტორპედირება, რომელიც ნელა, მაგრამ განუხრელად იზრდება.**

საქართველოს ხელისუფლება, სავარაუდოდ, შეეცდება, არც ევროპული მწვადი დაწვას და არც ამერიკული შამფური. გამორიცხული არაა, ხიდაშელს შესაძლებლობა მისცენ, ანტირუსულ რიტორიკას მიმართოს, ხოლო მთავრობის სხვა წარმომადგენლები შეეცდებიან, მისი განცხადებები დააბალანსონ. სხვა ქვეყნებში მიჩვეულნი არიან, რომ ნებისმიერი მინისტრის პოზიცია მთავრობის პოზიციას არ ეწინააღმდეგება და სიტუაცია, როდესაც სხვადასხვა მინისტრები ერთმანეთს განცხადებებს „უბალანსებენ“ მათთვის არანორმალურად გამოიყურება. თუმცა **აქ მთავარია ის, რომ ამერიკის ძლიერების დემონსტრირებამ პოლიტიკური ელიტის (და საზოგადოების) ნაწილში არაადეკვატური მოლოდინები და ილუზიები არ გააჩინოს ისე, როგორც ეს ათიოდე წლის წინათ მოხდა. ერთ-ერთი სერიოზული გრძელვადიანი შედეგი, რომელიც ამას შეიძლება მოჰყვეს, საქართველოში „ქორების პარტიის“ ხელახალი ფორმირებაა, თუ გნებავთ — რეინკარნაცია.**

შეიძლება საინტერესო ტრანსფორმაციის მოწმენი გავხდეთ. რესპუბლიკური პარტია როგორც შევარდნაძის, ისე სააკაშვილის მმართველობის წლებში „მტრედების“ ბანაკს მიეკუთვნებოდა და კონფლიქტების დარეგულირების ძალიან რბილ რეცეპტებს გვთავაზობდა. რუსეთზე ცუდს ბევრს ამბობდნენ, მაგრამ, „ნაციონალებისგან“ განსხვავებით, არასოდეს უცდიათ, პოლიტიკა კონფრონტაციული რიტორიკის შესაბამისად წარემართათ. მაგრამ **მას შემდეგ, რაც თინა ხიდაშელმა „ოქრუაშვილის სინდრომისთვის“ დამახასიათებელი იდეების საჯარო გავრცელება დაიწყო, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ „მტრედები“ შეიძლება „ქორებად“ გადაიქცნენ.** ხისტი ანტირუსული რიტორიკა პოპულარულია დასავლეთზე ორიენტირებული ელექტორატის გარკვეულ ნაწილში და მას მხარდამჭერების მოსაზიდად „ნაციონალები“ და დროდადრო ალასანიას „გაერთიანებული დემოკრატები“ იყენებებენ. იმავეს გაკეთება, შეიძლება, რესპუბლიკელებმაც სცადონ და გასაკვირი ამაში არაფერია, უბრალოდ, ხიდაშელის დღევანდელი სტატუსი სიტუაციას ორაზროვანს ხდის. ამიტომ, ალბათ, სასურველია, წინასაარჩევნო პერიოდში თინა ხიდაშელი გადადგეს (მით უმეტეს, რომ მასთან კითხვები არსებობს საგარეჯოს არჩევნების თაობაზე), რათა რადიკალური განცხადებებით ქვეყანას დამატებითი პრობლემები არ შეუქმნას. რაც შეეხება სწავლებას „ღირსეული პარტნიორი“, მასზე საუბრისას, ალბათ, **ზიგმუნდ ფროიდის** ცნობილი ფრაზით უნდა ვიხელმძღვანელოთ — „ხანდახან სიგარა, უბრალოდ, სიგარაა“, შესაბამისად, „სამხედრო სწავლება — უბრალოდ, სამხედრო სწავლებაა“;

**პოლიტიკოსების სპეკულაციები ამ თემაზე საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს.**

**„კოალიციაში პარტიები, ფაქტობრივად, აღარ არსებობენ. ეს პოლიტიკური წარმონაქმნები, უკვე დიდი ხანია, პარაზიტობენ ბიძინა ივანიშვილის რესურსებზე. მათ დაავიწყდათ, რომ ძალაუფლების მთავარი წყარო ხალხია, მაგრამ ხელისუფლებაში ხალხთან კომუნიკაციით დარჩენაზე არც ფიქრობენ. მათ ისევ ბიძინა ივანიშვილის რესურსების ხარჯზე, უკანა კარიდან უნდათ, პოლიტიკაში მოხვდნენ. სწორედ ეს არის უბედურება. შესაბამისად, საკუთარი უსუსურობის განცდა მათ ყველაფრის კადრებისკენ უბიძგებს, ოღონდ კი ივანიშვილის მხრებიდან არ ჩამოვიდნენ“.**

ინტერვიუ

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, კოალიცია უნდა დაიშალოს»

**ვის ეკისრება პასუხისმგებლობა გავრცელებულ ფარულ ვიდეოჩანაწერებზე, რა საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყანა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლების წევრებზე არსებული მაკომპრომეტებელი კადრები უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ხელში აღმოჩნდება და დაიშლება თუ არა კოალიცია „ქართული ოცნება“ — ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი ესაუბრება.**

## «რესპუბლიკელები ყველანაირად ეცდებიან, ბიძინა ივანიშვილის ხარჯზე უკანა კარიდან აღმოჩნდნენ პარლამენტში»



**«საფრთხე, რომ ეს კადრები უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ხელში აღმოჩნდეს, რეალურია»**

**— ბატონო გია, მოგეხსენებათ, ახალხან ინტერნეტში ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი ქალბატონის პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოკადრები გავრცელდა. ამ ფაქტმა, ბუნებრივია, საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ყოფილი და ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები პასუხისმგებლობას ერთმანეთს აკისრებენ. ვინ არის ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი?**

— ამ ყველაფრის მიზეზი ყოფილი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში არსებული სისტემური დანაშაული იყო და, სიმართლე გითხრათ, ეს სისტემა დღესაც არ გამქრალა. რა მეთოდებითაც ყოფილი ხელისუფლების პერიოდში მოქმედებდა ეს სისტემა, ახლაც ანალოგიურ მეთოდებს მიმართავს. **ვითარების გართულების მთავარი მიზეზი კი არის დაუსჯელობის სინდრომი, რადგან არც ერთი ასეთი დანაშაულისთვის არავინ დაუსჯიათ — არც შემსრულებელი და არც დამკვეთი.**

მაგალითისთვის საკმარისია თუნდაც ერთი შემთხვევა: **როდესაც რამდენიმე ხნის წინათ გავრცელდა პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები, მაშინ თითქოს ყველაფერი გაირკვა და, წესით, დამნაშავეც უნდა დასჯილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი დაიჭირეს და მან დამკვეთიც დაასახელა, ვნახეთ, რომ არც ეს საქმე მისულა ბოლომდე. ეს კი დაუსჯელობის სინდრომით დაავადებულ, მახინჯი ფსიქიკის ადამიანებს უბიძგებს, ასეთი ვიდეოკადრები პირადი ან პოლიტიკური მიზნით გამოიყენონ.**

ვხედავთ, რომ ეს ყველაფერი უკონტროლო და შემაშფოთებელ მასშტაბებს იღებს, ხვალ და ზეგ არჩევნები ახლოვდება და რა მოხდება, არავინ იცის. პოლიტიკოსები, გასაგებია, ერთმანეთისკენ გაიშვერენ ხელს, მაგრამ, სანამ ჩვენი საზოგადოება ამა თუ იმ ფაქტზე სწორ რეაგირებას არ ისწავლის, მანამდე ეს პრობლემა ყოველთვის იქნება...

ამას გარდა, ფაქტია, რომ ეს კადრები მხოლოდ ერთ კონკრეტულ მხარეს არ აქვს, არამედ ბევრს.

**— დიახ, ფარული ვიდეოკადრები აქვს რამდენიმე მხარეს და ამ მხარეების ზოგიერთი წარმომადგენელი ქვეყნიდან გაქცეულია. მაგალითად, მეგის ქარდავა ჩანაწერების გამოქვეყნებითაც იმუქრება. სად არის გარანტია, რომ ქარდავა ან კიდევ სხვა ამ კადრებს არ გადასცემს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურს გარკვეული გარიგების, მაგალითად, თუნდაც თავშესაფრის მიღების სანაცვლოდ და ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები შანტაჟის ობიქტებად არ იქცევიან? ასეთ შემთხვევაში ქვეყანა, შესაძლოა, დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს...**

— გამორიცხული არაფერია. თქვენ მართალი ბრძანეთ, მოვლენების განვითარების ბევრი ვარიანტი არსებობს და უამრავი ვერსია შეიძლება განვიხილოთ. სამწუხაროდ, **რეალურია საფრთხე, რომ ეს კადრები უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ხელში აღმოჩნდეს. ასეთი რისკები, ბუნებრივია, არსებობს. ერთი რამ ცხადია: სისტემურ დანაშაულზე ამ ხელისუფლებას პასუხიც მაშინვე უნდა გაეცა.** სამეგრელოში კასრებში აღმოჩენილ ვიდეოფირებზე რომ გაჰყვიროდა ხელისუფლება, ნაცვლად იმისა, რომ ამ კადრების შემოქმედები დაესაჯა, საკითხი მხოლოდ პოლიტიკური რიტორიკისთვის გამოიყენა. ხელისუფლებამ სწორედ მაშინ ჩადო ის ნაღმი, რომელიც ახლა ნელ-ნელა ფეთქდება.

**— როგორ ფიქრობთ, საფრთხის თავიდან ასაცილებლად უნდა გასაჯაროვდეს თუ არა ამ ადამიანების ვინაობა და მათ თანამდებობები დატოვონ?**

— კომპრომატს გააჩნია. ეს დამოკიდებულია იმაზე, რა რისკებს შეიცავს ის. არ არსებობს უნივერსალური მიდგომა, ყველა კონკრეტულ შემთხვევაზე უნდა მიიღონ კონკრეტული გადაწყვეტილება.

ერთი მხრივ, **გასაგებია, რომ ეს ადამიანის პირადი ცხოვრებაა და ამაში არ უნდა ვერეოდეთ, მაგრამ სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებზე ასეთი კომპრომატების არსებობის შემთხვევაში, მათი თანამდებობებზე დატოვება საფრთხის შემცველია.**

**— თუ ბიძინა ივანიშვილის გამოსვლებსა და რეპლიკებს გავიხსენებთ, მას თუ ნანახი არ ჰქონდა, დიდი ალბათობით, იცოდა ფარული ჩანაწერების არსებობაზე და რატომ დანიშნა ეს ადამიანები თანამდებობებზე?**

— არ ვიცი, ივანიშვილმა იცოდა თუ არა, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ეს რისკებიც ექნებოდა გათვალისწინებული. სხვათა შორის, მაშინ მეც ხელისუფლებაში ვიყავი, მაგრამ ამ კადრების არსებობაზე არაფერი ვიცოდი. რაც შეეხება თანამდებობებზე დანიშვნებს, **კოალიციური მმართველობის ერთ-ერთი მინუსი ისიც არის, რომ ყველა პოლიტიკურ პარტიას აქვს თავისი კვოტა, პარტიები წარადგენენ თავიანთ კანდიდატებს და შესაძლო რისკებზეც პასუხისმგებლობას ისინი იღებენ.** ამიტომ, თუ ეს ფაქტები ცნობილი იყო, პარტიებს სხვა კანდიდატები მაინც უნდა წარედგინათ ამა თუ იმ თანამდებობაზე. ეს ყველაფერი შესაძლებელი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

ჩვენ კიდევ არ ვიცით, რა მასშტაბის პრობლემებთან გვაქვს საქმე. შესაბამისად, ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ დაპირება, რომ ასეთი კადრები აღარ გავრცელდება, პრობლემას ვერ გადაჭრის.

**— თქვით, რომ სისტემა არ გამქრალა... რატომ მოხდა ასე? რატომ ვერ აღდგა დაპირებული სამართლიანობა, რამ შეუშალა ხელისუფლებას ხელი?**

— როდესაც უარი განვაცხადე ხელისუფლებაში დარჩენაზე, იმ დღიდან ვამბობ — ერთია რეჟიმის დამარცხება, რომელიც, მართალია, რთული, მაგრამ მაინც ერთჯერადი ამოცანაა და შესასრულებლადაც უფრო იოლი, ვიდრე სისტემის დამარცხება. სისტემა არსად წასულა და ამას ადასტურებს ყველაფერი: **ლევან მურუსიძე — სასამართლოში, გაუგებარი სიტუაცია — პროკურატურასა და პოლიციაში. და საერთოდ, მაღალ თანამდებობებზე ჯერ კიდევ მუშაობენ ადამიანები, რომლებიც მანკიერ სისტემას ემსახურებოდნენ.**

ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ **არსებულმა სისტემამ ხელისუფლება მძევლად აიყვანა. აბა, რა ლოგიკით შეიძლება გავამართლოთ მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნა?!** მართალია, ხელისუფლება თავს იმით იმართლებს, რომ თითქოს სასამართლომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და თვითონ ვერ ჩაერეოდა, მაგრამ სინამდვილეში მურუსიძეს მხარი დაუჭირა იუსტიციის საბჭოში ხელისუფლების მიერ დანიშნულმა სამმა თუ ოთხმა წევრმა. ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და ხელისუფლება ამ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა.

**— ხელისუფლებაში აქამდე არსებული ფარული დაპირისპირებაც „ღია ომში“ გადაიზარდა. „მრეწველებისა“ და რესპუბლიკელების მხრიდან საკმაოდ სერიოზულ ბრალდებებს ვისმენთ ერთმანეთის წინააღმდეგ. პარალელურად ვრცელდება ხმები, რომ „ეროვნული ფორუმი“ კოალიციას დატოვებს. როგორ ფიქრობთ, უახლოეს მომავალში დაიშლება თუ არა კოალიცია?**

— **კოალიციაში პარტიები, ფაქტობრივად, აღარ არსებობენ. ეს პოლიტიკური წარმონაქმნები, უკვე დიდი ხანია, პარაზიტობენ ბიძინა ივანიშვილის რესურსებზე, მათ დაავიწყდათ, რომ ძალაუფლების მთავარი წყარო ხალხია, მაგრამ ხელისუფლებაში ხალხთან კომუნიკაციით დარჩენაზე არც ფიქრობენ. მათ ისევ ბიძინა ივანიშვილის რესურსების ხარჯზე უკანა კარიდან უნდათ, პოლიტიკაში მოხვდნენ. სწორედ ეს არის უბედურება. შესაბამისად, საკუთარი უსუსურობის განცდა მათ ყველაფრის კადრებისკენ უბიძგებს, ოღონდ კი ივანიშვილის მხრებიდან არ ჩამოვიდნენ.**

**ძალაუფლება ადამიანებს რყვნის, მას აქვს თავისი ხიბლი და, „თბილი სკამების“ გამო, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეს ადამიანები ერთმანეთს იტანდნენ. ახლა არჩევნები ახლოვდება, ამ „თბილ სკამებს“ საფრთხე ექმნება და ყველას გაახსენდა, რომ თურმე ერთმანეთი ეზიზღებათ.**

მიმაჩნია, რომ, სწორედ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, კოალიცია უნდა დაიშალოს და კოალიცაიში გაერთიანებულმა ამ პარტიებმა უნდა გაიხსენონ, რომ, პირველ რიგში, ისინი პარტიები არიან, მანდატი პირდაპირ ხალხისგან უნდა მიიღონ და ამის შემდეგ შექმნან კოალიციები. ეს იქნება სახელმწიფოებრივად სწორი და ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი.

**— მაგრამ „ქართული ოცნების“ გარეშე თითოეულ ამ პარტიას — რესპუბლიკელებს, „ეროვნულ ფორუმს“, „მრეწველებს“ და სხვებს — აქვს გამარჯვების შანსი?**

— რა თქმა უნდა, შანსი ცოტა აქვთ, ვინაიდან ის პარტიული რესურსიც კი, რომელიც მათ ადრე ჰქონდათ, მიფანტმოფანტეს, რადგან მთელი ამ წლების განმავლობაში არ მიიჩნევდნენ, რომ ხელისუფლებაში დარჩენა მათი საზრუნავი იყო. გასაგებია, რომ მათ, როგორც პოლიტიკურმა პარტიებმა, დეგრადაცია განიცადეს და დღეს მათი შესაძლებლობები დიდი არ არის.

**— ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარის — დავით ბერძენიშვილის განცხადებით, „ქართული ოცნების“ შემდეგ რესპუბლიკური პარტია „მეორე პარტიაა“.**

— ეს ძალიან უცნაური და შეურაცხმყოფელი განცხადებებია ყველასთვის, რადგან, როდესაც რესპუბლიკელები საკუთარ თავს, ფაქტობრივად, ამ ქვეყნის განვითარების ვექტორის გარანტებად მიიჩნევენ, ძალიან გამაღიზიანებელია. ამ ქვეყანაში რესპუბლიკელებზე უკეთესი გარანტორები არსებობენ, თუნდაც პარლამენტის, პრეზიდენტისა თუ პრემიერის სახით, და რესპუბლიკელები თუ არ იქნებიან, ჩვენ ყველანი, მგონი, ქუდს არ დავიხურავთ და რუსეთში არ გავიქცევით. ასე რომ, რესპუბლიკელების გადაჭარბებული ამბიციები ძალიან გამაღიზიანებელია.

**— „ვიკილიქსის“ მიერ გავრცელებულ ფარულ ჩანაწერში მიხეილ სააკაშვილი თინა ხიდაშელსა და გიორგი მარგველაშვილს მხარდამჭერებად მოიხსენიებს. შესაძლოა, ისინი უახლოეს მომავალში ერთ კოალიციაში ვიხილოთ?**

— გიორგი მარგველაშვილი გამორიცხულია, რადგან მას, როგორც პრეზიდენტს, სხვა ფუნქცია აქვს, ის არის საარჩევნო პროცესის გარანტი და, შესაბამისად, მარგველაშვილი პოლიტიკურად ნეიტრალური იქნება. რაც შეეხება რესპუბლიკელებს, არ ვფიქრობ, რომ ისინი წინასაარჩევნოდ ასე მოიქცევიან, პირიქით — რესპუბლიკელები ყველანაირად ეცდებიან, ბიძინა ივანიშვილის ხარჯზე უკანა კარიდან აღმოჩნდნენ პარლამენტში და იქ უკვე სიტუაციის განვითარების სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. მოგვიანებით პარლამენტში შეიძლება რაღაც გადაჯგუფება მოხდეს, მაგრამ წინასაარჩევნოდ ასეთ კონფიგურაციას არ ველოდები. ეს მათ არაფერს მისცემს. უფრო მოსალოდნელია, ნაციონალებმა რესპუბლიკელებთან მოლაპარაკებები მაშინ გამართონ, როცა პარლამენტში აღმოჩნდებიან.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**16 მარტს ჟენევაში გაიმართება აბაშიძე-კარასინის მორიგი შეხვედრა, რომელზეც, სავარაუდოდ, რუსეთ-საქართველოს პირველ პირთა შესაძლო შეხვედრაზეც იქნება საუბარი და ვნახოთ, რა მოხდება — გამოიჩენს პოლიტიკურ-პრაგმატულ ნებას საქართველოს ხელისუფლება და პროცესი მკვდარი წერტილიდან დაიძვრება, თუ კვლავ დაჰყვება არასამთავრობო თუ სამთავრობო ხლისტების შანტაჟს და ხვალაც ურაპატრიოტული „ვაშას“ ძახილს განვაგრძობთ...**

# ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები და ოკეანის გაღმიდან დაფინანსებული ხლისტები

**ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირებებიდან თითქმის არაფერი რომ არ შესრულებულა, ვწერდი „საქართველო და მსოფლიოს“ ა.წ. 20-26 იანვრის ნომერში (№2) გამოქვეყნებულ წერილში სათაურით „ბიძოკიო“. მაგრამ მაშინ თითქმის არაფერი მითქვამს ერთი ვერ თუ არ შესრულებული დაპირების შესახებ, რომელსაც, ფინანსები კი არა, მხოლოდ მტკიცე პოლიტიკური ნება სჭირდებოდა.**



რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება — აი, ის დაპირება, რომლის ასრულებასაც ეკონომიკურ-სოციალურ საკითხებზე არანაკლები იმედით ელოდა საქართველო, მაგრამ 4 წელიწადია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები კარასინ-აბაშიძის უსახურ ფორმატს ვერ გასცდა. არადა, 2008 წლის ომის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების თვისობრივად ახალ ეტაპზე გასვლის შანსი საკმარისზე მეტი იყო?!

დავსვათ კითხვა — **ვის უფრო სჭირდება ორ ქვეყანას შორის ვითარების ნორმალიზება და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა — აშშ-ს, ანუ ამერიკის შეშფოთებული შტატების მხოლოდ აღშფოთების იმედად მყოფ, ტერიტორიებშემოძარცვულ საქართველოს თუ რუსეთს, რომელსაც სოხუმ-ცხინვალის გასაღები ჯიბეში უდევს?**

პასუხი მარტივია — საქართველოს.

ჰოდა, პარადოქსია, აბა, რა, რომ ამ მიმართულებით იმპულსები, ინიციატივები ყოველთვის მოსკოვიდან მოდიოდა და არა — პირიქით...

გავიხსენოთ რამდენიმე მომენტი:

**ფსიქიკურად გაუწონასწორებელი სააკაშვილის ზეობის ჟამს, 2008 წლის შემოდგომაზე, მაშინ, როდესაც რუსეთის ტანკები პერევში იდგნენ, მიუხედავად სამთავრობო თუ არასამთავრობო ხლისტების წინააღმდეგობისა, ჩვენი ბრძენი პატრიარქი მოსკოვს გაემგზავრა ჯერ კიდევ სტალინის პერიოდში აღსაყდრებული რუსეთის პატრიარქის დაკრძალვაზე, სადაც მას ხაზგასმული მოკრძალება-პატივისცემით შეხვდნენ რუსეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი და პრემიერი ვლადიმერ პუტინი, რომლებმაც კეთილი ნება გამოიჩინეს და, საქართველოს პატრიარქის პატივისცემის ნიშნად, პერევიდან ჯარი გაიყვანეს, მაგრამ რუსის ტანკები მალე უკან შემოგრიხინდნენ, რადგან ტუტუცმა სააკაშვილმა თვითონ მოიწერა ჩვენი უწმინდესი პატრიარქის ნაღვაწი!**

მას შემდეგ, სააკაშვილის რეჟიმის დასასრულამდე უკვე მესამე ვადით არჩეულმა ვლადიმერ პუტინმა არაერთხელ განაცხადა, რომ მატყუარა, მიწაზე მხოხავ, ჰალსტუხჭამია სააკაშვილთან არავითარი ურთიერთობა არ ექნებოდა...

ხელისუფლებაში მეოცნებეთა მოსვლის შემდეგ რუსეთთან ურთიერთობაში საქართველოს სპეციალურ წარმომადგენლად მყისვე დაინიშნა **ზურაბ აბაშიძე** და იმედიც გაჩნდა, რომ ივანიშვილის ხელისუფლება გაბედულ ნაბიჯს გადადგამდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, **კარასინ-აბაშიძის** უსახური ფორმატის ურთიერთობები ბორჯომ-მანდარინის თემას ვერ გასცდა. არადა, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, რუსეთ-საქართველოს პირველი პირების შეხვედრის შეთავაზება პირადად ლავროვ-პუტინისგან საკმარისზე მეტი იყო.

ბოლოს, **2015 წლის დეკემბერში, წლის შემაჯამებელ გრანდიოზულ პრესკონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა „მაესტროს“ შეკითხვაზე პირდაპირ განაცხადა, საქართველოსთან ნებისმიერ საკითხზე საუბრისთვის მზად ვარ, მაგრამ ცხინვალ-სოხუმთან ქართველებმა თვითონ აწარმოეთ პირდაპირი მოლაპარაკება, რომლის ნებისმიერი შედეგი რუსეთისთვის მისაღები იქნებაო.**

**ვის უფრო სჭირდება ორ ქვეყანას შორის ვითარების ნორმალიზება და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა — აშშ-ს, ანუ ამერიკის შეშფოთებული შტატების მხოლოდ აღშფოთების იმედად მყოფ, ტერიტორიებშემოძარცვულ საქართველოს თუ რუსეთს, რომელსაც სოხუმ-ცხინვალის გასაღები ჯიბეში უდევს?**

ის, რომ სამსაათიან ბრიფინგზე, რომელსაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის 1500-მდე ჟურნალისტი ესწრებოდა და იმ მცირეთაგან, რომლებსაც კითხვის დასმის პატივი ერგოთ, საქართველოს ტელეკომპანია „მაესტროც“ იყო და ისიც, რომ ჟურნალისტთათვის გაწყობილ „ალა-ფურშეტზე“ მეგრულ-იმერული ხაჭაპურები დომინირებდა, მრავლისმეტყველი ფაქტი იყო, მაგრამ...

იმავე დღეს აღნავლდნენ ჩვენი არასამთავრობო თუ სამთავრობო ხლისტები, — პუტინს შეეშინდა, ევროპა საქართველოს უვიზო რეჟიმს დაუწესებს და ამიტომ ალაპარაკდა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაზეო(?!).

ამაზე დიდი სიბრიყვე გაგონილა?!

თუმცა, რატომ სიბრიყვე?!

**ეს შეგნებული მტრობაა საკუთარი ქვეყნისა, რადგან ჩვენი ასოები, რომელთა წარმომადგენლებიც ყველა საკვანძო სამინისტროსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც კი არიან ჩანერგილები ე.წ. მრჩევლებად, ოკეანის გაღმიდან გულუხვად დაფინანსებულნი, მათივე დირექტივებიდან გამომდინარე, რჩევებს (წაიკითხე — ბრძანებებს) აძლევენ ჩვენს მინისტრებს, შეინარჩუნონ და გააღრმავონ რუსეთთან კონფრონტაციული რეჟიმი.**

ახლახან კვლავ დაიწყო საუბარი რუსეთ-საქართველოს პირველი პირების შეხვედრის აუცილებლობაზე, რომელსაც ამჯერად ნაცებიც კი იზიარებენ, ოღონდ ერთი პირობით, თუ საქართველოს დეოკუპაციაზე იქნება საუბარი.

დავიწყოთ იქიდან, რომ **პირობების წაყენება, როგორც წესი, ძლიერის პრეროგატივაა და რით არის ძლიერი საქართველო — ამერიკის შეშფოთებული შტატების აღშფოთების იმედით?**

**რუსეთთან მოლაპარაკებისას წინაპირობების წაყენების უფლებას, საკუთარ თავს ევროპის ლიდერი სახელმწიფოები და თვით აშშ ვერ აძლევენ და საქართველო ვის დაჰკარგვია?**

ასე იყო მინსკში ე.წ. ნორმანდიის ოთხეულის მარათონული ღამის მოლაპარაკებისას და ასეა ახლაც — ყირიმის „ანექსიის“ შემდეგ ბარაკ ობამა რომ იქადნებოდა, პუტინს ხელს არ ჩამოვართმევ და რუსეთს იზოლაციაში მოვაქცევო, ეს სულელური განცხადება, ეტყობა, ისე გააკეთა მსოფლიო ლგბტ-პედერასტების ლიდერმა ბარაკმა, რომ მსოფლიო რუკისთვის არ დაუხედავს თორემ პლანეტის 1/6-ზე გადაჭიმული რუსეთის შესახებ ასეთ სიბრიყვეს არ წამოტორტლავდა!

კი, ბატონო, ეკონომიკურმა სანქციებმა დააზარალა რუსეთის ეკონომიკა და ამის გამო დასავლელ ნეოლიბერალებს იმედი ჰქონდათ, სირიაში სამხედრო მოქმედებებისას რუსეთს ქანცი გაუწყდებაო, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ეს იმედი ისევე გაუცრუვდათ, როგორც იმედი, რომ რუსი ხალხი მასობრივად გავიდოდა წითელ მოედანზე და დაამხობდა პუტინის ხელისუფლებას. პირიქით — ზემორე ხსენებულის გამო ვლადიმერ პუტინის რეიტინგმა ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა რუსეთში და უფრო მეტიც, მისი პოპულარობა დღითიდღე მატულობს დასავლეთშიც.

წერილის პათოსიდან გამომდინარე, გთავაზობთ, როგორც შტირლიცი იტყოდა, „ინფორმაციას განსასჯელად“, ანუ ცხელ-ცხელ გამონათქვამებს:

**ბოლო პერიოდში აქტიურად ვრცელდება მოსაზრება რომ იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი არ შეწყვეტს სირიაში „ალ ქაიდას“ შტოს მხარდაჭერას, რუსეთი არათუ არ დარჩება მაყურებლის როლში, არამედ ბოლომდე მიიყვანს ნიკოლოზ მეორეს მიერ დაწყებულ საქმეს და კონსტანტინოპოლს (სტამბულს) ქრისტიანების დაუბრუნებს... ამ ფონზე კი უკრაინის მამა-სეთური** ამერიკის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა** გამოცემა Atlantic-თან ინტერვიუში ამბობს: **„უკრაინა აშშ-ის ძირითად ინტერესს არ წარმოადგენს, რუსეთი კი ყოველთვის ეცდება უკრაინაზე დომინირების შენარჩუნებას, რადგან უკრაინა რუსეთის ინტერესია“...**

**აი, ეს არის აშშ-ის რეალური პოლიტიკა — კიევის მაიდანზე „პერაშკებს“ არიგებდნენ, ქვეყანა დაშალეს და დაანგრიეს და ახლა თურმე უკრაინა აღარ აინტერესებთ?!**

და იქვე:

**„თუ ვინმე ვაშინგტონში ფიქრობს, რომ ყირიმის ან აღმოსავლეთ უკრაინის გამო რუსეთთან ომში უნდა ჩავერთოთ, მათ ეს ძალიან კარგად და მკაფიოდ უნდა ახსნან“**, — თქვა ობამამ.

აი ასე!

ვის ვისი ეშინია, სირიაში გამოჩნდა — ბარაკ ობამა, გუშინ პუტინს ხელს რომ არ ართმევდა, დღეს სირიაში რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობას დათანხმდა...

ეგეც არ იყოს და, **თუ იმაზე ვთანხმდებით, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები კრემლში დევს, წადი, შეხვდი პუტინს ერთი-ერთზე, ამერიკელი „ნადზირატელის“ გარეშე და, რაზეც გინდა, ელაპარაკე. მაინცდამაინც წინასწარ უნდა გაახმაურო, რა დელიკატურ საკითხებზე გექნება საუბარი?**

ისე, კი უნდა გვესმოდეს: გასაღები, რომელიც კრემლში დევს, არც ისეთი ჯადოსნურია, რომ პუტინმა სოხუმ-ცხინვალს საქართველოში დაბრუნება უბრძანოს, აფხაზები და ოსები კი თავქუდმოგლეჯილი გამოვარდნენ ქართველი ჯარისკაცების ამერიკული „ბათინკების“ დასაკოცნად.

**ჩვენ სოხუმ-ცხინვალში კი არ უნდა დავბრუნდეთ, აფხაზები და ოსები უნდა დავიბრუნოთ. ეს კი დღეს და ხვალ, ანუ უახლოეს მომავალში ვერ მოხდება, რადგან მათთან ომების შემდეგ 2-3 თაობა გაიზარდა, რომელთათვისაც სიტყვა „ქართველი“ მხოლოდ მოსისხლე მტერთან ასოცირდება.**

**ის პოლიტიკოსები კი, რომლებიც გაიძახიან, სოხუმ-ცხინვალის დაბრუნების რეცეპტი ჯიბეში მიდევსო, ან რეგვენები, ან დემაგოგები არიან!**

16 მარტს ჟენევაში გაიმართება აბაშიძე-კარასინის მორიგი შეხვედრა, რომელზეც, სავარაუდოდ, რუსეთ-საქართველოს პირველ პირთა შესაძლო შეხვედრაზეც იქნება საუბარი და ვნახოთ, რა მოხდება — გამოიჩენს პრაგმატულ პოლიტიკურ ნებას საქართველოს ხელისუფლება და პროცესი მკვდარი წერტილიდან დაიძვრება, თუ კვლავ დაჰყვება არასამთავრობო თუ სამთავრობო ხლისტების შანტაჟს და ხვალაც ურაპატრიოტული „ვაშას“ ძახილს განვაგრძობთ...

**დავით მხეიძე**

**ჩვენი ასოები, რომელთა წარმომადგენლებიც ყველა საკვანძო სამინისტროსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც კი არიან ჩანერგილები ე.წ. მრჩევლებად, ოკეანის გაღმიდან გულუხვად დაფინანსებულნი, მათივე დირექტივებიდან გამომდინარე, რჩევებს (წაიკითხე — ბრძანებებს) აძლევენ ჩვენს მინისტრებს, შეინარჩუნონ და გააღრმავონ რუსეთთან კონფრონტაციული რეჟიმი**

„ამერიკის დაზვერვამ იცოდა, ვინ იყო ალექსანდრე ნადირაძე. მის მიერ შექმნილ რაკეტებს შეეძლო მსოფლიოს ნებისმიერი წერტილისთვის დაერტყა. ნადირაძის რაკეტებს ამერიკელები ძალიან უფრთხოდნენ, რადგან, სადაც მოისურვებდნენ რუსები, ზუსტად იმ წერტილში შეეძლოთ დაერტყათ. ალექსანდრე ნადირაძე ენციკლოპედიაში უდიდესი მეცნიერის სახელითაა შესული, თუმცა ძალიან მორიდებული კაცი იყო. ზესაიდუმლო სამუშაოს გამო, ვერც საქართველოში ჩამოდიოდა და ვერც ოჯახს აქცევდა ყურადღებას. ძალიან გასაიდუმლოებული პიროვნება გახლდათ, მას მთავრობა იცავდა“.

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ იყო ალექსანდრე ნადირაძე და რატომ უნდა იყოს მისი სახელობის ქუჩა თბილისში

**საქართველომ ბევრი გენიალური ადამიანი აჩუქა მსოფლიოს, მათ შორის, კონსტრუქტორი, გამოყენებითი მექანიკისა და მანქანათმშენებლობის სპეციალისტი, სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, რაკეტმშენებლობის პიონერი რუსეთში ალექსანდრე ნადირაძე, რომელმაც უმძლავრესი ბალისტიკური რაკეტები („ტემპი“, „ტოპოლი“, „პიონერი“, „სკოროსტი“ და სხვ.) შექმნა. ალექსანდრე ნადირაძე, როგორც არაერთი წარმატებული ქართველი, იმ ადამიანებს განეკუთვნება, რომლებიც სამშობლოში დაუფასებელი და პატივდაუდებელია. ჩვენს ქვეყანაში რატომღაც ტენდენციად იქცა იმ მოღვაწეების დაფასება და ხოტბის შესხმა, რომლებსაც საქართველოსთვის არაფერი გაუკეთებიათ. მაგალითად, თბილისში დგას რონალდ რეიგანისა და ჰეიდარ ალიევის ძეგლები, აგრეთვე, არის ჯორჯ ბუშისა და გენერალ ჯონ მალხაზ შალიკაშვილის (რომელმაც მთელი ცხოვრება ამერიკაში გაატარა და ამ ქვეყანას ემსახურებოდა, საქართველოსთვის კი არაფერი გაუკეთებია) ქუჩები...**



1973 წლის 28 აპრილს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის საიდუმლო განკარგულებით, ალექსანდრე ნადირაძეს საშუალო მოქმედების რადიუსის მქონე მობილური სახმელეთო რაკეტული კომპლექსის შექმნა დაევალა. ახალი კომპლექსის — **„პიონერის“** — ორსაფეხურიანი რაკეტის საბრძოლო ბლოკში ინდივიდუალური დამიზნების სამი საბრძოლო ქობინი იყო განთავსებული და თითოეულის სიმძლავრე 1,5 მეგატონას შეადგენდა. „პიონერმა“ პირველი სტარტი 1974 წლის 21 სექტემბერს აიღო. მისი გამოცდა კი 1976 წლის 9 იანვარს, ოცდამეერთე გაშვების შემდეგ, წარმატებით დასრულდა. ამავე წლის 11 მარტს ალექსანდრე ნადირაძის ამ საშუალო მოქმედების მობილური სტრატეგიული სარაკეტო კომპლექსით სსრკ-ის არმია შეიარაღდა. 1977 წლის ბოლოს სტრატეგიული ჯარების განკარგულებაში 18 გამშვები დანადგარი იყო, 1980 წელს — 135, ორი წლის შემდეგ კი — 300. „პიონერის“ გამოჩენამ ნატოს წევრ ქვეყნებში დიდი აურზაური და შეშფოთება გამოიწვია. 1977 წლის 19 ივლისს კი მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტში ალექსანდრე ნადირაძის ხელმძღვანელობით დაიწყო ახალი თაობის მობილურ სტრატეგიული სარაკეტო კომპლექს **„ტოპოლის“** შექმნა. 1983 წლის 8 თებერვალს კომპლექს „ტოპოლის“ რაკეტის პირველი სტარტი შახტიდან განხორციელდა. 1987 წლის 28 აპრილს კი ჩამოყალიბდა ამ კომპლექსით სრულად აღჭურვილი პირველი სარაკეტო პოლკი. ასე რომ, გამომგონებელი ბალისტიკური რაკეტებისა, რომელთა საშუალებით იცავდნენ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს, მათ შორის, საქართველოსაც, და რომლებიც შიშის ზარს სცემდა მტერს, ქართველი ალექსანდრე ნადირაძეა.

**რატომ არ მივაგებთ ასეთ საამაყო ადამიანს სათანადო პატივს და რატომ არის მისი ღვაწლი დაუფასებელი? — ამ თემაზე ვესაუბრეთ საქართველოს გენერალიტეტის მემატიანეს, პუბლიცისტს, ისტორიკოსს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტ ლევან დოლიძეს:**



ალექსანდრე ნადირაძის საფლავი მოსკოვში

**«ალექსანდრე ნადირაძე იყო ზესახელმწიფოს მთავარი კონსტრუქტორი, რომელმაც შექმნა მრისხანე ბალისტიკური რაკეტები... თუ კიდევ შეგვრჩენია ეროვნული სიამაყე, გამორჩენილი ქართველის — ალექსანდრე ნადირაძის სახელი აუცილებლად უნდა დავარქვათ ერთ-ერთ ქუჩას. რა გაუკეთა ბუშმა საქართველოს, მისი სახელობის ქუჩა რომ გვაქვს თბილისში? ეს ხომ საშინელებაა»**



ლევან დოლიძე

— ალექსანდრე ნადირაძე უდიდესი მეცნიერი იყო. მან დაასამთავრა ინდუსტრიული ინსტიტუტი და, როგორც წარჩინებულმა სტუდენტმა, ჩააბარა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტში, სადაც ისე წარმატებით სწავლობდა, რომ საიდუმლო ქარხანაში კონსტრუქტორად დააწყებინეს მუშაობა. **1940 წლიდან მოყოლებული იმდენი შეძლო, რომ მოწინავე პოზიციაზე გავიდა სარაკეტო ტექნიკის შექმნის საქმეში.** იმხანად ამერიკის მთავრობა და საბჭოთა კავშირი უშედეგოდ მართავდნენ მოლაპარაკებებს განიარაღებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტის სტატუსი განსაკუთრებულზე არაფერს მიანიშნებს, სინამდვილეში იქ მსოფლიოში უმძლავრეს რაკეტებს ამზადებდნენ. სწორედ ამ ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ალექსანდრე ნადირაძე. მაღალი ჩინის სამხედროები მას გენერლების გენერალს უწოდებდნენ, მეცნიერები — საბჭოთა მეცნიერების ტვინის ტრესტს. ერთი კაცი რამდენიმე კოლექტივის საქმეს აკეთებდა.

**— თქვით, რომ ამერიკა და რუსეთი უშედეგოდ საუბრობდნენ განიარაღებაზე. როგორი დამოკიდებულება ჰქონდა აშშ-ს ნადირაძის მიმართ?**

— ამერიკელებს არაერთხელ დაუსვამთ საკითხი საბჭოთა კავშირისთვის, — მოგვაშორეთ ნადირაძის რაკეტები. **ამერიკის დაზვერვამ იცოდა, ვინ იყო ალექსანდრე ნადირაძე. მის მიერ შექმნილ რაკეტებს შეეძლო მსოფლიოს ნებისმიერი წერტილისთვის დაერტყა. ნადირაძის რაკეტებს ამერიკელები ძალიან უფრთხოდნენ, რადგან, სადაც მოისურვებდნენ რუსები, ზუსტად იმ წერტილში შეეძლოთ დაერტყათ. ალექსანდრე ნადირაძე ენციკლოპედიაში უდიდესი მეცნიერის სახელითაა შესული, თუმცა ძალიან მორიდებული კაცი იყო. ზესაიდუმლო სამუშაოს გამო, ვერც საქართველოში ჩამოდიოდა და ვერც ოჯახს აქცევდა ყურადღებას. ძალიან გასაიდუმლოებული პიროვნება გახლდათ, მას მთავრობა იცავდა.**

**— როგორც ვიცი, ალექსანდრე ნადირაძე თბილისობაზე დაპატიჟეთ...**

— პირველი ვიყავი, ვინც შეძლო ალექსანდრე ნადირაძესთან გასაუბრება. ჩავდიოდი ხოლმე მოსკოვში და ვეუბნებოდი, რომ აუცილებლად ჩამოსულიყო თბილისობაზე. მოვახერხე და სსრკ-ის იმჟამინდელი ლიდერისგან, **ჩერნენკოსგან,** ავიღე ნებართვა, რომ გამოეშვათ. 5 დღით მისცეს საქართველოში წამოსვლის უფლება და აღფრთოვანებული იყო, როდესაც ჩამოვიდა, პირველ რიგში, კუკიის სასაფლაოზე მოითხოვა წაყვანა, რადგან იქ არიან დაკრძალული მისი მშობლები. ამდენი ხნის ჩამოუსვლელი, დაემხო მშობლების საფლავზე და ცხარე ცრემლით ტიროდა. ძალიან უყვარდა საქართველო, მაგრამ ვერ ახერხებდა სამშობლოში ცხოვრებას... **დანაშაულია ასეთი ქართველის სახელის დავიწყება.**

**— რატომ არის თბილისში ჯონ მალხაზ შალიკაშვილის ქუჩა და არ არის ალექსანდრე ნადირაძის?**

— ნებისმიერი ქართველის სახელობის ქუჩა უნდა გვქონდეს, ვინც კი პლანეტაზე სახელი გაითქვა თავის საქმიანობით. მართლაც, **რატომ არ არის საქართველოში ნადირაძის ქუჩა და რატომ არის შალიკაშვილის? იმიტომ ხომ არა, რომ ნადირაძე საბჭოთა კავშირში მუშაობდა? ჩვენ, ყველა, საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით და რა უნდა ვქნათ — ამოვშალოთ ჩვენი სახელები ისტორიიდან?!** ალექსანდრე ნადირაძე იყო ზესახელმწიფოს მთავარი კონსტრუქტორი, რომელმაც შექმნა მრისხანე ბალისტიკური რაკეტები... **უკვე დიდი ხანია, საქართველოს სათავეში აღარ არიან პატრიოტები, რომლებიც დააფასებენ ასეთ ადამიანებს. თუ კიდევ შეგვრჩენია ეროვნული სიამაყე, გამორჩენილი ქართველის — ალექსანდრე ნადირაძის სახელი აუცილებლად უნდა დავარქვათ ერთ-ერთ ქუჩას. რა გაუკეთა ბუშმა საქართველოს, მისი სახელობის ქუჩა რომ გვაქვს თბილისში? ეს ხომ საშინელებაა...** წინააღმდეგი ვარ აბანოთუბანში ალიევის უზარმაზარი ძეგლისა, სომხებიც ხომ იტყვიან, ჩვენ რა დავაშავეთო და ყველა ეთნოსს გაუჩნდება ძეგლის დადგმის პრეტენზია.

ჩვენ, ქართველებმა, პირველ რიგში, საამაყო მამულიშვილების პატივისცემა და დაფასება უნდა ვისწავლოთ!

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

ცნობისთვის:

ალექსანდრე დავითის ძე ნადირაძე, საავიაციო და სარაკეტო სისტემების კონსტრუქტორი, გენერალ-პოლკოვნიკი, ლენინური პრემიის ლაურეატი (1966), ორგზის სოციალისტური შრომის გმირი (1972, 1982), ოთხგზის ლენინის ორდენოსანი (1968, 1976, 1978, 1982), ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერი (1984), ლენინური (1966) და სახელმწიფო (1987) პრემიების ლაურეატი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1969), პროფესორი (1972), რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ-სოციალისტური რესპუბლიკის დამსახურებული გამომგონებელი (1973), სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი დაიბადა 1914 წლის 20 აგვისტოს გორში. გარდაიცვალა 1987 წლის 3 სექტემბერს. დაკრძალულია მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, სადაც დგას მისი ძეგლი. ალექსანდრე ნადირაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად რუსეთის კოსმონავტიკის ფედერაციისა და მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტის მიერ დაწესებულია აკადემიკოს ალექსანდრე ნადირაძის სახელობის მედალი.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„არასოდეს მომისმენია, ვლადიმერ პუტინს ეთქვას, ქართველებს ტერიტორიების გარდა ყველაფერზე დაველაპარაკებიო. პირიქით, მან განაცხადა, რომ მზად არის, ნებისმიერ თემაზე დაგველაპარაკოს. აუცილებელია რუსეთში ჩასვლა და ეს თვითონაც იციან ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მაგრამ ამერიკის განაწყენება არ სურთ, ვაშინგტონი კი მოლაპარაკებას გვიკრძალავს“.



ვასილ ჭიჭინაძე:

# მსოფლიოს ლიდერები გვეუბნებიან, ნატოში ვერ მიგიღებთო, და ჩვენ მაინცდამაინც რესპუბლიკელებს რატომ უნდა დავუჯეროთ?!

**გასული კვირა ინფორმაციით დატვირთული აღმოჩნდა. ხელისუფლებისა და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა საუბარი რამდენიმე მიმართულებით დაიწყეს: პირველი — უნდა ჩაიწეროს თუ არა კონსტიტუციაში, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა; მეორე და ძალზე მნიშვნელოვანი თემა იყო, უნდა შეხვდნენ თუ არა რუსეთისა და საქართველოს პირველი პირები ერთმანეთს, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა კვლავ ულტიმატუმის ენით დაიწყეს საუბარი და ეს თემაც მინელდა. საინტერესო აღმოჩნდა კვირის ბოლო დღეები, როდესაც ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი ქალბატონის მასზე გაცილებით უმცროს პარტნიორთან გაშმაგებული სექსის ამსახველი ვიდეოჩანაწერი გამოქვეყნდა... ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და იმაზე, კიდევ რისი მომსწრენი გავხდებით წინასაარჩევნოდ, დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე გვესაუბრება.**



**— ბატონო ვასილ, განახლდა საუბარი თემაზე, რომ საქართველოს ხელისუფლების პირველი პირი რუსეთის პირველ პირს აუცილებლად უნდა შეხვდეს, თუმცა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ულტიმატუმის ენას მიმართეს – თუ რუსეთი ექვსპუნქტიან შეთანხმებას არ შეასულებს, რომლის თანახმადაც ოკუპირებული ტერიტორიიდან ჯარი უნდა გაიყვანოს, მაშინ შეხვედრა არ შედგებაო.**

— დიპლომატია არ არის ულტიმატუმის ენით საუბარი, ასეთი დიპლომატია არ არსებობს, მაგრამ, თუ მაინც გინდა ულტიმატუმი წაუყენო ვინმეს, მაშინ უნდა იომო კიდეც, ბრძოლის თავიც უნდა გქონდეს. დიპლომატია მოლაპარაკებით საქმის მოგვარებას ნიშნავს. დიპლომატია მოლაპარაკების ხელოვნებაა.

აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებები მწვანილისა და ღვინის საკითხებს ვერ გასცდა, თუმცა მათ სხვა არც არაფერი ევალებათ.

**ქართველების ყველაზე დიდი ტკივილი არის დაკარგული ტერიტორიები და ბედი უამრავი ქართველისა, რომლებიც მიწაწყალს არიან მოწყვეტილნი, ამიტომ ბუნებრივია, რომ საუბარი რუსეთის პრეზიდენტთან ამაზე უნდა იყოს, მაგრამ, თუ არ ჩახვედი შესახვედრად, აქედანვე, საფუძველშივე თუ მოსპე ყველა შესაძლებლობა, როგორ უნდა გაიგო, რას ფიქრობს იმაზე, რაც შენთვის უპირველესი საზრუნავია.** არასოდეს მომისმენია, **ვლადიმერ პუტინს** ეთქვას, ქართველებს ტერიტორიების გარდა ყველაფერზე დაველაპარაკებიო. პირიქით, მან განაცხადა, რომ მზად არის, ნებისმიერ თემაზე დაგველაპარაკოს. აუცილებელია რუსეთთან დიალოგი და ეს იციან ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მაგრამ ამერიკის განაწყენება არ სურთ, ვაშინგტონი კი მოლაპარაკებას გვიკრძალავს.

**— ვერ დაგეთანხმებით, რადგან უცხოელები გამუდმებით ეუბნებიან საქართველოს მთავრობის წევრებს, რუსეთთან ურთიერთობები მოაგვარეთო...**

— ამას მსოფლიოს გასაგონად ეუბნებიან... და, თუ ეს ასე არ არის, რატომ არ მიდიან ჩვენები მოსკოვში? **თავდაცვის მინისტრად ხიდაშელის დანიშვნა, აგრეთვე, ნაცებთან კოაბიტაცია უსიტყვოდ დაუჯერეს ამერიკის ელჩს და ვაშინგტონს რუსეთთან მოლაპარაკებაზე ეურჩებიან? ეს ხომ სასაცილოა?!**

**— 25 წელია, ხან სინგაპურს ვაშენებთ, ხან — შვეიცარიას, ხან — დუბაის, ამას წინათ კი თედო ჯაფარიძემ ცივი წყალი გადაგვასხა და განგვიცხადა, რომ თურმე ბალტიისპირეთის ქვეყნებს უნდა მივბაძოთ...**

— მიბაძვით ვერც შვეიცარია გავხდებით, ვერც ბალტიისპირეთი და საქართველოც აღარ შეგვრჩება.

**არ მესმის, ამ ქვეყ-** ▶

**«ეს შანტაჟის უმარტივესი გზაა, ამ მეთოდით გააკეთებინებენ ყველაფერს, რასაც მოისურვებენ. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის, რომ კადრები იმ ადამიანების ხელშია, რომლებმაც ქვეყანა დატოვეს. ისინი კი, სავარაუდოდ, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებმა სწორედ ამ კომპრომატებისთვის შეიფარეს»**

ვალერიან გორგილაძე:

# «ნაციონალურმა მოძრაობამ» დეზინფორმაცია ოსტატობის ხარისხში აიყვანა

**მედიაექსპერტთა აზრით, საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი სეგმენტი არ ენდობა მედიას, განსაკუთრებით — ახალ ამბებს პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ. უმეტესობას, აგრეთვე, მიაჩნია, რომ ზოგიერთი მედიასაშუალება მიკერძოებულია და ხელისუფლების ან ოპოზიციის ინტერესებს გამოხატავს. მიუხედავად ასეთი შეფასებებისა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სარგებლობს ქართული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, განსაკუთრებით — ტელევიზიით. შეზღუდული პლურალიზმისა და მრავალფეროვნების პირობებში მოსახლეობა არჩევანის გარეშეა დარჩენილი და უყურებს იმას, რაც მისთვის არის ხელმისაწვდომი. ქართულ მედიაში შექმნილ ვითარებასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებზე სოციოლოგი ვალერიან (ვაკა) გორგილაძე გვესაუბრება:**



— ტრადიციულ, ანუ ბეჭდურ მედიას დიდი კონკურენტი გამოუჩნდა — სოციალური ქსელები, რომლებსაც ხშირად სოციალურ მედიად მოიხსენიებენ. სოციალურ ქსელებს აქვს ის, რაც არ აქვს ტრადიციულ მედიას, ეს არის უკუკავშირი, ინფორმაციის გაცვლა-გაზიარება მომხმარებლებს შორის. ამ თვალსაზრისით სოციალური მედია დიდ კონკურენციას უწევს ტრადიციულ მედიას, ვინაიდან სოციალური მედია ინფორმაციის მოპოვებას გაცილებით ოპერატიულად ახერხებს — რომელიმე პოლიტიკური ან ნებისმიერი სოციალური მოვლენის, მაგალითად, კატასტროფის შესახებ ინფორმაციას, როგორც წესი, პირველ რიგში, ავრცელებენ ბლოგერები, მოქალაქეები, რომლებიც აღჭურვილნი არიან შესაბამისი გაჯეტებით, სხვადასხვა მოწყობილობით და სოციალური მედიის სივრცე სულ უფრო გამჭვირვალე ხდება. ამის გამო **ტრადიციულ მედიას სულ უფრო უჭირს საინფორმაციო ველზე კონტროლის შენარჩუნება და, შესაბამისად, უჭირს მათ, ვინც ფლობს მედიას.** ეს კარგად გამოვლინდა, მაგალითად, გერმანიაში მომხდარი ინციდენტის დროს, როდესაც მიგრანტები აგრესიულად მოექცნენ ადგილობრივ მოსახლეობას. გაზეთები, ტელევიზიები და სააგენტოები ამ ფაქტს რამდენიმე დღის განმავლობაში მალავდნენ, სანამ უშუალოდ მონაწილეებმა არ გაავრცელეს ინფორმაცია მომხდარზე. მსოფლიომ ეს ბლოგერებისგან შეიტყო და არა — მედიისგან.

**— ბევრი ამბობს, რომ საინფორმაციო საშუალებები ხშირად ავრცელებენ დეზინფორმაციას...**

— დეზინფორმაცია ტრადიციული ცოდვაა, რომელსაც ნეგატიური ეფექტები ახლავს და რომელიც აქვს ნებისმიერ კორპორაციას, მათ შორის, მედია კორპორაციასაც. დეზინფორმაცია შეიძლება იყოს შეგნებული ან გაუცნობიერებელი; შეიძლება უკავშირდებოდეს ინფორმაციის არასწორად გაგებას, რადგან **ბევრი რამ არის დამოკიდებული** ▶

**«ენ-დი-აისა და აი-რა-ის არ აინტერესებს, რას ფიქრობს მოსახლეობა. მათ მიერ გამოქვეყნებული მონაცემები ხშირად არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს არის პირდაპირი და ირიბი დადასტურება იმისა, რომ სოციოლოგიაც კი გამოყენებულია პიარელემენტად და საზოგადოებრივ აზრზე მანიპულაციების ჩატარების ინსტრუმენტად»**

**„ენ-დი-აისა და აი-რა-ის არ აინტერესებს, რას ფიქრობს მოსახლეობა. მათ მიერ გამოქვეყნებული მონაცემები ხშირად არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს არის პირდაპირი და ირიბი დადასტურება იმისა, რომ სოციოლოგიაც კი გამოყენებულია პიარელემენტად და საზოგადოებრივ აზრზე მანიპულაციების ჩატარების ინსტრუმენტად“.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀ **ნის ხელისუფლების წამომადგენლები რაზე დავობენ და დრო რაში გაჰყავთ?** რას ჰგავს ის, რომ მთელი თვე საუბრობენ, ჩაიწეროს თუ არა კონსტიტუციაში, ქალისა და მამაკაცის ერთობა რომ არის ოჯახი?! აქ სადავო რა არის, თანაც, თუ ეს უკვე წერია სამოქალაქო კოდექსში, რა მოხდება, რომ კონსტიტუციაშიც ჩაიწეროს? ალბათ, ის, რომ სამოქალაქო კოდექსით მანიპულირება ადვილი შესაძლებელია, ლიბერალებს კი ეს ხელს აძლევს. **საქართველოს არასოდეს უცხოვრია ევროპული, ყოველ შემთხვევაში, ისეთი ევროპული „ღირებულებებით“, რომ ქალი ქალთან წოლილიყოს და კაცი კაცთან. ისტორიის არც ერთ მონაკვეთში არ ყოფილა ჩვენი ქვეყანა ევროპული.**

**მაგალითად იმის მოყვანა, რომ ვახტანგ მეექვსე წერილებს წერდა ვატიკანს და სულხან-საბა საფრანგეთს დახმარებას სთხოვდა, დიდი ვერაფერია.** წერილი რომ მივწერო ამერიკას, ამერიკელი ვიქნები?

**— რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ ყოფილ მაღალჩინოსან ქალბატონზე პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერი გავრცელდა. ფაქტი საზარელია და დანაშაულებრივი, მაგრამ როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა, თანამდებობაზე იყოს ადამიანი, რომელზეც მსგავსი ჩანაწერები მოიპოვება და საშიშია თუ არა ეს ქვეყნისთვის? დიდი ხანია, ასეთი კადრების არსებობის შესახებ ვიცით, ისიც ითქვა, რომ განადგურდა დიდი ნაწილი, მაგრამ, როგორც ჩანს, საჭირო მომენტში ამ კადრებით მანიპულირება შეუძლიათ...**

— ამაზრზენი რამ მოხდა, მაგრამ, როცა პოლიტიკოსი ხარ, გადაწყვეტილებების მიმღები, გამოჩენილი ადამიანი, მეტი თავშეკავება მოგეთხოვება.

საშიშია თუ არა ქვეყნისთვის? გეტყვით, რომ ძალიან საშიშია, **ეს შანტაჟის უმარტივესი გზაა, ამ მეთოდით გააკეთებინებენ ყველაფერს, რასაც მოისურვებენ. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის, რომ კადრები იმ ადამიანების ხელშია, რომლებმაც ქვეყანა დატოვეს, ისინი კი, სავარაუდოდ, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებმა სწორედ ამ კომპრომატებისთვის შეიფარეს.**

დამნაშავეა ამჟამინდელი მთავრობა, რადგან იმ ბინძური ადამიანების დასჯა ვერ შეძლეს, რომლებმაც ფარული ჩანაწერები გადაიღეს. რამდენიმე ათასი ფაილი აღმოაჩინეს და დღემდე არავინ დასჯილა. ერთი ადამიანი მაინც რომ სამაგალითოდ დასჯილიყო, ამ საშინელი ფაქტის მომსწრენი არ ვიქნებოდით. კადრები ჯერ ისევ არსებობს, მაგრამ ვის ხელშია და დამნაშავე ვინ არის?

**არშემდგარი სახელმწიფო ვართ. მოწესრიგებული არაფერი გვაქვს, არც ერთი სამსახური სათანადოდ არ მუშაობს.**

საქართველოს ისტორიის ყველა ეტაპზე რუსეთის მიერ გამოწვდილი დამხმარე ხელი გვახსოვს, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ბედი ერეკლე მეფემ გადაწყვიტა... **რუსეთს ამერიკა ვერ ელაპარაკება ულტიმატუმით, მხოლოდ მოლაპარაკებებს აწარმოებენ და ჩვენ გამოვდექით მაგრები? უმადურობა ცუდია.** ჩვენი ხელისუფლება გამუდმებით ლაპარაკობს, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება, მაგრამ ვერ ვიხსენებ, რუსეთს თავისი დაპირება ჩვენ მიმართ არ შეესრულებინოს.

ვფიქრობ, რუსეთის პრეზიდენტთან შეხვედრა ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უნდა მოხდეს.

მსოფლიოს ლიდერები გვეუბნებიან, ნატოში ვერ მიგიღებთო, და ჩვენ მაინცდამაინც რესპუბლიკელებს რატომ უნდა დავუჯეროთ? იმიტომ, რომ მაღალი ხელფასები აქვთ?

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# როდემდე?!

## მე -18 სამკურნალო დაწესებულებაში კვლავ გრძელდება ავადმყოფ პატიმართა მიმართ ცინიკური დამოკიდებულება

**უკვე დიდი ხანია, საქართველოს მოსახლეობა აღარ ელოდება, რომ დღეს უკვე არაახალი ხელისუფლება ოდესმე იზრუნებს ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენაზე. აშკარაა, რომ ქვეყნის ე.წ. მესვეურები სამართლიანობის აღდგენის იმიტაციასაც კი აღარ ცდილობენ და არ არსებობს სახელმწიფო რაიმე ინსტიტუტი, რომლის საქმიანობაში ოდნავი პროგრესი, წინსვლა შეინიშნებოდეს.
მათ შორის არის სასჯელაღსრულების სისტემა, რომელშიც ყველაზე მწვავედ და მტკივნეულად იჩენს თავს დღევანდელი პრობლემები.**

ეს პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდა, როცა სისტემის სამართავი თითქმის ყველა რგოლის სათავეში დატოვეს და ხშირ შემთხვევაში დააწინაურეს „ნაცმოძრაობის“ დროინდელი ფუნქციონერები, მათ შორის, სასჯელაღსრულების სამინისტროს ე.წ. სამკურნალო დაწესებულების მედპერსონალი მთავარი ექიმის — **ვახტანგ ქერქაძის** „თამადობით“. ეს ის ხალხია, რომელიც ამ დაწესებულებაში აქტიურად „მოღვაწეობდა“ **ბაჩანა ახალაიას** ხელმძღვანელობის პერიოდში, როცა თითქმის ყოველდღე გაჰყავდათ გარდაცვლილი (უფრო სწორად დაღუპული) პატიმრები ამ დაწესებულებიდან და ამ სადიზმისა და უზნეობის გამოაშკარავებამ საბოლოოდ გამარჯვება მოუტანა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში დღევანდელ ხელისუფალთ.

მინდა, მკითხველს მოვუთხრო, რა ხდება მსჯავრდებულთა და პატიმართა მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში, რომელიც მიშა სააკაშვილის დროს გამოირჩეოდა პატიმართა მიმართ ისეთი სასტიკი მოპყრობით, რომელსაც, უპრიანი იქნება, სადიზმი ვუწოდოთ. **მე-18 დაწესებულების სამედიცინო დარგს დღესაც ხელმძღვანელობს ის ადამიანი, რომელიც განაგებდა მას ბაჩანა ახალაის „ბატონობის“ პერიოდში და რომელიც „პირნათლად“ ასრულებდა ნაციონალი „ნევრასტენიკების“ სურვილებსა და ბრძანებებს. უცვლელია სამედიცინო პერსონალიც.**

შედეგიც შესაბამისია. **მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში კვლავ გრძელდება ავადმყოფ პატიმართა მიმართ ცინიკური დამოკიდებულება. მათ მკურნალობა უტარდებათ „სიმბოლურად“, არ სრულდება სპეციალისტთა მითითებები და რეკომენდაციები, რომლებიც გაცემული იქნა სამოქალაქო სამკურნალო დაწესებულებებში; უმძიმეს ავადმყოფებს, რომლებსაც ესაჭიროებათ სასწრაფო ქირურგიული ჩარევა, არ უკეთდებათ ოპერაციები; ხოლო იმის „შიშით“, რომ შესაძლოა, რომელიმე მსჯავრდებული ავადმყოფი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გასაშვები გახდეს, კატეგორიულად აცხადებენ უარს ექსპერტიზის დანიშვნაზე, თუნდაც ამ უარს გამოუსწორებელი (ფატალური) შედეგი მოჰყვეს ისედაც გაუბედურებულ ჩვენი მოქალაქეების მიმართ.** სწორედ ამ კატეგორიის ავადმყოფებს, რომლებსაც, აუცილებელი საჭიროების მიუხედავად, უარი ეთქვათ ოპერაციების გაკეთებაზე, რომლებსაც არ უტარდებათ სათანადო მედიკამენტოზური მკურნალობა და არ ენიშნებათ შესაბამისი ექსპერტიზა, მიეკუთვნება ჩვენი მოქალაქე, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი მსჯავრდებული, 25 წლის **ზვიად მეოტიშვილი.**

**ზვიად მეოტიშვილი, რომელიც 15 წლის იყო, როცა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა, მე-11 წელია, იხდის სასჯელს, მაგრამ, როგორც ყველამ ვიცით, ნაცებისთვის მხოლოდ სასამართლოს განაჩენი და მისი შესაბამისი აღსრულება არ იყო საკმარისი და სრულიად ჯანმრთელი ყმაწვილი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრის შემდეგ (მათ შორის ხსენებულ „სამკურნალო“ დაწესებულებაშიც, სადაც, როგორც ამჟამად, იმ პერიოდშიც მთავარი ექიმის პოსტს ვახტანგ ქერქაძე იკავებდა) სადისტი ბაჩანა ახალაიას ჯალათების „მეცადინეობით“, უმოწყალო ტანჯვა-წამების შედეგად დააინვალიდეს და მიაჯაჭვეს ინვალიდის ეტლს.** გამუდმებული ცემისა და წამების შედეგად იგი დასნეულდა უმძიმესი დაავადებებით: ხერხემლის სვეტის ოსტეოქონდროზით, მე-3, მე-4, მე-5 დისკოპათიით, ამჟამად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესებულია და დაავადებული მალების რაოდენობა მკვეთრად მომატებული (დაავადდა უკვე 11 მალა) ლუმბოიშიალგიით, მარჯვენა ბარძაყის კუნთის ნაწილობრივი დაზიანებით, ობსტრუქციული ურპათიით, შარდ-კენჭოვანი დაავადებით, მარჯვენა შარდსაწვეთის პლასტიკის შ/პ, ქრონიკული ეზოფაგოგასტროდუოდენიტით, კარდიის უკმარისობით, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებით, ბოლქვის დეფორმაციით. გათიშული აქვს ერთი თირკმელი, ხოლო მეორე თირკმელში კენჭების გამო განიცდის საშინელ ტკივილს. აღსანიშნავია მისი ფსიქიკური მდგომარეობაც, რომელიც ასახულია მისთვის დასმულ დიაგნოზშიც — „ემოციურად არასტაბილური პერსონოლოგიური აშლილობით, მიდრეკილი აუტოაგრესიისადმი“. მან აუტანელი ფიზიკური თუ მორალური ტკივილის გამო არაერთხელ სცადა თვითმკვლელობა. ამ ამბავს, **არაერთი თხოვნისა თუ მოთხოვნის მიუხედავად, არც დაწესებულების სამედიცინო პერსონალის და არც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელის — თამთა დემურიშვილის მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია, თუ არ ჩავთვლით ბანალურ პასუხებს — „ავადმყოფს უტარდება საჭირო მკურნალობა და ....“**

2015 წლიდან დღემდე არაერთხელ მივმართეთ განცხადებითა და საჩივრით საქართველოს სახალხო დამცველს, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, მაგრამ არც ამას მოჰყოლია შედეგი. მსჯავრდებულის უმძიმეს მდგომარეობაზე, აგრეთვე, არაერთხელ განვაცხადეთ ტელეკომპანიების — „ობიექტივისა“ და „მაესტროს“ — ეთერშიც, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ოდნავ მაინც გაეუმჯობესებინათ მკურნალობა, დაწესებულების განაწყენებულმა ექიმებმა მედიკამენტების მიწოდება შეუმცირეს უმძიმეს ავადმყოფს და, ჯიბრში ჩაუდგნენ რა უმწეო ადამიანს, თითქმის შეუწყვიტეს სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფ ინვალიდ მსჯავრდებულს ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების მიწოდება, რომლებიც მცირეოდენ შველას ჰგვრიდა მას ძლიერი ტკივილების დროს. **არა მგონია, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში „მოღვაწე“ მედიკოსებისთვის ცნობილი არ იყოს, რომ ასეთი დამოკიდებულება ავადმყოფისადმი, რომელსაც ძლიერი ტკივილების განცდისას არ აწვდიან ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატებს, წამების ტოლფასია.**

ამჟამად მსჯავრდებული ზვიად მეოტიშვილი შიმშილობს და ითხოვს, რომ მიეცეს საშუალება, ისარგებლოს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული „სიცოცხლის“ უფლებით.

როდემდე გაგრძელდება ასე, ბატონებო, როდემდე?!

პატივისცემით, ადვოკატი
**ვლადიმერ კიკნაძე**

◀ **ჟურნალისტის პროფესიონალიზმზე, სწორად აწვდის თუ არა ის ინფორმაციას საზოგადოებას და თავისი ინტერპრეტაციით ხომ არ ახდენს ამ სურათის დეფორმაციას. დეზინფორმაცია არის პროფესიის თანმხლები ნეგატიური აქტივობა, რომელიც ახლავს ნებისმიერ საქმიანობას. დეზინფორმატორი შეიძლება იყოს მასწავლებელიც, რომელიც არასწორ ცოდნას აძლევს მოწაფეს, ექიმი და ასე შემდეგ.**

**„ნაციონალურმა მოძრაობამ“ დეზინფორმაცია ოსტატობის ხარისხში აიყვანა. ხანდახან ისე შემოაპარებენ თავიანთთვის სასურველ ინფორმაციას, რომ ხშირად თვითონაც ვერ ამჩნევენ. აქცენტები, არტიკულაცია რაღაც მოვლენებზე, დეტალების ხაზგასმა, ყურადღების გადატანა — ეს არის ის, რასაც ფლობს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და რასაც ავრცელებს მასთან დაკავშირებული ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ი.**

— ქვეყანაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვება ხოლმე ამერიკული ორგანიზაციების — ენ-დი-აისა და აი-რა-ის — გამოკითხვის შედეგებს. თუ ენდობით ამ ორგანიზაციების ჩატარებულ კვლევებს და რამდენად შეესაბამება მათ მიერ გამოქვეყნებული ციფრები რეალობას?

— მე მაქვს პრეტენზიები ენ-დი-აისა და აი-რა-ის მიმართ. არაერთგზის გამომითქვამს ეს საჯაროდ და ვფიქრობ, რომ მონაცემები, რომლებსაც ავრცელებენ კვლევების მეშვეობით, არ შეესაბამება რეალობას. საინტერესოა ისიც, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა არის მეცნიერება, ანუ სოციოლოგია გამოყენებითი ასპექტით და ეს არის გამოყენებული, როგორც საიფორმაციო ტექნოლოგია. **ენ-დი-აისა და აი-რა-ის არ აინტერესებს, რას ფიქრობს მოსახლეობა. მათ მიერ გამოქვეყნებული მონაცემები ხშირად არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს არის პირდაპირი და ირიბი დადასტურება იმისა, რომ სოციოლოგიაც კი გამოყენებულია პიარელემენტად და საზოგადოებრივ აზრზე მანიპულაციების ჩატარების ინსტრუმენტად.**

**— როგორ შეაფასებთ ინტერნეტში პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოს გამოქვეყნებას. გამავრცელებელთან ერთად არის თუ არა ამაში დამნაშავე ის, ვინც გადაიღო ასეთი შინაარსის ვიდეო?**

— ვინც გამოაქვეყნა, ნამდვილად ამაზრზენი პიროვნებაა, ვინც იღებდა, უფრო ამაზრზენია, ვიდრე ის, ვინც გამოაქვეყნა. სახელმწიფოს ეს არ უნდა დაეშვა და პრემიერმინისტრის განკარგულება არ უნდა იყოს საჭირო იმისთვის, რომ დაიბლოკოს თუ არა გავრცელება. ამ ვიდეოჩანაწერზე მედიის მხრიდან ჯანსაღი რეაქცია იყო, რადგან არც ერთ მედიასაშუალებას არ გამოუქვეყნებია. თუკი პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გამოქვეყნებისთვის სასჯელი არის ერთი წელი პირობითი, ჩემი აზრით, ეს არ არის საკმარისი. საჯელი ასეთი დანაშაულისთვის 5 წელი მაინც უნდა იყოს. **აღმაშფოთა „რუსთავი 2“-ის აღშფოთებამ საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ გადაწყვეტილების გამო, როდესაც სააგენტომ აღნიშნული ვიდეოს ლინკი მიუთითა.** ტელევიზიას, რომელიც წლების განმავლობაში კულტივირებდა ძალადობას, მორალური უფლება არ აქვს, მსგავსი პრეტენზია ვინმეს წაუყენოს. „რუსთავი 2“-ის საქციელი ამაზრზენია. ეს არის ფარისევლობა, როდესაც „ინტერპრესნიუსის“ მთელი საექსპერტო საზოგადოება და მედიასაშუალებები შეესივნენ. ეს არის ლინჩური, აგრესიული ფსიქოლოგიის გამოვლინება, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში სუფევს.

ესაუბრა
**თათია ჯაფარიძე**

დღის თემა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამორალური ადამიანი არც ქვეყანას სჭირდება, არც ხალხს, არც უშიშროების სამსახურს. არავის! ასეთები ჩვენი ქვეყნის მტრების ინტერესის საგანი იყვნენ ყოველთვის და ახლაც ასეა. მათი გამოყენება უცხოეთის სპეცსამსახურების პრაქტიკაში მიღებული და დამკვიდრებული მეთოდია. მით უფრო, თუ ისინი სახელმწიფოს მმართველი ელიტის წარმომადგენლები არიან ან აქვთ მაღალ ეშელონებში მოხვედრის რეალური პერსპექტივა.**

# პორნოსიანსცე, ანუ ვის ხელშია ბედი ქვეყნისა?

**ერთი კვირაა, ჩვენი მასმედია არნახული სიცხარით განიხილავს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრობლემას. თითქოს თანხვედრია საზოგადოებრიობისა და ხელისუფლების პოზიციები, მაგრამ ჭირისა არ იყოს, რომელმაც თავი ვერ დამალა, როგორც ეშმაკი, დეტალებიდან გამოხტება ზნეობრიობის თემა, ანუ ამორალურობის საკითხი. ამორალურობისა, რომელიც პირადი ცხოვრების გარეშე, როგორც რაღაც განყენებული, პირადი ცხოვრებისგან გაუცხოებული არ არსებობს. ზნეობაც და უზნეობაც პირადი ცხოვრებიდან მოდის და ორივე საზოგადოებრივ ცნობიერებაზე აისახება, ოღონდ განსხვავებული ნიშნით. საზოგადოების გახრწნა ინდივიდის ამორალურობიდან იწყება, მრუშობიდან, სიბილწიდან. და თითქოს საკამათო არ უნდა იყოს საზოგადოებრიობის ნეგატიური დამოკიდებულება ასეთი კატეგორიის ადამიანების მიმართ, რაგინდ „პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის“ პრინციპის მოშველიებით შეეცადონ დაინტერესებული ძალები მათ წარმოჩენას ხელისუფლების მიერ დევნილ ადამიანებად. აჟიოტაჟური კამპანია, რომელშიც დღეს ჩართულია ყველა, ვისაც არ ეზარება, ხვალ თუ ზეგ ჩაცხრება, პრობლემა კი დარჩება, პრობლემა, რომელიც სახელმწიფოს უშიშროებასთან არის დაკავშირებული. ამ თემაზე ისაუბრებს დღეს უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე.**



ანზორ მაისურაძე:

**ამორალურ და გათახსირებულ პიროვნებებს — ლესბოსელებს, მამათმავლებს, ტრანსგენდერებს, ვერცხლისმოყვარულებს, კარიერისტებს და ა.შ. აქტიურად იყენებენ უცხოეთის ქვეყნების სპეცსამსახურები თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად**

— თქვენს მკითხველებს, უწინარეს ყოვლისა, მინდა ვუთხრა, რომ **ამორალური ადამიანი არც ქვეყანას სჭირდება, არც ხალხს, არც უშიშროების სამსახურს. არავის! ასეთები ჩვენი ქვეყნის მტრების ინტერესის საგანი იყვნენ ყოველთვის და ახლაც ასეა. მათი გამოყენება უცხოეთის სპეცსამსახურების პრაქტიკაში მიღებული და დამკვიდრებული მეთოდია. მით უფრო, თუ ისინი სახელმწიფოს მმართველი ელიტის წარმომადგენლები არიან ან აქვთ მაღალ ეშელონებში მოხვედრის რეალური პერსპექტივა.**

ეს ერთი. მეორე — ასეთი გარყვნილი პიროვნება თავისი მაგალითით რყვნის საზოგადოებრიობას, რაც ასევე ქვეყნის მტრების წისქვილზე ასხამს წყალს.

ამიტომ ვამბობ დარწმუნებით, რომ ამორალიზმი უნდა დაისაჯოს.

ჩამდენიც და ფარულად ჩამწერიც.

პირადი ცხოვრება, რასაკვირველია, ხელშეუხებელი უნდა იყოს. კაცმა რომ თქვას, შინ რით ხარ დაკავებული, არავის აინტერესებს. ამორალურ ცხოვრებაზეა ლაპარაკი და არა სექსუალურ კავშირზე, რომელიც ბიოლოგიური ინდივიდის ბუნებაშია ჩადებული და შთამომავლობის უწყვეტობის საფუძველთა საფუძველია.

**საქმე ის არის, რომ ასეთ ამორალურ და გათახსირებულ პიროვნებებს — ლესბოსელებს, მამათმავლებს, ტრანსგენდერებს, ვერცხლისმოყვარულებს, კარიერისტებს და ა.შ. აქტიურად იყენებენ უცხოეთის ქვეყნების სპეცსამსახურები თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად.**

საყოველთაოდ ცნობილ მაგალითსაც დაგისახელებთ: „კემბრიჯის ხუთეული“ **(კიმ ფილბი, დონალდ მაკლინი, ენტონი ბლანტი, გაი ბერჯესი და ჯონ კერნკროსი — ა. ს.),** რომელიც დიდ ბრიტანეთში საბჭოთა აგენტურის ფართო ქსელის ბირთვი იყო დიდი ხნის განმავლობაში, კემბრიჯის უნივერსიტეტის გადაბირებული სტუდენტებისგან ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 30-იან წლებში. შემდეგ ეს ახალგაზრდები ინგლისის სახელმწიფო სტრუქტურებში მაღალ თანამდებობებზე დაწინაურდნენ საბჭოთა სპეცსამსახურების ფარული ხელშეწყობით. **ამ კემბრიჯის ხუთეულიდან ზოგი აქტიური მამათმავალი იყო, ზოგი — ფარული, ერთი კი — ალიარებული ჰომოსექსუალი. ამით დააშანტაჟეს და ისინიც წლების განმავლობაში რეგულარულად აწვდიდნენ საბჭოთა დაზვერვას ცნობებს თავიანთი ქვეყნის თუ სხვა ევროპული სახელმწიფოების უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საიდუმლოებათა შესახებ.**

**— ე. ი. ამორალიზმის გასაჯაროებით დაშანტაჟება, როგორც გადაბირების საფუძველი?**

— დიახ, ასეა. მაგრამ ეს კეთდება უმაღლეს პროფესიულ დონეზე, ისე, რომ მსხვერპლი ვერც კი ამჩნევს, როგორ ეხვევა გადაბირების ბადეში, როცა ფაქტის წინაშე აღმოჩნდება, შემდეგ თავის დაღწევა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.

ერთ მაგალითს გავიხსენებ ჩვენი ძველი პრაქტიკიდან. **ერთი თურქი მოღვაწის გადაბირება დააპირეს ჩვენი უშიშროების ორგანოებმა. მიუჩინეს ქალები, უღებდნენ ფოტოსურათებს, ფარულად იწერდნენ. მისი გადაბირების პროცესი რომ დაიწყო და ეს ფოტოები, როგორც მაკომპრომეტებელი მასალები, წინ გაუშალეს, მოკვდა ის კაცი სიცილით: რა მაგარი ვყოფილვარო! წავიღებ, მამაჩემს ვაჩვენებ, ჩემი ვაჟკაცობით დავიტრაბახებო. მისთვის (ეთნიკური თურქისთვის) მრავალ ქალთან ინტიმური კავშირის დამყარება სულაც არ იყო უზნეობა და მრუშობა.**

ამიტომ ვუსვამ ხაზს, რომ პროფესიონალიზმი ამ საქმეში ისევე აუცილებელია, როგორც ნებისმიერ სხვა დარგში, ეგებ, უფრო მეტადაც.

**— საქართველოში თუ იყვნენ ჰომოსექსუალები, რომლებსაც დასაშანტაჟებელი პროვოკაციების მოსაწყობად იყენებდით?**

— არა, არ გვყოლია. ერთხელ დაგვჭირდა და მაშინაც სხვა რესპუბლიკიდან მოვიწვიეთ. **1970-იანი წლების დასაწყისში (არ მახსოვს, ზუსტად როდის) უცხოეთიდან თბილისში ჩამოვიდა ერთი კაცი, რომლის გადმობირებითაც დაინტერესებული იყო უშიშროების საკავშირო კომიტეტი. მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ იგი ჰომოსექსუალია. მოვახერხეთ ისე, რომ მასთან ურთიერთობის დასამყარებლად ჩვენ მიერ ჩამოყვანილი კაცი რუსთაველის პროსპექტზე, კინოთეატრი „სპარტაკი“ რომ იყო, იმის წინ შევახვედრეთ. უცხოელი სასტუმრო „თბილისში“ იყო დაბინავებული. ამ ორმა ერთმანეთს თვალებში რომ შეხედა, იმავე წამს ფერმა ფერი იცნო, ჩაეხუტნენ, ჩაეწასკვნენ და, სასტუმრო „თბილისის“ ნომერში რაც გააკეთეს, საკმარისზე მეტი აღმოჩნდა იმ უცხოელის გადმოსაბირებლად.**

**— მაშინ, მოდით, ამ კუთხით გავარჩიოთ საქართველოში ჩამოყალიბებული ერთი სპეციფიკური მოცემულობა. სააკაშვილ-მერაბიშვილის სპეცსამსახურები საგანგებოდ ნადირობდნენ იმ ადამიანებზე, რომლებიც, ერთი მხრივ, რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ — მათზე მაკომპრომეტებელ მასალებს აგროვებდნენ; მეორე მხრივ, ასეთივე „კომპრებს“ აგროვებდნენ იმათზეც, რომლებსაც ანდობდნენ სახელმწიფო სტრუქტურებში ამა თუ იმ უბნის ხელმძღვანელობას. ამ სიბინძურეს ფარულად იწერდნენ ვიდეო თუ აუდიოფირებზე და ინახავდნენ, საჭიროება დასჯად ქმედებად გამოაცხადა.**

— ასეა.

**— მაგრამ არავინ იძლევა იმის გარანტიას, რომ ამ ჩანაწერების ასლები ქვეყნიდან გატანილი არ აქვთ საქართველოდან გაქცეულ მეგის ქარდავებს.**

— ეგაა სწორედ ის საფრთხე, რომელზეც თქვენი მკითხველების ყურადღება მინდა შევაჩერო. ჯერ ერთი — **დარწმუნებული ვარ, ამ ფირების ასლები მართლაც არსებობს და, თუ მთლიანად არა, დიდი ნაწილი მაინც გატანილია ქვეყნიდან. ეჭვი არავის უნდა შეეპაროს, რომ, როცა დასჭირდებათ, დაუყოვნებლივ გამოიყენებენ ჩაწერილ-გადაღებული ადამიანების დასაშანტაჟებლად და (მიაქციეთ ყურადღება!) ქვეყანაში ვითარების ასარევად, დესტაბილიზაციის გამოსაწვევად, რომლის მოწმენიც ეს ერთი კვირაა, ყველანი ვართ.**

**შეიძლება ითქვას, რომ, როგორც დამარცხებული ფაშისტური კასტისთვის, რომელიც გერმანიიდან არგენტინაში გაიძურწა, პარტიული ფული არსებობისთვის აუცილებელი კაპიტალი იყო, ასეთივე პარტიულ კაპიტალად განიხილება „ნაცებისთვის“ ის ფარული ჩანაწერები, რომლებზეც ვლაპარაკობთ.**

გამორიცხული არ არის, მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ ამ დაყოვნებული მოქმედების ბომბს ისინი გააქტიურობის შემთხვევაში ამ ანკესზე წამოგებულთა დასაშანტაჟებლად.

— ეს საყოველთაოდ ცნობილი სისტემური დანაშაულია, რომელსაც ნაცების ნარჩენები დიდი მონდომებით აფუჩეჩებენ, რაშიც მათ ყბადაღებული კოაბიტაციის პოლიტიკა უწყობს ხელს.

**— დიახ. ფაილები „პირადი ცხოვრების“ ჩანაწერებით, რომლებიც დიდი რაოდენობით იპოვეს დასავლეთ საქართველოში, როგორც გვითხრეს, განადგურდა, ხოლო კანონმა მათი ამა თუ იმ ფორმით გავრცელება-გამოყენე-**

რებენ სპეცსამსახურებში აპრობირებული სქემით: **დღევანდელი ხელისუფლების ყველა შტოში საკმაო რაოდენობით, დაახლოებით მესამედი, არიან ყოფილების ერთგულებით გამორჩეული მოსამსახურენი, რომლებზეც მერაბიშვილის სპეცსამსახურებს შედგენილი ჰქონდათ მაკომპრომეტებელი მასალები. ამ მასალებს გაააქტიურებენ მასმედიის საშუალებით, რომელთა სიმცირეს არ უჩივიან კოაბიტირებით რეანიმირებული სახელმწიფო დამნაშავენი.**

ტელეეკრანებზე, ინტერნეტში გამოჩნდება იმგვარი „ტელეკომპრები“, რომელთა მხოლობითმა რიცხვმა, ანუ ერთადერთმა ფაქტმა ასე აალელვა საზოგადოებრივი აზრი ამ დღეების განმავლობაში.

ეს ერთი ვარიანტი.

მეორე. **ყველა იმ ადამიანის წინააღმდეგ განხორციელდება მუქარა-დაშანტაჟების ღონისძიებები, რომლებშიც იგულისხმება ნაციონალური ხელისუფლების კანდიდატების მხარდაჭერის მოთხოვნა სხვადასხვა ფორმით — აქციებით, გამოსვლებით, მიტინგებით, „ოცნების“ საწინააღმდეგო დემარშებით ელექტრონულ თუ ბეჭდვით მედიაში. ყველა იმ საშუალებით, რომლებიც ინფორმაციულ ომში იგულისხმება და ასე „მშობლიური“ გახდა „კმარას“ პერიოდიდან და რომელმაც ცრულიბერალები და ცრუდემოკრატები მოიყვანა ხელისუფლების სათავეში.**

თუ უარს იტყვიან დამშანტაჟებლების მოთხოვნაზე, მაკომპრომეტებელი ფაქტებით გაჯერდება მასმედია. თქვენ შეგიძლიათ დამარწმუნოთ, რომ ასეთ ხაფანგში მოხვედრილთაგან ვინმე დათანხმდება ბოლო ვარიანტს?

**— არა, რასაკვირველია.**

— ის, რაც რამდენიმე დღის წინათ გაკეთდა (ვიდეოჩანაწერის „იუთუბიზე“ გამოქვეყნებას ვგულისხმობ), ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული. ეს უეჭველია. ერთი კერძო პოლიტიკოსი, რომელიც კარგა ხანია, საქმეს ჩამოაცილეს, სახელმწიფოს ფუნქციონირების რაიმე დაბრკოლების შემქმნელი ვერ იქნებოდა. **„მხილების“ აქტი ოპოზიციური პარტიების დასაშინებლადაც არის გამიზნული, ბიჭები და გოგოები გააფრთხილეს: დათმობთ ოპოზიციონერობას — ყველას გაგიხსენებთ ცოდვებს.**

ხომ ასეა?

**— გეთანხმებით.**

— ბრმა და ყრუ უნდა იყო, ეს რომ ვერ შეამჩნიო.

**— უშიშროების ხელწერას გამორიცხავთ?**

— უშიშროება მოწოდებულია სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და არა „საწოლის ჯაშუშობისთვის“. ამის ოსტატები სააკაშვილის ხელისუფლების ხერხემლად იყვნენ წარმოდგენილები მიშას ზეობის ხანაში.

**ათასობით ჩანაწერი, რომლებიც კასრებში გადამალული იპოვეს, იმის მაჩვენებელიცაა, რომ მაკომპრომეტებელი ქმედება, რომელშიც ამორალურობა იგულისხ- ▶**

# თუ საზოგადოება არ გამოფხიზლდა და უარი არ უთხრა გარყვნილ, აღვირახსნილ და ყურებით დაჭერილ ჰედონისტურ პოლიტიკურ ელიტას და არჩევნებში მორიგ პოლიტიკურ „კერპს“ თუ მივაღებინებთ ხმების 90 პროცენტს, ყველაფერი კვლავ ჩვეულ ჯოჯოხეთურ წრეს დაუბრუნდება.

დღის თემა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀მება, საკმაოდ იყო გავრცელებული, თანაც არამხოლოდ ქალისა და კაცის სექსუალური მრუშობის სახით.**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების მკვეთრ შეცვლას ახასიათებს ამორალიზმის აფეთქება. პოსტსაბჭოთა სივრცეშიც ასე მოხდა. საქართველოში დაბრუნებული ჩემი აწ გარდაცვლილი კოლეგა, უშიშროების გენერალ-მაიორი — **ანზორ ჯაიანი**, რომელსაც საკავშირო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში და საზღვარგარეთ მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა, შეშფოთებული საუბრობდა, რომ ელცინის ხელისუფლებაში მამათმავლების მოძალება სულ უფრო აშკარა ხდებოდა.

ანზორი წუხდა: თუ საქართველოს ხელისუფლებაშიც ისინი მოვლენ, კარგად მეყოლეთო!

ჩვენი თაობის ადამიანებს ახსოვთ, რომ ხელმძღვანელ თანამდებობაზე არავის ნიშნავდნენ სახელმწიფო უშიშროების რეკომენდაციის გარეშე. ჩვენ შევისწავლიდით ყოველმხრივ ამ ადამიანს, მის წარსულს, პროფესიონალიზმს, კავშირებს, ქმედუნარიანობას, მორალურ მახასიათებლებს ოჯახსა თუ საზოგადოებაში. ეგ კი არა, „გენეტიკურ წარმომავლობასაც“ ვამოწმებდით — წინაპრებში ჰყავდა თუ არა ვინმე ფსიქიკურად დაავადებული. ფაქტია, რომ ამორალურობა, უწინარეს ყოვლისა, ფსიქიკის პრობლემებიდან მოდის, რომ არამდგრადი ფსიქიკა ექსტრემალურ პირობებში ნორმიდან ამოვარდნის წინაპირობაა და დაუშვებელია ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფი ადამიანისთვის, რადგან საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული. დაწინაურების კანდიდატი თუ ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, პარტიის ცენტრალური კომიტეტისთვის გაგზავნილ ცნობაში ვწერდით, რომ ესა და ეს კაცი შესაძლებელია დაინიშნოს ამა და ამ თანამდებობაზე.

შესაძლებელია, რომ დაინიშნოს. სხვა არაფერი. დანარჩენს ცეკა წყვეტდა.

**— დღევანდელი ხელისუფლება განაგრძობს ამ პრაქტიკას?**

— ეგაა საკითხავი. ის კი შემიძლია გითხრათ, რომ, ჩემი აზრით, **მიზანშეწონილი იქნება, ჩამოყალიბდეს სპეციალური სამსახური, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, შეისწავლის, ვინ, სად, როგორ დააწინაურეს თავის დროზე და სკრუპულოზური ანალიზის შემდეგ მიაწვდის ხელისუფლებას რეკომენდაციებს.**

გადამწყვეტი ქმედება კი ხელისუფლების განსახორციელებელია.

**— რას გულისხმობთ?**

— პრევენციული ხასიათის ღონისძიებებს. ვფიქრობ, რომ **ამორალური ადამიანების ადგილი არ უნდა იყოს ხელისუფლებაში.**

ჯერ უნდა გამოვლინდნენ ისინი და უნდა დადგინდეს, ვის როგორ მოექცნენ სათითაოდ, ინდივიდუალური მიდგომით. ეს არ უნდა იქცეს ისეთივე მასობრივ კამპანიად, როგორიც სააკაშვილის პარლამენტმა წამოიწყო, როცა საბჭოთა პერიოდში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნამუშევარი ადამიანები ერთი ხელის მოსმით „ხალხის მტრებად“ გამოაცხადა. ყოველ შემთხვევაში, ისეთივე „ლიშენცებად“ აქცია, როგორც ეს ლენინის დეკრეტით გაკეთდა საბჭოთა რუსეთის პირველ დღეებში; მით უფრო, არც ჩინეთის „კულტურული რევოლუციის“ მიბაძვით და არც იმ მასობრივი „წმენდის“ სახით, რომელიც დრო და დრო ხორციელდებოდა საბჭოთა კავშირში.

ამიტომაა საჭირო ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალური მიდგომა.

თორემ, როგორც ვხედავთ, პოტენციური ნეგატივიზმი, ყოფილი ხელისუფლების სისტემური დანაშაული ფარული ჩანაწერების სახით, რომელიც შემოგვრჩა, უკვე ამოქმედდა და ისეთი პირი უჩანს, რომ აწი და აწი, არჩევნების მოახლოების კვალზე, უფრო გაძლიერდება.

**საზოგადოებამ თავი უნდა დაიცვას ზნეობის პრინციპების ნორმებიდან ამოვარდნილთა გაფეტიშებისგან, რასაც დიდი მონდომებებითა და ფინანსური მხარდაჭერით ცდილობენ დაინტერესებული ძალები. ეს კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის არსებობის პირობებში.**

ამის მაგალითია დღევანდელი რუსეთი, რომლის საკანონმდებლო ორგანომ არასრულწლოვანთა შორის მამათმავლობის პროპაგანდა აკრძალა.

საქართველოში, ტრადიციულ მართლმადიდებელ ქვეყანაში, მამათმავლობა ფეხს რომ ვერ მოიკიდებს, დარწმუნებული ვარ, მაგრამ ხელისუფლებამ ამორალურობასთან ნებისმიერ შემგუებლობაზე უარი უნდა თქვას. ასეთია, თუ არ ვცდები, ჩვენი საზოგადოების კატეგორიული მოთხოვნა.

ამერიკის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა საქვეყნოდ ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ „ხელი წაუცდა“ თეთრ სახლში პრაქტიკანტად გამწესებულ მონიკა ლევინსკიზე.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ორიოდ დღის წინათ ტელეეკრანიდან, საჯაროდ დაიტრაბახა, რომ აქვს, ჰქონდა და ექნება მდიდარი სექსუალური ცხოვრება.

**— კაზანოვა...**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. რომელი პოლიტიკოსის პორნოსიანცე იყო აღბეჭდილი „იუთუბიზე“ ატვირთულ ფარულ ჩანაწერში, დიდი ჭორაობის საგანი გახდა. არ ასახელებენ, თუმცა ხვდებიან, ვინც არის.**

**ხალხმა იცის, რომ ახლა იმ პერსონის სახელის გამჟღავნება კი არ არის მთავარი (საზოგადოებრიობამ მისი „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“ დაიცვა), არამედ დიდი პოეტის — მუხრან მაჭავარიანის მეტაფორულ შეკითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა:**

**„მწუხრია თუ ღამეა, თუ რიჟრაჟი,**
**ვიძახი და ვიძახი და ვიძახი:**
**— ვის ხელშია ბედი ვისი, ვისაში?!**
**ვის ხელშია ბედი ვისი, ვისაში?!“**




## «საქართველო და მსოფლიო» ორი წლის წინათ წერდა

# როგორ «ჩაუშვეს» ამერიკელები ფარული ჩანაწერების საქმეში

**უკვე რამდენიმე დღეა, საქართველო აფორიაქებული ჭიანჭველების ბუდეს დაემსგავსა. მიზეზი ყველასთვის ცნობილია — სოციალურ ქსელ „იუთუბზე“ უცნობმა პირებმა გამოაქვეყნეს სახელმწიფო ბოროტმოქმედის — მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ფარულად და, რა თქმა უნდა, უკანონოდ ჩაწერილი მთავრობის ყოფილი წევრის აღვირახსნილი პირადი ცხოვრების კადრები.**

საგულისხმოა, რომ ყველაზე დიდი ხმაური ატეხეს და აღშფოთება გამოთქვეს „ნაციონალური მოძრაობის“ ე.წ. ცნობილმა სახეებმა და მათ მიერვე გამოკვებილმა სატელიტმა ენ-ჯი-ოებმა თუ უფლებათა ფსევდოდამცველებმა. მაგალითად, პარლამენტარმა **გიგი წერეთელმა** განაცხადა, რომ „ხელისუფლება აბსოლუტურად უუნარო აღმოჩნდა, წინ აღდგომოდა შექმნილ ვითარებას“. თანაპარტიელს „აღშფოთება-შეშფოთების“ საქმეში არ ჩამორჩა **გიორგი ბარამიძეც.** ხელისუფლებისგან ყველა ერთხმად მოითხოვდა ფარული ჩანაწერების გამავრცელებელთა გამოაშკარავებასა და სამაგალითოდ დასჯას. სავარაუდო გამავრცელებლები პროკურატურამ ოპერატიულად გამოავლინა, დააკავა და ბრალის დამტკიცების შემთხვევაში პასუხსაც აგებინებენ, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი და მნიშვნელოვანია ის, **რატომ არ მოითხოვენ ხსენებული „უფლებადამცველები“ და ენ-ჯი-ოები მთავარ ბოროტმოქმედთა დასჯას, რომლებმაც უკანონო თვალთვალი და შანტაჟი სახელმწიფო პოლიტიკად აქციეს, შექმნეს უზნეობისა და ტერორის ტოტალური სისტემა, რომლითაც ამაყობდნენ კიდეც?!** გავიხსენოთ თუნდაც 2013 წლის აპრილი, როდესაც თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა, დღემდე ძებნილმა **მეგის ქარდავამ** თავისი მეგობრისა და უფროსის — ბაჩო ახალაიას გათავისუფლება მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში მაკომპრომეტებელი მასალების გამოქვეყნებით იმუქრებოდა. ეს „მაკომპრომეტებელი მასალები“ ქარდავას რომ ჰქონდა, იმავე წელს დაადასტურა ბაჩანა ახალაიას ადვოკატმა **მალხაზ ველიჯანაშვილმა:** „მეგის ქარდავა ის ადამიანია, თუ ამბობს, რომ მას კადრები აქვს, გაავრცელებს, თუ ეს არ მოხდება (ბაჩო ახალაიას გათავისუფლება — ავტ.). მერწმუნეთ, ისეთი ადამიანია, მას ნამდვილად ექნება ეს კადრები და, ალბათ, გაავრცელებს“. „ნაცმოძრაობიდან“ „ქართულ ოცნებაში“ პორტირებულებზე ფარული ჩანაწერები რომ არსებობდა, ბევრისთვის იყო ცნობილი, მათ შორის, ექსპერტ **მამუკა არეშიძისთვის.** ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ მიერ მომზადებულ იმავე სიუჟეტში ბატონი არეშიძე ამბობს: „არის გარკვეული კომპრომატები, რომლებიც ეხება „ქართული ოცნების“ ზოგიერთ წარმომადგენელს, მათ შორის, ქალბატონებსაც. საკმარისია, ეს კომპრომატები გამოჩნდეს, რომ ისინი (გამავრცელებლები — ავტ.) შეიქმნიან სერიოზულ დისკომფორტს. ხელისუფლებას აღარ დარჩება არც სურვილი და არც საშუალება იმისა, რომ ეს ადამიანები („ნაციონალები“ — ავტ.) კოჰაბიტაციის რეჟიმში შეინარჩუნოს“.

სრულიად ვეთანხმები პატივცემული ექსპერტის ამ მოსაზრებას და **ვფიქრობ, დროა, ხელისუფლებამ, ბოლოს და ბოლოს, შეასრულოს ხალხის დაკვეთა და პასუხი აგებინოს ფარული ჩაწერების დამკანონებლებს — „ნაციონალებს“.** ვითომ ყველაფერი ნათელია, მაგრამ არ შემიძლია აუარო გვერდი ამ ფაქტს:

ტელეწამყვან **ინგა გრიგოლიას** ერთ-ერთმა სტუმარმა „ტვ პირველის“ 14 მარტის ეთერში განაცხადა: „ქვეყნის სპეცსამსახურებმა უნდა გაიღვიძოს და საზოგადოებამ უნდა უთხრას „არა“ რუსულ პოლიტიკას, რუსულ პოლიტიკურ ინტრიგებს“. **ამ ქალბატონს „რუსული ჩექმის“ კვალის არსებობის არც ერთი არგუმენტი არ მოუყვანია, სამაგიეროდ, გვაუწყა „ფარული ჩანაწერების“ საქმეში ამერიკელების მონაწილეობაზე. მოვუსმინოთ მას: „ეს არ არის მარტივი გადაწყვეტილება და გეგმა, რომ ვიღაც პოლიტიკოსებზე მოუნდათ და გაავრცელებენ ან არ გაავრცელებენ ვიდეომასალებს. ეს არის ქვეყნის არევის გეგმა და ეს პირდაპირ კავშირშია იმ საკონსტიტუციო სარჩელთან, რომელიც შეატანინეს ე.წ. მაცაცოს (გიორგი ტატიშვილი — ავტ.)... და იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო სასამართლოში დათა ქორწინების დაკანონების პროცესი, ქვეყანაში დაიწყებოდა არეულობა და ამ ფონზე უნდა შემოსულიყო ახალი პოლიტიკური ძალა „ოჯახის სიწმინდის დაცვის“ ეგიდით და ეს იქნებოდა ყოფილი პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის, პოლიტიკური ძალა“.** ამაზე გაჩერებულიყო, დალოცვილი! მაგრამ ოკეანგაღმელი პატრონებისადმი მოწოლილმა მადლიერების განცდამ უღალატა და ათქმევინა ეს სიბრიყვე: **„მე ვიცი, რატომ ჩაიშალა ეს გეგმა („ღარიბაშვილის გეგმა“ — ავტ.), უბრალოდ, დეტალებზე ვერ ვისაუბრებ, მადლობა ჩვენს ამერიკელ მეგობრებს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ პროცესში, რომ პროცესები ამ სცენარით არ წავიდა...“**

**აი, ასე, ნებსით თუ უნებლიეთ, აღიარა ამ ქალბატონმა, რომ ჩვენი ქვეყანა 25 წელია, „ამერიკის ჩექმის“ ქვეშ არის და მას აშშ-ის ელჩები ამერიკის გეოპოლიტიკის „გეგმით“ მართავენ...**

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ მომხდარი უბედურებიდან? ეს საზიზღრობა კარგა ხნის წინათ დაიწყო და ამაში ჩვენი, საზოგადოების, ბრალიც არის. გავიხსენოთ „ახალგაზრდა პერსპექტიული პოლიტიკოსის“ — მიხეილ სააკაშვილის კადრები, როდესაც ის საკუთარ დედასთან სატელეფონო საუბრისას მასტურბირებდა... ქართველი საზოგადოება ზნეობრივად ჯანსაღი რომ ყოფილიყო, „მიშიკოს“ პოლიტიკური კარიერა მაშინვე დასრულდებოდა და არც ფარული ჩანაწერებით სავსე კასრებთან გვექნებოდა საქმე და არც ცოცხით გაუპატიურებულ ტუსაღებთან... დღეს კი, **თუ საზოგადოება არ გამოფხიზლდა და უარი არ უთხრა გარყვნილ, აღვირახსნილ და ყურებით დაჭერილ ჰედონისტურ პოლიტიკურ ელიტას, და არჩევნებში მორიგ პოლიტიკურ „კერპს“ თუ მივაღებინებთ ხმების 90 პროცენტს, ყველაფერი კვლავ ჩვეულ ჯოჯოხეთურ წრეს დაუბრუნდება.**

**გიორგი კორძაძე**

შორია გურჯისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში იზრდება უამრავი ქართველი ბავშვი, რომლებიც ქართულად ვერ მეტყველებენ და სხვა მენტალობით იზრდებიან. თუ ფესვებს მოსწყდა ადამიანი, უკვე დაკარგულია სამშობლოსთვის. მიგრაცია კი უდიდესი საფრთხეა ქვეყნისთვის, რადგან მომავალი თაობის დიდი ნაწილი უცხოეთში იზრდება“.



# აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნები მეორადი ტანსაცმლის იმპორტს აკრძალავენ

**აფრიკის ქვეყნებში მოსახლეობის დიდი ნაწილი ევროპიდან და აშშ-დან შეტანილ მეორად ტანსაცმელს ყიდულობს. აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყნები მსგავსი ტანსაცმლის იმპორტის აკრძალვას გეგმავენ.**

ამ გადაწყვეტილების მიღებას მომდევნო სამი წლის განმავლობაში ბურუნდი, კენია, რუანდა, ტანზანია და უგანდა აპირებს. ისინი აღმოსავლეთ აფრიკის თანამეგობრობაში შედიან. სწორედ აღნიშნული ორგანიზაციის ინიციატივაა მეორადი ტანსაცმლის იმპორტის აკრძალვა. აკრძალვის მიზანს ადგილობრივი წარმოების გაზრდა და ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს. ერთ-ერთი არგუმენტი ისაა, რომ იმპორტირებული მეორადი ტანსაცმელი იმდენად იაფია, რომ ადგილობრივი ტანსაცმლის ფაბრიკები მას კონკურენციას ვერ უწევენ.

# საუდის არაბეთმა 50 სახელი აკრძალა

**საუდის არაბეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა სია 50 სახელისა, რომლებიც ამიერიდან აკრძალული იქნება სამეფოში.** გადაწყვეტილების მოტივაციად კი სამეფოს რელიგიასთან და კულტურასთან შეუსაბამობა გამოცხადდა. საუდელი მშობლები შვილებს ვეღარ დაარქმევენ ისეთ სახელებს, როგორიცაა **ლინდა, ალისი, ელაინი ან ბინიამინი.** ასევე აიკრძალა სახელები, რომლებიც სამეფო ტიტულებს ატარებს, მაგალითად, **სუმუიუ (დიდებულება), მალეკი (მეფე) და მალიკა (დედოფალი).** მიუხედავად ჩამოთვლილი არაერთი მიზეზისა, სიაში არის ისეთი სახელებიც, რომელთა აკრძალვის მიზეზი გაუგებარია.

# «ხელისუფლებას ქვეყანაზე რომ ეზრუნა, დღეს არც ამდენი ემიგრანტი ეყოლებოდა საქართველოს და არც ამდენი გაჭირვებული!»

# «მხოლოდ პარლამენტია საქართველო?»

**34 წლის შორენა გვიჩიანს იმისთვის, რომ ოჯახს დახმარებოდა, სამშობლოს დატოვება მოუწია და უკვე 11 წელია, ემიგრაციაშია. ამჟამად იმყოფება ესპანეთში, კერძოდ, ბარსელონაში, სადაც ბავშვის მომვლელად მუშაობს:**



— სვანეთში დავიბადე, მესტიის რაიონის სოფელ ლატალში. ჩემი ბავშვობა და, შესაბამისად, ტკბილი მოგონებებიც სვანეთს უკავშირდება, სადაც უსაზღვროდ ბედნიერი ვიყავი... ჩემი ემიგრაციაში წასვლის მიზეზი მშობლების ვალია. ისინი მიწათმოქმედები არიან, თანამედროვე ტერმინით — ფერმერები. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის ჰქონდათ ქალაქში ცხოვრების შანსი, სოფელი არასოდეს მიუტოვებიათ და 4 შვილი ისე გაგვზარდეს, არაფერი დაუკლიათ — არც საკვები, არც სამოსი და არც სწავლა-განათლება. ვალი სწორედ იმიტომ აიღეს, რომ გვესწავლა. სტუდენტებს ხომ ბევრი რამ სჭირდებათ. ისე მაწუხებდა მშობლების ვალი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი წასვლის სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ, სწავლას თავი დავანებე და გავემგზავრე გერმანიაში ე.წ. ოპერ-პროგრამით. თავდაპირველად ადვილი მეგონა ყველაფერი, მაგრამ ძალიან რთული აღმოჩნდა ჩემთვის ახალ გარემოსთან შეგუება. **ისეთი მძიმე იყო საქართველოდან შორს ყოფნა, ჩვენი ისტორიის გმირები თვალწინ გამიცოცხლდნენ და სულ სხვაგვარად აღვიქვი ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“. მივხვდი, რომ ჩვენს ქვეყანაში, მიუხედავად გაჭირვებისა, სხვა მადლი ტრიალებს და ნათელი გახდა ჩემთვის, მილიონებიც რომ მეშოვა, სხვაგან ვერსად ვიცხოვრებდი და აუცილებლად დავუბრუნდებოდი საქართველოს.**

**— ამჟამად რას საქმიანობთ?**

— გერმანიიდან ესპანეთში გადმოვედი და ოჯახში ვმუშაობ, ბავშვის მომვლელად. უმადური ვერ ვიქნები, რადგან ძალიან დამეხმარა ქვეყანაც და ოჯახიც, რისთვისაც მთელი ცხოვრება მადლიერი ვიქნები, მაგრამ თავს ისე ვგრძნობ, როგორც მდიდარ მეზობელთან სტუმრად მისული, ერთი სული რომ გაქვს, საკუთარ სახლს და კერას დაუბრუნდე, სადაც სითბო, სიყვარული და თავისუფლებაა. **სხვისი ქვეყანა, როგორი კარგიც უნდა იყოს, სხვისია, საქართველო კი ჩემია.** ძალიან რთული იყო ენის ბარიერის გადალახვა. მახსოვს, როდესაც პირველად უნდა მიმეყვანა ბავშვი ბაღში, მომცეს რუკა, ამიხსნეს ყველაფერი, მაგრამ ვერაფერი გავიგე. ძალიან შემეშინდა, ვიფიქრე, ოღონდ პატარა მშვიდობით მიმაყვანინა-მეთქი. ავტობუსის გაჩერებაზე მდგარი ერთი ფერადკანიანი ქალბატონი დამეხმარა, შემატყო, სახეზე ფერი აღარ მედო... ძალიან ძნელია, როდესაც უცებ მოხვდები სრულიად უცხო, უზარმაზარ ქვეყანაში და ერთ დღეში უნდა გაერკვე ყველაფერში. მიუხედავად სირთულეებისა, საბოლოოდ მაინც იმდენს ვახერხებთ ქართველები, რომ ყველანაირ დაბრკოლებას ვლახავთ. **ზღვას, მთასა და ლამაზ ქუჩებს ყველგან შეხვდება ადამიანი, მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ტაძრებსა და ახლობლებს — ვერა. თუ არ დავბრუნდით ემიგრანტები, ცაზე გამოკიდებულივით დავრჩებით — სარგებელს ვერც იმ ქვეყანას მოვუტანთ და ვერც საქართველოს.** უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში იზრდება უამრავი ქართველი ბავშვი, რომლებიც ქართულად ვერ მეტყველებენ და სხვა მენტალობით იზრდებიან. თუ ფესვებს მოსწყდა ადამიანი, უკვე დაკარგულია სამშობლოსთვის. მიგრაცია კი უდიდესი საფრთხეა ქვეყნისთვის, რადგან მომავალი თაობის დიდი ნაწილი უცხოეთში იზრდება.

**— ქართველ ემიგრანტებს დიდი ტკივილის სანაცვლოდ უწევთ მათთვის სრულიად უცხო გარემოში ცხოვრება. წარმომიდგენია, როგორი რთულია ოჯახიდან მოშორებით ყოფნა...**

— როგორც აღვნიშნე, ძალიან გამიჭირდა საქართველოსა და ახლობლებისგან შორს ყოფნა. 11 წელია, ემიგრანტი ვარ და საოცარი განცდა მეუფლება ნოსტალგიის, ახლობლების მონატრების. მტკივა თითოეულის სატკივარი, ახლობლებისა და ქვეყნის. ჩვენ მართლმადიდებლობის, ქართული კულტურისა და ტრადიციების დაცვა გვჭირდება. უზომოდ მიყვარს ჩემი სამშობლო. ემიგრანტებს შეგვიძლია, ჩამოვიტანოთ ის უნარ-ჩვევები, რომლებიც ე.წ. განვითარებულ ქვეყნებს აქვთ, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ქართული ღირებულებები და ფასეულობები ოდითგანვე ხელშეუხებელია და მუდამ ასე იქნება. ყველაზე მეტად ჩემი სვანეთის მთები მენატრება, ჩემი სოფელი, სადაც გავიზარდე. გული მწყდება, რომ იცლება სოფლები. ისეთი ბედნიერი და ლაღი ბავშვობა გავატარე იქ... **ორი წლის წინათ ჩემმა ძმამ და რძალმა ნანგრევებად ქცეული ღვთისმშობლის ტაძრის აღდგენა დაიწყეს და დიდი სურვილი მაქვს, დავბრუნდე და მივეხმარო.**

**— რუბრიკის სტუმრები, ემიგრანტები, საქართველოს ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ...**

— ქვეყნის სათავეში მოსულ არც ერთ ხელისუფალს არ უზრუნია თავის მოქალაქეებზე. **ხელისუფლებას ქვეყანაზე რომ ეზრუნა, დღეს არც ამდენი ემიგრანტი ეყოლებოდა საქართველოს და არც ამდენი გაჭირვებული.** წესით, საქართველოს არ უნდა უჭირდეს, რადგან ყველანაირი საშუალება არსებობს ფეხზე დადგომისა, მაგრამ, **თუ საკუთარს გაასხვისებ და არ დააფასებ, არაფერი გვეშველება.** მინდა, ყველა დედა დაუბრუნდეს თავის შვილს. უნიჭიერესი ქართველები სამშობლოს უნდა ახმარდნენ იმ ნიჭს, რომელსაც სხვა ქვეყნებს უწილადებენ. საქართველოს მთავრობა ხალხს ბრბოს არ უნდა უწოდებდეს. ჩვენი დიდი მეფეები გადაცმული დადიოდნენ სოფელ-სოფელ, რადგან უბრალო გლეხის აზრიც კი მნიშვნელოვანი იყო მათთვის. თუ ხალხზე არავინ იზრუნა სახელმწიფოდ როგორ ჩამოვყალიბდებით? თუ მარტო პარლამენტია საქართველო?

**— რას ეტყვით მონატრებულ ქართველებს?**

— საქართველოს ბევრი ვარამი უნახავს და ამასაც გავუძლებთ. მებრძოლი ხალხი ვართ და სისხლში გვაქვს ჩვენი ქვეყნის სიყვარული, ამით გადავარჩენთ ჩვენს ქვეყანას. **ყველა ემიგრანტმა უნდა იფიქროს დაბრუნებაზე, ჩინელები და თურქები რომ არ დასახლდნენ ჩვენს კერაზე. საქართველოს ახლა ისე ვჭირდებით, როგორც არასდროს.** ისეთი ერის მამა გვყავს, როგორიც ჩვენი პატრიარქია და რამ უნდა შეგვაშინოს?! **ჩემს ქართველებს ვეტყოდი შორიდან, რომ თითოეული თქვენგანი, ვინც დღევანდელ ყოფას იტანს და უძლებს, გმირია!** გული არ გაიტეხოთ! როგორც ლაზარე აღდგა, ისე აღდგება საქართველო და გამთლიანდება! მთავარია, ერთობა და ჩვენი ქვეყნის სიყვარული შევინარჩუნოთ.

ნუ დავივიწყებთ ფესვებს!..

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

> «ჩემს ქართველებს ვეტყოდი შორიდან, რომ თითოეული თქვენგანი, ვინც დღევანდელ ყოფას იტანს და უძლებს, გმირია!»

> «საქართველოს მთავრობა ხალხს ბრბოს არ უნდა უწოდებდეს. ჩვენი დიდი მეფეები გადაცმული დადიოდნენ სოფელ-სოფელ, რადგან უბრალო გლეხის აზრიც კი მნიშვნელოვანი იყო მათთვის. თუ ხალხზე არავინ იზრუნა, სახელმწიფოდ როგორ ჩამოვყალიბდებით? «ყველა ემიგრანტმა უნდა იფიქროს დაბრუნებაზე, ჩინელები და თურქები რომ არ დასახლდნენ ჩვენს კერაზე. საქართველოს ახლა ისე ვჭირდებით, როგორც არასდროს!»

მსოფლიო

# რუსეთი ირანს C-300-ებს აგვისტოში ან სექტემბერში გადასცემს

**რუსეთი თანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს — C-300-ებს ირანს აგვისტოში ან სექტემბერში გადასცემს. ეს ინფორმაცია დაადასტურა „როსტეხის“ ხელმძღვანელმა სერგეი ჩემეზოვმა Wall Street Journal-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.**

მისივე თქმით, ირანელები ც-300-ის ბოლო მოდიფიკაციას — C-300ПМУ-1-ს მიიღებენ. ჩემეზოვმა ასევე განაცხადა, რომ ეს C-300-ის ბოლო პარტია იქნება, რომელიც საზღვარგარეთ გაიყიდება. ამის შემდეგ შესაძლებელია, ამ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების წარმოება საერთოდ შეწყდეს. ირანმა რუსეთისგან აღნიშნული სისტემების შესყიდვის შესახებ კონტრაქტი ჯერ კიდევ 2007 წელს გააფორმა, თუმცა იმის გამო, რომ 2010 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ ირანზე რეზოლუცია მიიღო, 800 მილიონ დოლარად ღირებული კონტრაქტი ანულირებული იქნა. 2015 წლის აპრილში რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსულ მწარმოებლებს უფლება მისცა, მიეწოდებინათ ირანისთვის თანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები. ამის შემდეგ რუსეთსა და ირანს შორის ახალი კონტრაქტი დაიდო.



**დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო საკუთრებაში, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიმართვა საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

## მიწის მართვა სახელმწიფოებრივი აუცილებლობაა

**ბატონო პრემიერმინისტრო!**



გვინდა, თქვენი ყურადღება მივაპყროთ ქვეყნისთვის იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან თემას, რომელიც საქართველოში მიწის მართვისა და აღრიცხვის საკითხს შეეხება. მისული ვართ სავალალო შედეგამდე, რომელსაც ჰქვია მიწის რესურსებზე სახელმწიფოს მიერ ერთიანი კონტროლის დაკარგვა. პრობლემის გადაუწყვეტელობა არარეალურს გახდის ეროვნული ეკონომიკის წინსვლას, გააღრმავებს უნდობლობას ხალხსა და მთავრობას შორის და დიდ დაძაბულობას გამოიწვევს.

2004 წელს საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, უსაფუძვლოდ, გააუქმა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და მისი ძირითადი ფუნქციები გადაანაწილა იუსტიციის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს შორის. ფუნქციების ამ გადანაწილებას (გახლეჩას) შედეგი არ მოჰყოლია. **მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ჯერაც არ ხორციელდება. დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას, მათ შორის რამდენია კერძო საკუთრებაში, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით.**

2005 წლამდე ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელიც შემდეგ გადაეგზავნებოდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტს. თითოეულ რაიონში ჩატარებული მიწის აღრიცხვის საფუძველზე ხდებოდა საქართველოს მიწის ყოველწლიური ბალანსის შედგენა. მიწის ბალანსი განიხილებოდა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად და მტკიცდებოდა მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემული იყო მიწის რაციონალურად მართვის რეკომენდაციები.

მიწის ყოველწლიური ბალანსის საშუალებით სახელმწიფო აკონტროლებდა მიწის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას, მათ შორის, ინტენსიური და არაინტენსიური სავარგულების მატება-კლების დინამიკას, ქალაქმშენებლობის, გზებისა და სხვა საჭიროებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბრუნვიდან ამოღებას, სამაგიერო მიწის ჩანაცვლებას და ა.შ.

დღეს ძნელი წარმოსადგენია სხვა რომელიმე ქვეყანა, რომელშიც მიწის ყოველწლიური ბალანსი ან მსგავსი რამ არ კეთდებოდეს, მთავრობას მხოლოდ პრივატიზებული მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები აინტერესებდეს და არ აანალიზებდეს, არ აკონტროლებდეს მიწის რესურსების მოძრაობას (დინამიკას), არ იცოდეს, როგორ იცვლება ქვეყანაში მიწის კატეგორიები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა, რომელიც აქტუალური გახდა სავარგულის თითოეულ სახეობაზე გადასახადის მნიშვნელოვანი განსხვავების გამო, არ ახორციელებდეს ქმედით ღონისძიებებს მიწის რესურსების რაციონალური მართვის მიზნით.

**სამწუხაროდ, სამთავრობო სტრუქტურების ზოგიერთი ხელმძღვანელი მიწის ბალანსს ვერ ასხვავებს მიწის კადასტრისგან და აცხადებს, — რა საჭიროა მიწის აღრიცხვა, როცა გვაქვს და ვაკეთებთ მიწის კადასტრსო. მიწის კადასტრი არის რეგისტრაციის მომენტისათვის მიწის ფართობის ერთჯერადი დადგენა კარტოგრაფიული და იურიდიული მდგომარეობით.**

მიწის ბალანსი მიწის აღრიცხვა არის მიწის ფართობების დადგენა მიწის დანიშნულების, კატეგორიებისა და მესაკუთრეების მიხედვით. მაგალითად, მიწის ბალანსი რაიონში აღრიცხავს და აზუსტებს მთლიან ფართობს, მათ შორის რამდენი ჰექტარია სასოფლო-სამეურნეო მიწა კატეგორიების მიხედვით (სახნავი, სათიბი, საძოვარი, მრავალწლიანი ნარგავები: ვენახი, ხილის ბაღები, ციტრუსები, ჩაის ფართობები და სხვ.), არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ტყის ფონდის მიწა, წყლის ფონდის მიწა და სხვა მიწები მესაკუთრეების მიხედვით.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ **ხშირად აქვს ადგილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთის ცნებების აღრევას.** სავარგული არის მიწის ნაკვეთი, რომელიც უშუალოდ გამოიყენება პროდუქციის მოსაყვანად. სავარგულების კატეგორიებია: სახნავი, ნასვენი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბები და საძოვრები; ხოლო საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთად რეგისტრირებულ მიწებში იგულისხმება სავარგულები და ასევე, ნაკვეთებზე არსებული შენობა-ნაგებობები, გზები, ქარსაფარი ზოლები, არხები და ა.შ., რომლებიც ემსახურება სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

საინტერესოა, როგორ ადგენს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რომელსაც ევალება მიწის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმას, როდესაც არ აქვს მიწის განვითარების ხედვა, სტრატეგია, აღრიცხვის მონაცემები და სახელმწიფო პროგრამა; ასევე, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ როგორ შეიმუშავა „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წ.წ.“, როდესაც არ იცის და არ აქვს დაზუსტებული, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მონაცემები, მათი დინამიკა კულტურებისა და საკუთრების მიხედვით.

როგორც ცნობილია, კონტროლს მიწის გამოყენებაზე უნდა ახორციელებდეს სახელმწიფო. მიწის ფონდის კონტროლი და მართვა მხოლოდ სახელმწიფოს განსახორციელებელია და ამისთვის შექმნილი სახელმწიფო სტრუქტურა ქვეყნის რაციონალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარების გარანტი უნდა იყოს.

მართალია, რეგისტრაციის შედეგად მიღებული მიწასთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან და ძვირფას რესურსს, მაგრამ სრულყოფილი რეესტრის წარმოების შემთხვევაშიც კი მარტო ამ რესურსზე დაყრდნობით სახელმწიფოს მიერ ქვეყნის მიწის პოლიტიკის განხორციელება და ეფექტურად მართვა შეუძლებელი იქნება, თუ არ იარსებებს მიწის მართვის ძლიერი სახელმწიფო ორგანო.

იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი საქმიანობა უნდა განხორციელდეს, პოლიტიკური განსჯის საგანი არ უნდა იყოს ის, თუ რომელ სამინისტროს ან ორგანიზაციას შეუძლია, უკეთესად შეასრულოს მმართველის ფუნქცია – აუცილებელია შეიქმნას მიწის ადმინისტრირების მაკოორდინირებელი ორგანო (სახელს მნიშვნელობა არ აქვს, იქნება სააგენტო, სამსახური თუ სხვ.), რომლის ამოცანა იქნება მიწის ადმინისტრირება — სახელმწიფო მმართველობა, სახელმწიფო ზედამხედველობა, მიწის გამოყენების კოორდინაცია, მიწის რესურსების მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა — ცვლილებების ყოველწლიური ანგარიშის მომზადება.

ანუ მიწის ადმინისტრირების ორგანო უნდა ფლობდეს ძლიერ პოზიციას მთავრობაში, ერთიანი რესურსის ინფორმაციასა და ძალაუფლებას შორის ურთიერთკავშირის აუცილებლობის გამო.

ქვეყნის უპირველესი ეროვნული სიმდიდრის, მიწის, დაცვა და მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის მოწესრიგება შეუძლებელი იქნება მიწის მართვის სახელმწიფო სტრუქტურის შექმნის, მიწაზე მონიტორინგისა და მიწის კოდექსის მიღების გარეშე.

მიწის ფართობების ყოველწლიური აღრიცხვის უგულებელყოფას და მიწის კოდექსის არარსებობას მომავალი თაობები არ გვაპატიებენ.

იმედი გვაქვს, რომ ქმედით ნაბიჯებს გადადგამთ ამ სახელმწიფოებრივად არსებითი პრობლემის გადასაჭრელად.

**პატივისცემით,**

**ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა), პროტოპრესვიტერი გიორგი (ზვიადაძე), დეკანოზი თევდორე (ამბროლაძე), რეზო ამაშუკელი — პოეტი, გია არეშიძე — პოლიტოლოგიის დოქტორი, რობერტ ბაბლიძე — პროფესორი, იოსებ ბაჩიაშვილი — ეკონომიკის დოქტორი, დემურ ბახტაძე — პროფესორი, მერაბ ბოხუა — პროფესორი, გივი ბუცხრიკიძე — პროფესორი, მიწათმომწყობი, მერი გაბედავა — პროფესორი, რამაზ გახოკიძე — პროფესორი, მამუკა გიორგაძე — პოლიტიკოსი, რევაზ გოგოხია — პროფესორი, როსტომ გუნთაიშვილი — პროფესორი, ვახტანგ გურული — პროფესორი, ავთანდილ დემეტრაშვილი — პროფესორი, ლევან ვასაძე — ბიზნესმენი, მერაბ ვაჩნაძე — პროფესორი, დავით ზარდიაშვილი — ექსპერტი მუნიციპალურ სამართალში, გენო კალანდია — პოეტი, ჯემალ კაციტაძე — აკადემიკოსი, გია მაისაშვილი — პოლიტოლოგი, ბესიკ მამინაშვილი — ჟურნალისტი, გოგოლა მარგველაშვილი — აკადემიკოსი, გურამ მაქაცარია — ტექნიკის დოქტორი, შოთა მაჭარაშვილი — ჟურნალისტი, რევაზ მახარობლიძე — აკადემიკოსი, ანზორ მესხიშვილი — ეკონომიკის დოქტორი, ზურაბ მიქელაძე — სოფლის მეურნეობის დოქტორი, გრიგოლ მურღულია — ფილოლოგიის დოქტორი, ნოდარ ნათაძე — პოლიტიკოსი, პროფესორი, ზაურ ნაჭყეპია — ჟურნალისტი, ოთარ ჟორდანია — პროფესორი, ბადრი რამიშვილი — პროფესორი, ზურაბ რევიშვილი — პროფესორი, ნიკა სანებლიძე —პროფესორი, ლევან სვანაძე — პროფესორი, ავთანდილ სილაგაძე — აკადემიკოსი, აპოლონ სილაგაძე —აკადემიკოსი, ნაუმ ტურაბელიძე — პროფესორი, თენგიზ ურუშაძე — აკადემიკოსი, ჯუმბერ ფანჩულიძე — პროფესორი, ყარამან ფაღავა — პროფესორი, ლევან ფრუიძე — პროფესორი, ნაპოლეონ ქარქაშაძე — აკადემიკოსი, ომარ ქეშელაშვილი — აკადემიკოსი, თამაზ ყურაშვილი — პროფესორი, თემურ შანშიაშვილი — პოლიტიკოსი, ზვიად შვანგირაძე — ჟურნალისტი, რევაზ ჩაგელიშვილი — აკადემიკოსი, ლევან ჩაჩუა — პოლიტიკოსი, ნიკო ჩიხლაძე — პროფესორი, ნინო ჩიხლაძე — აგროეკონომისტი, თინა ჩხეიძე — პროფესორი, მურმან ცეცხლაძე — პროფესორი, თამაზ წივწივაძეი — მწერალი, ნოდარ ჭითანავა — აკადემიკოსი, მიხეილ ჭიჭაყუა — ბიოლოგიის დოქტორი, ეთერ ხარაიშვილი — პროფესორი, ჯემალ ხაჩიძე — სოფლის მეურნეობის დოქტორი, რამაზ ხუროძე — აკადემიკოსი, ელიზბარ ჯაველიძე — მწერალი, აკადემიკოსი, მიხეილ ჯიბუტი — პროფესორი, ზაურ ჯინჯოლავა — პროფესორი, დოდო ჯოლოხავა — პროფესორი, პაატა კოლუაშვილი — აკადემიკოსი.**




## «გამოგაგდეს თბილისიდან — გაგაძევებთ ოდესიდან!» — ოდესელები სააკაშვილის გაძევების მოთხოვნით ქუჩაში გამოვიდნენ

**11 მარტს ოდესაში ოლქის გუბერნატორის — მიხეილ სააკაშვილის საწინააღმდეგო აქცია გაიმართა.**

ქალაქში დადიოდა შავი მიკროავტობუსი, რომლის გვერდებზეც დახატული იყო სააკაშვილის შარჟი წარწერით: „გამოგაგდეს თბილისიდან — გაგაძევებთ ოდესიდან“. აქტივისტები ოდესელებს ავტომობილიდან მეგაფონით მოუწოდებდნენ, ხელი მოეწერათ გუბერნატორის გადადგომის პეტიციაზე.

„სააკაშვილი საბაჟოზე კონტრაბანდას მფარველობს. ის ქალაქის ყველა მეწარმისგან 20 მლნ გრივნას ითხოვს. ოდესაში ქართულ ბანდას ქმნის უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად. ოდესელებო, კანონიერი ქურდის — მიხო სააკაშვილის გადადგომას ხელი მოაწერეთ. გავაგდოთ ბანდიტი სააკაშვილი ჩვენი ქალაქიდან!“ — ისმოდა მიკროავტობუსზე მიმაგრებული მეგაფონიდან. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აქციის ორგანიზატორი იყო დეპუტატი დიმიტრი გოლუბევი. ოდესელებმა რამდენიმე ათასი ხელმოწერა უკვე შეაგროვეს. უკრაინის პრეზიდენტისთვის ელექტრონული პეტიციის გასაგზავნად 25 ათასი ხელმოწერაა საჭირო.

**P.S. 14 მარტს ერთ-ერთმა უკრაინულმა სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია, რომ უკრაინის პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ მიხეილ სააკაშვილი გუბერნატორის პოსტიდან გაათავისუფლა, მაგრამ ეს ინფორმაცია უკრაინის პრეზიდენტის პრესსამსახურმა უარყო.**



## ლონდონის მერი: აშშ-ის პრეზიდენტი აღმაშფოთებელი ფარისეველია!

**ლონდონის მერმა ბორის ჯონსონმა გამოცემა Daily Telegraph-ში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც მწვავედ გააკრიტიკა აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას პოზიცია ევროკავშირის წევრობაზე ბრიტანეთში რეფერენდუმის ჩატარების შესახებ.**

ლონდონის მერი, ევროკავშირიდან ბრიტანეთის გამოსვლის მოძრაობის იდეური ლიდერი, აშშ-ის პრეზიდენტს ურჩევს, არ ჩაერიოს ევროპელთა დებატებში.

ობამას სურს, ბრიტანეთის პარლამენტში გამოვიდეს და პირადად დაარწმუნოს გაერთიანებული სამეფოს ქვეშევრდომები, რეფერენდუმზე მხარი არ დაუჭირონ ევროკავშირიდან გამოსვლას.

ჯონსონმა ამერიკის პრეზიდენტის აქტიურობას „აღმაშფოთებელი ფარისევლობა“ უწოდა და მოითხოვა, შეწყვიტოს გაერთიანებული სამეფოს საშინაო საქმეებში ჩარევა, რადგან თვითონ ამერიკა ისტერიკულად იცავს თავის სუვერენიტეტს და გააფთრებით აღკვეთს ხოლმე მთავრობაზე რაიმე დიქტატს, როგორ მოიქცეს დანარჩენი მსოფლიოს მიმართ.

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სექსი არც სირცხვილია და არც დანაშაული, თუკი არ ხარ არავის მეუღლე და ცხოვრობ თავისუფალი ცხოვრებით; ხოლო, თუკი ვინმეს ცოლი ან ქმარი გქვია და სექსით დაკავებული ხარ სხვა ადამიანთან, მაშინ სექსი სირცხვილიც არის, დანაშაულიც, უზნეობაც და სასტიკი ნაძირლობაც!**

# გამოქვეყნებული უზნეობის ქრონიკა

## ანუ არის თუ არა სექსი სირცხვილი და დანაშაული?

**რას ისახავდა მიზნად? ვის ინტერესებში შედიოდა? ვინ ატვირთა? — ეს სამი კითხვა, რა თქმა უნდა, პასუხგაუცემელი დარჩა და, სავარაუდოდ, ვერც ვერავინ გასცემს პასუხს მომავალშიც. მთავარი პათოსი კი ე.წ. პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების გამოქვეყნების დაუშვებლობა და მისი გამომქვეყნებლის უზნეობა, ამორალურობა და დამნაშავეობაა.**

ყველაფერი რიგზეა. სრული თანხმობა იმ კითხვებსაც, რომლებზეც, მგონია, ვერავინ გასცემს პასუხს, და სრული თანხმობა ამ პათოსსაც, რომ ნებისმიერი სახის ინტიმური კადრების ფარულად გადაღება და საჯაროდ გამოქვეყნება არის საშინელი დანაშაული და უმკაცრესად უნდა დაისაჯოს! ამაზე ორი აზრი არ უნდა არსებობდეს და არც არსებობს, მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია კიდევ ერთი კითხვის დასმა: **რატომ იჩქმალება ამ ამბის არანაკლებ მნიშვნელოვანი კიდევ ერთი კომპონენტი და რატომ არავინ აკეთებს ამაზე თუნდაც „მეორად აქცენტს"?**

საუბარი მაქვს სწორედ იმაზე, რის გამოც შესავალში გამოთქმა „პირადი ცხოვრების" მომართ სიტყვა „ეგრეთ წოდებული" გამოვიყენე.

დიახ, აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა უბრალოდ „პირად ცხოვრებასთან", არამედ **უზნეო პირად ცხოვრებასთან** და ეს სულაც არ არის უმნიშვნელო, როგორიც „ჰუმანურ პოზაში" დადგომის მოყვარულ ზოგიერთ სულელს შეიძლება მოეჩვენოს.

სხვათა შორის, ეს **„ჰუმანისტი" პოზიორები**, რომლებიც ნორმალურ ადამიანებს რატომღაც „ციციკორეებად" მოიხსენიებენ, ცალკე ფენომენია ქართველი საზოგადოების ერთ ნაწილში და მათზე მოგვიანებით ცალკე შევჩერდები.

ახლა კი მივყვეთ და თანმიმდევრობით ჩამოვაყალიბოთ: რატომ არ შეიძლება ავყვეთ საზოგადოების იმ მეტიჩარა ნაწილს, რომელსაც თავი „წინწასულად", „თანამედროვედ", „გამოსულად" მოაქვს და ჩვენ — „ბნელებს", „ჩამორჩენილებს" და „გოიმებს" გვიკიჟინებს, — რა მოხდა?! ოცდამეერთე საუკუნეა, რა იყო მერე, თუ ადამიანს სექსი აქვსო?!

საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გავრცელებული ვიდეოს „მსხვერპლთ" ოფიციალური სოლიდარობაც გამოუცხადეს და ხელში ამაყად დაიჭირეს „ოცდამეერთესაუკუნეობრივი აზროვნების" მანიშნებელი პლაკატები: „სექსი არ არის სირცხვილი!", „სექსი არ არის დანაშაული!".

**სამწუხაროდ, საზოგადოების მეტ-ნაკლებად გულუბრყვილო ნაწილი შეიძლება ამ დემაგოგიას აჰყვეს კიდეც და შიშით — აქაოდა, ვინმემ „გოიმად" არ ჩამთვალოსო, შეიძლება დაუჭიროს კიდეც მხარი ამ ყოვლად მიუღებელ აზროვნებას, რომელიც რატომღაც „გამოსულობად" იფუთება.**

სინამდვილეში კი დიდი იურისტობა არ ჭირდება იმის გააზრებას, რომ „სირცხვილიც" და „დანაშაულიც" არ განისაზღვრება მხოლოდ კონკრეტული პიროვნების კონკრეტული ქმედების მიხედვით. ერთი და იგივე ქმედება, შესაძლოა, კიდეც იყოს და კიდეც არ იყოს სირცხვილი და დანაშაული მისი ჩადენის გარემოებების მიხედვით.

**ვისაც ვერ ესმის, რას ვამბობთ, იძულებულნი ვართ, მაგალითებით ავუხსნათ:**

**1. გაზების გაშვება ორგანიზმიდან** — ეს არ არის სირცხვილი. ეს არის ჩვეულებრივი და აუცილებელი პროცესი ორგანიზმისთვის. მაგრამ, თუკი დიდ წვეულებაზე ჩამოვარდნილ სიჩუმეში დიდი ხმაურით გაუშვებთ გაზებს, ეს უკვე დიდი სირცხვილია;

**2. კუჭის მოქმედება, დეფეკაცია** სულაც არ არის დანაშაული და სირცხვილი. ეს ჩვეულებრივი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებაა. მაგრამ, თუკი შენ შუა ქუჩაში, ხალხმრავალ ადგილას ჩაიხდი და „მოკუკავ", ეს უკვე სირცხვილიცაა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულიც;

**3. ქურდობა** არის დანაშაული, მაგრამ, თუ მეზობლად სახლს ხანძარი გაუჩნდა და შენ იქვე მდებარე მაღაზიიდან „ვედრო" მოიპარე წყლის მოტანისა და ცეცხლის ჩაქრობის მიზნით, ეს უკვე აღარ არის დანაშაული;

**4. მკვლელობა** უპირობოდ საშინელი დანაშაულია! მაგრამ მხოლოდ მშვიდობიანობის დროს და მშვიდობიანი ადამიანების. თუკი ომია და შენ შეიარაღებულ მტერს მოკლავ ბრძოლაში, ამ შემთხვევაში მკვლელობა აღარ არის დანაშაული.

და ასე შემდეგ.

სამწუხაროდ, ფაქტია, ჩვენი საზოგადოების გარკვეულ აქტიურ ნაწილს სჭირდება ასეთი ელემენტარული რაღაცების ახსნა. კერძოდ, ახსნა იმისა, რომ **სექსი არც სირცხვილია და არც დანაშაული, თუკი არ ხარ არავისი მეუღლე და ცხოვრობ თავისუფალი ცხოვრებით; ხოლო, თუკი ვინმეს ცოლი ან ქმარი გქვია და სექსით დაკავებული ხარ სხვა ადამიანთან, მაშინ სექსი სირცხვილიც არის, დანაშაულიც, უზნეობაც და სასტიკი ნაძირლობაც!**




საკითხავია ისიც, საზოგადოების ამ „პრადვინუტ" ნაწილს მართლა სჭირდება ვითომ ასეთი ელემენტარული რაღაცის ახსნა? აკი მათი უმეტესობა თავს ასაღებს ძალიან ნიჭიერ და მცოდნე იურისტად, რომლებსაც უცხოეთში აქვთ გავლილი „ტრენინგები" და მიღებული უამრავი სერტიფიკატი? მაშ, რატომ უნდა სჭირდებოდეთ მათ ასეთი აქსიომების ახსნა? სწორედ ამიტომ **ლეგიტიმურია ვარაუდიც, რომ ამ ადამიანებს საკუთარი უზნეო პირადი ცხოვრების გამოაშკარავება უფრო აღელვებთ, ვიდრე იმის ბედი, ვისაც უკვე „გაუბაზრდა" უზნეობა...**

**აკი, ამ უზნეობისადმი „სოლიდარული" ადამიანების ძირითადი ბირთვი სწორედაც სამთავრობო მოხელეები ან არასამთავრობო სექტორის ის წარმომადგენლები არიან, რომლებსაც სამომავლოდ აშკარად სხვადასხვა სახელისუფლო რგოლისთვის, მთავრობისთვის ან პარლამენტისთვის ამზადებენ და რომლებიც ლამის ყოველდღიურად გვმოძღვრავენ, როგორ უნდა ვაშენოთ „ტოლერანტული" სახელმწიფო...**

აჰა, სიტყვამაც მოიტანა და ბარემ გადავიდეთ მომდევნო თემაზე — **რატომ არ შეიძლება, რომ სახელმწიფოს სადავეები, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორები, საზოგადოებრივად აქტიური სფეროები და ის რგოლები, რომლებიდანაც ვინმეს საზოგადოებაზე სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლია, ასეთ უზნეო ადამიანებზე იყოს მინდობილი?**

პასუხი ისევ უმარტივესია: **ასეთი ადამიანები არიან პოტენციურ დასაშანტაჟებელთა რისკჯგუფში, ანუ ადამიანები, რომლებიც ეწევიან უზნეო ცხოვრებას, იოლი დასაშანტაჟებელნი არიან.** როდესაც ასეთ რამეს ვამბობ, მავანი მისაუხებს: ადამიანს „კახპობის" უფლებაც აქვს და ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინც უზნეოდ ცხოვრობს, მათი საქციელის გადაღებისა და გამოქვეყნების უფლება უნდა ჰქონდეს ვინმესო...

გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ და კარგად გაიაზროთ, რასაც ვამბობ: აქ საუბარი არ არის უფლებებზე. რა თქმა უნდა, **არავის აქვს და არც უნდა ჰქონდეს უფლება, თუნდაც „გაქანებული ბოზის" პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გადაიღოს და გამოაქვეყნოს, მაგრამ არა მგონია, თუნდაც რომელიმე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურმა იმას გაუწიოს ანგარიში, რისი უფლება აქვს და რისი — არა!**

ჰოდა, **წარმოიდგინეთ რომელიმე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურმა ან შიდა საბოტაჟის მოწყობის მსურველმა ხელთ იგდო იმ ადამიანების უზნეო პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო, ფოტო, აუდიომასალა ან თუნდაც ინტერნეტმიმოწერა, რომლებზეც არის ბევრი რამ დამოკიდებული ამ ქვეყანაში.** აბა, გამეცით პასუხი: **ატარებენ თუ არა ისინი თავის ჭკუაზე ასეთ ადამიანებს და მიადგება თუ არა ზიანი ამით ჩვენს ქვეყანას?**

სიმართლე გითხრათ, ძალიან ვწუხვარ, რომ ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ამ ელემენტარული, უმარტივესი აქსიომების ასე დაღეჭვა, დახურდავება, დაქუცმაცება და მიწოდება სჭირდება! ქვეყნებში, სადაც საზოგადოება კარგად არის განვითარებული, ასეთ უმარტივეს პოსტულატებზე არც კი დავობენ!

**უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება სხვადასხვა ქვეყნიდან, სადაც ოჯახის მქონე და „გვერდზე" გახედულ სახელმწიფო მოხელეებს ზნეობის სასამართლო ჩაუტარეს და მათი კარიერა შეიწირა კიდეც ასეთმა უზნეო „პირადმა ცხოვრებამ"!**

ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, **ბილ კლინტონის** მაგალითიც საკმარისია. მით უმეტეს, მასზე კადრებიც არავის ჰქონდა, უბრალოდ, ვინმე **მონიკა ლევინსკიმ** განაცხადა პრეზიდენტთან ინტიმური კავშირის შესახებ და, თუ გახსოვთ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი პირდაპირ ეთერშიც კი დაჰკითხა სასამართლომ!

ჩვენთან კი რა ხდება? — გამოდიან ამაყი სახეებით არასამთავრობოს თუ სამთავრობოს წარმომადგენლები, პარლამენტის თავმჯდომარე, თვით ქვეყნის პრეზიდენტიც კი და „ამაყად" აცხადებენ — „მდიდარი" სექსი მაქვს და მომავალშიც მექნებაო!

შენ გაიხარე! მიდი-მოვდივარ! არ დაინდო, დაიპყარი!

აი, **ასეთია საქართველოში „გამოქვეყნებული უზნეობის ქრონიკა" და არავის აზრად არ მოსდის, იურიდიული თუ სხვა სახის ნიუანსების გვერდით, აუცილებლად თქვას, რომ ეს ქვეყნის დიდი სირცხვილიცაა.**

უდავოდ **ამ ქვეყნის პრობლემაა ის, რომ ვიღაცას ხელეწიფება, გადაიღოს და გამოაქვეყნოს ასეთი კადრები!**

**მაგრამ ქვეყნის საშინელი სირცხვილი ისაა, რომ ამ ქვეყანაში ასეთი კადრების გადაღების ობიექტური გარემოებები არსებობს, ანუ ამ ქვეყანაში უზნეო ადამიანებს უჭირავს როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო და თუნდაც მედიასექ(ს)ტორები...**

**და იმის ნაცვლად, რომ ვიღაცას შერცხვეს, იმის ნაცვლად, ვიღაცამ თქვას, რომ ასეთი უზნეო ადამიანები ქვეყანაში არ უნდა ბოგინობდნენ, რადგან ეს, პირველ რიგში, ქვეყნის უსაფრთხოებისთვის არის დიდი პრობლემა, ტუტუცი პოზიორები „ჰუმანისტის" პოზაში ჩამდგარან და ნორმალურ ადამიანებს, რომლებიც უზნეობას გვერდით არ უდგანან, ქმარშვილიან კახპებს სოლიდარობას არ უცხადებენ და ქვეყნის ხელმძღვანელებისგან მინიმალურ ზნეობას მაინც მოითხოვენ, რატომღაც** ▶

**წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურმა ან შიდა საბოტაჟის მოწყობის მსურველმა ხელთ იგდო იმ ადამიანების უზნეო პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეო, ფოტო, აუდიომასალა ან თუნდაც ინტერნეტმიმოწერა, რომლებზეც არის ბევრი რამ დამოკიდებული ამ ქვეყანაში. აბა, გამეცით პასუხი: ატარებენ თუ არა ისინი თავის ჭკუაზე ასეთ ადამიანებს და მიადგება თუ არა ზიანი ამით ჩვენს ქვეყანას?**

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პრეზიდენტი ჩამეკრა და მთხოვა, ყველა კარი ჩამეკეტა, გავჩუმებულიყავი და ხმადაბლა მესაუბრა. ჩამჩურჩულა, რომ ეს ქალი საქართველოდან იყო, მიხეილ სააკაშვილს მუქარა შემოუთვლია, თუ „გაზპრომს" შეიყვანს საქართველოში, რაც დაემართება, თავის თავს დააბრალოსო.**

### „ციციკორეებს" უწოდებენ!

ეს კიდევ ერთი ნაცადი პოზაა!

თუკი აღარ გაქვს არაფერი სათქმელი, ადექი და დააბრეხვე ასე უაზროდ — **„ციციკორეებო! მიდი, კიდევ ერთი მარიტა შესვით ვირზე უკუღმა!"** — და ასე შემდეგ.

ვერაფერს იტყვი! სხვასაც აშინებ, — ემანდ ვინმემ „ციციკორე" არ მიწოდოსო და შენც „ჰუმანური ადამიანის" სახელი გარანტირებული გაქვს.

არადა, ციციკორეს ტიპაჟი იმიტომ იყო ამაზრზენი და უარყოფითი, რომ მან მარიტას ბედი განსაზღვრა — ტყუილითა და ძალადობით მიათხოვა იგი შეთეს, ადამიანს, რომელიც მარიტას არ უყვარდა და, როდესაც მისი შეყვარებული გედია ცოცხალი და უვნებელი დაბრუნდა, რაღა თქმა უნდა, მარიტას ემოციის შეკავება გაუჭირდა...

და ახლა შეიძლება ვინმე ჭკუათმყოფელმა ეს შეადაროს იმას, რომ საზოგადოება მინიმალური მორალის დაცვას ითხოვს იმ ადამიანებისგან, რომლებსაც ხელფასს უხდის?

პატივცემულო „ძაანჰუმანურო" პოზიორო ტუტუცებო!

ჩვენი მინისტრები, სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის უზნეო და სამარცხვინო ადამიანები ჩვენ ძალით არ დაგვიქორწინებია. მათ მეუღლეები თავად აირჩიეს!

**და კეთილი ინებონ და „მდიდარი", „მრავალფეროვანი" თუ „ცეცხლოვანი" სექსიც მათთან იქონიონ. მაგრამ, თუ არ „ჰყოფნით", მაშინ ან გაშორდნენ მეუღლეებს და თავში ქვა უხლიათ, ან თავი შეიკავონ ისეთი საზოგადოებრივი აქტივობებისგან, როგორი აქტივობების შემთხვევაშიც ვინმე ბოროტმა, ცუდმა, ნაძირალამ და ნაგავმა ისინი შეიძლება დააჟანტაჟოს და ამით ქვეყანა დიდად დააზარალოს!**

პლუს ამას, მარიტა არ ყოფილა არავითარი საზოგადოებრივი აქტივობით დაკავებული და არც გადასახადის გადამხდელთა ჯიბიდან იღებდა ხელფასს! ასე რომ, ყველამ დაიოკეთ ეს ამაზრეზნი და დანაშაულებრივი „ჰუმანური" პოზა და სახელმწიფოებრივად იაზროვნეთ!

მართლაც სავალალოა, რომ ჩვენს ქვეყანაში საჭირო ხდება ამ უმარტივესი ჭეშმარიტების ახსნა — **სახელმწიფოს, მაღალი თუ არა, მინიმალური ზნეობის ადამიანები მაინც უნდა მართავდნენ. ხოლო ის, რომ მეუღლემ მეუღლეს არ უნდა უღალატოს, მინიმალურზე კიდევ უფრო მინიმალური ზნეობაა!**

ზუსტად გეუბნებით — **კანონის გამკაცრება ვერ უშველის ამ საქმეს და, სანამ ქვეყნის სათავეებთან უზნეო და ნაძირალა ადამიანები დგანან, „გამოქვეყნებული უზნეობის ქრონიკებს" ვერანაირი „სექსი მეც მაქვს" ტიპის სულელური და დემაგოგიური ლოზუნგები ვერ შეაჩერებს.**

სტერეოტიპებს ვანგრევთო. „არა იმრუშო" სტერეოტიპია, დავანგრიოთ?

„არა კაც ჰკლა" სტერეოტიპია და დავანგრიოთ?

# როგორ შეაშინა ჩერგოს სადაქალომ რუსეთი

**რამდენიმე დღის წინათ თბილისში მეხისდამცემი ჯაჭვი შეიკრა. ერი და ბერი „გაზპრომის" წინააღმდეგ გამოვიდა და ნამდვილი ნაციონალური შეკრება გამართა. იმ დღეს სამყარო თითქოს დადუმდა. თვით განგებაც კი გულის ფანცქალით შეჰყურებდა მოვლენებს და კბილების კაწკაწით აკვირდებოდა ერის გუგუნს. მსოფლიო ლიდერები ხალხის სიმრავლით ისე გაშტერებულან, რომ 2 საათი ტელევიზორს ვერ წყვეტდნენ თვალს და გასუსულები უცქერდნენ თბილისში შეკრულ ძეწკვს, უკაცრავად, ჯაჭვს.**

როგორც ჩვენი ოკუპანტი წყარო გვიყვება, ამ აქციის გამართვას გულისხეთქვით შეხვედრია რუსული ელიტა და თვით ვლადიმერ პუტინი. მაშ ასე, რას იხსენებს კრემლის მთავარი მზარეული ნადია:

„მე კრემლის მზარეული ვარ. უკვე წლებია, აქ ვმუშაობ და მაღალი თანამდებობის პირები სულიერ დასაც კი მეძახიან, ისე მენდობიან. ბატონი ვლადიმერის სამუშაო კაბინეტში ვიყავი, ბავშვობის მეგობრები ჰყავდა. პრეზიდენტმა მთხოვა, ტელევიზორი „რუსთავი 2"-ზე გადამერთო. მეც გადავრთე, ის-ის იყო 12-საათიანი „კურიერიც" დაიწყო. პირველი ნიუსი „გაზპრომის" საწინააღმდეგო აქციის სამზადისს მიეძღვნა. მოულოდნელად ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. შევატყვე, პრეზიდენტი შეშფოთდა. დავინტერესდი მიზეზით და მანაც გულახდილად მითხრა ყველაფერი. პრეზიდენტი ძალიან გახსნილია ჩემთან და თითქმის არაფერს მიმალავს. ყველა დარდს და ტკივილს მიზიარებს, „ბორჯომის" მიტანა მთხოვა და აი, რა მითხრა ბატონმა პრეზიდენტმა:

„ნადია, შენ იცი, რომ მე ბევრ ადამიანს ვერ ვენდობი, ვიცი, რომ ჩვენი საუბარი მხოლოდ ჩვენ ორს შორის დარჩება. ძალიან შევშფოთდი იმაზე, რაც თბილისში ხდება — ის მაზალო ჩერგოლეიშვილი და მთელი მისი სადაქალო ყოფილა გამოსული „გაზპრომის" წინააღმდეგ, ხომ იცი, მათგან ყველაფერია მოსალოდნელი".

შევატყვე, შეშფოთებული იყო. ბატონი ვლადიმერი ასეთ მდგომარეობაში არასოდეს მინახავს.

ამასობაში ასკილის ჩაის მომზადება მთხოვა, ახალმოკრეფილი უყვარს და მეც ბაღჩაში გავედი მოსაკრეფად. შენობიდან საკმაოდ შორია, ამიტომ გარკვეული დრო დამჭირდა ამ ყველაფრისთვის. ალბათ, განგების ნება იყო, რომ ვჩქარობდი. გული კარგს არ მეუბნებოდა.

მოვკრიფე ასკილი და სასწრაფოდ უკან გავბრუნდი. უმალ ავირბინე კიბე და პრეზიდენტის ოთახში შესულს საოცრება დამხვდა. ბატონი ვლადიმერის თავთან ვიღაც შავებში ჩაცმული ქალი იჯდა, მოკლე თმითა და შავი სათვალით. მისი მაჯა ეჭირა ხელში, თვალები ჰქონდა დახუჭული და გაურკვეველ ფრაზებს ბუტბუტებდა. შეშინებულმა ყვირილი დავიწყე. შავოსანი ქალბატონიც დაფრთხა და ფანჯრისკენ გაიწია, ცდილობდა მინის ჩამსხვრევას თავით, ურტყა, მაგრამ ვერაფერი დააკლო, ბოლოს მთელი ძალით მიეხეთქა და, როგორც ჩვენთან იტყვიან ხოლმე, „რივოკით გადაეშვა" ფანჯრიდან.

გადავიხედე, ვცდილობდი, დამენახა, საით წავიდა, დაცვამ ძაღლებიც კი დაადევნა, მაგრამ ამაოდ, მხოლოდ ის დავინახე, რომ შავ „რაფში" ჩაჯდა და დიდი სისწრაფით გაეცალა კრემლის ტერიტორიას. მივუბრუნდი პრეზიდენტს, იგი ვინმე ელისოს ახსენებდა.

სამწუხაროდ, არ ვიცი, ვინ არის ეს ელისო. ამ სახელის ხსენება იმ შავოსანი ქალბატონის სტუმრობის შემდეგ დაიწყო, ვკითხე, ვინ იყო და რა უნდოდა, რაზეც პრეზიდენტმა ჩამჩურჩულა, რომ ეს ქალი საქართველოდან იყო, მიხეილ სააკაშვილს მუქარა შემოუთვლია, თუ „გაზპრომს" შეიყვანს საქართველოში, რაც დაემართება, თავის თავს დააბრალოსო.

ამ დღის შემდეგ ბატონ პრეზიდენტს სიტყვა „გაზპრომი" აღარ უხსენებია.

**ელიკო სილაძე**



# გაურავ ჩოპრა — მთავრობის ზესაიდუმლო იარაღი!

**„გაზპრომის" თემა ერთ-ერთ ძირითად თემად რჩება ჩვენს ქვეყანაში. ამ რუსული კომპანიის წინააღმდეგ რამდენიმე დღის წინათ სპეციალური და „ხალხმრავალ აქციად" დაანონსებული ე.წ. ცოცხალი ჯაჭვიც კი მოეწყო „ნაციონალური მოძრაობის" თაოსნობით.**

როგორც ვნახეთ, ამ ე.წ. ჯაჭვში, რომლის ორგანიზატორებიც ირწმუნებოდნენ, რომ იგი თავისუფლების მოედნიდან ბაგებამდე, ანუ სახელმწიფო კანცელარიის შენობიდან რუსეთის საკონსულოს შენობამდე გადაიჭიმებოდა, რეალურად სულ რამდენიმე ათეული ადამიანი იდგა. არადა, თუკი „ნაციონალებს" და მათ მსგავს პარტიებს მოვუსმენთ, ქართველ საზოგადოებაში ანტირუსული განწყობა ძლიერად არის ფეხმოკიდებული.

მაშ, **რატომ არ მივიდა ამ მკვეთრად ანტირუსულ აქციაზე მთელი მოსახლეობა? სად იყო ის „უამრავი" ხალხი, რომელსაც თურმე რუსეთისა და „გაზპრომის" ხსენებაზე ალერგია ემართება და ფოთლავს?**

ეს კითხვა სამუდამოდ პასუხგაუცემელი დარჩებოდა, ჩვენს ძალიან ყურადღებიან კორესპონდენტს რომ არ შეემჩნია ძალიან საეჭვო ფაქტი — „გაზპრომის" საწინააღმდეგო აქციის გამართვა დროში დაემთხვა ცნობილი სერიალის — „ორი ბედის" ვარსკვლავ **გაურავ ჩოპრას** ჩამოყვანას ინდოეთიდან.

როგორც კი ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას, ჩვენმა ძალიან ყურადღებიანმა კორესპონდენტმა გადახვევის რეჟიმში უყურა იმ დღეების ვიდეოარქივს და საოცარი ფაქტები აღმოაჩინა.

კერძოდ, სწორედ იმ დროს, როდესაც „გაზპრომის" საწინააღმდეგო აქციაზე მისული უამრავი ადამიანი ერთმანეთისთვის ხელების ჩაჭიდებას და მრავალკილომეტრიან ცოცხალ ჯაჭვში მედგრად ჩადგომას აპირებდა, **გიორგი ჯაჯანიძემ** ჭავჭავაძისა და რუსთაველის გამზირებზე **რახუმანდრა რატხოდის** როლის შემსრულებელი ჩამოატარა.

ვიდეოკადრებში კარგად ჩანს, როგორ ყრის უამრავი ადამიანი ასფალტზე ტრაფარეტებს წარწერით „არა გაზპრომს" და მისტერ რატხოდისკენ გარბის.

ჩვენი ძალიან ყურადღებიანი კორესპონდენტის ეჭვები კი საბოლოოდ მაშინ გამართლდა, როდესაც კადრებში შენიშნა, სახლების სახურავებზე განლაგებული სუს-ის შავსათვალიანი აგენტები როგორი გახარებული უკრავდნენ ტაშს, როდესაც ხალხი „არა გაზპრომის" აქციას ტოვებდა და რატხოდისკენ გარბოდა.

ფაქტობრივად, დადასტურებულად **შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ტელეკომპანია „იმედის" გადაცემაში „სხვა რაკურსი" გაურავ ჩოპრას მიწვევა მხოლოდ საფარია. სინამდვილეში, საქართველოს მთავრობამ და სუს-მა მიაკვლიეს უებარ მეთოდს, როგორ უნდა დაშალონ „ნაციონალების" ხალხმრავალი და მასობრივი საპროტესტო აქციები.**

აკი, თვითონ გაურავ ჩოპრამაც განაცხადა, — შეიძლება, სამუდამოდ დავრჩე საქართველოშიო!

ეჭვი აღარ არის, **აწი ყველგან, სადაც „ნაცები" ხალხმრავალი აქციის გამართვას გადაწყვეტენ, გაურავ ჩოპრას ჩამოტარება და ხალხის მისკენ გავარდნა ერთი იქნება. როგორც სუს-ი ვარაუდობს, „ნაცების" აქციების დროს ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება, რადგან, როგორც ცნობილია, მათ აქციებში მონაწილეობისთვის ადამიანები ხან ელიავას ბაზრობიდან მოჰყავთ და ხანაც ქუჩის მოვაჭრე ქალბატონებს 10-10 ლარს ურიგებენ. ეს კონტინგენტი კი ყველაზე ერთგული მაყურებელია ინდური სერიალებისა და, შესაბამისად, ყველაზე იოლად ემორჩილება მისტერ რატხოდის ქარიზმას.**

როგორც ჩანს, „ნაცების" მიერ ორგანიზებული „მილიონიანი" მარშების პრობლემა საბოლოოდ გადაჭრილია. თუკი მაინც ბოლომდე ასპროცენტიანი ეფექტი არ გვექნა, იჩასა და ტაპასიასაც დავახმართო, — განუცხადა ჩვენს არც ის სპეციალურ კორესპონდენტს სუს-ის ძალიან მოლაყბე აგენტმა.

**ანი ყველგან, სადაც „ნაცები" ხალხმრავალი აქციის გამართვას გადაწყვეტენ, გაურავ ჩოპრას ჩამოტარება და ხალხის მისკენ გავარდნა ერთი იქნება. როგორც სუს-ი ვარაუდობს, „ნაცების" აქციების დროს ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტიანი იქნება, რადგან, როგორც ცნობილია, მათ აქციებში მონაწილეობისთვის ადამიანები ხან ელიავას ბაზრობიდან მოჰყავთ და ხანაც ქუჩის მოვაჭრე ქალბატონებს 10-10 ლარს ურიგებენ. ეს კონტინგენტი კი ყველაზე ერთგული მაყურებელია ინდური სერიალებისა და, შესაბამისად, ყველაზე იოლად ემორჩილება მისტერ რატხოდის ქარიზმას**

**აბა რავარია**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ილუსტრირებული წიგნი, რომელშიც მოთხრობილია ერთნაირსქესიანი მშობლების შესახებ, ავსტრალიაში საკმაოდ იშვიათი მოვლენა იყო, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, პროპაგანდისტული მანქანა ამუშავდა და ამ ქვეყანაშიც დაიწყეს მცირეწლოვანი ბავშვების განათლება ჰომოსექსუალურ საკითხებში.**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...



# ერდოღანის ცოლმა ჰარამხანას ქალების ცხოვრების სკოლა უწოდა

**კონფერენციაზე „სულთნების დედები, რომლებმაც კვალი დატოვეს ისტორიაში“ თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ ტაიფ ერდოღანის ცოლმა, ემინე ერდოღანმა, განაცხადა, რომ ჰარამხანები სასარგებლო იყო, რადგან ოსმალეთის იმპერიის პერიოდში სულთნების ცოლები და მხევლები განათლებას ჰარამხანაში იღებდნენ ეწეოდნენ ქველმოქმედებას და ცხოვრებისთვის ემზადებოდნენ.**

ქალბატონ ემინეს არ დაუკონკრეტებია, რომელი ცხოვრებისთვის ემზადებოდნენ სულთნის ცოლები და მხევლები, ასე რომ, კითხვა, — სად უნდა წასულიყვნენ და რომელ სფეროში უნდა ელვაწათ, უპასუხოდ რჩება.

თურქეთის პირველი ლედის ამ განცხადებამ სოციალური ქსელების თურქი მომხმარებლების განცვიფრება გამოიწვია. მათ ემინე ერდოღანს შეახსენეს, რომ ჰარამხანებში არანაირი წიგნი არ იყო. ქალბატონი ემინეს ქმარი კი დაადანაშაულეს, რომ ის ქვეყანას ისე მართავს, თითქოს სულთანია და არა — პრეზიდენტი.



# «დედიკო და დედა ქორწინდებიან»

## ავსტრალიაში ბავშვებს ჰომოსექსუალების ოჯახში ცხოვრებას ასწავლიან

**ავსტრალიელმა წყვილმა — როზ ჰოპკინსმა და ნატალი ვინტერმა — ახლახან გამოსცა წიგნი სახელწოდებით „დედიკო და დედა ქორწინდებიან“, რომელსაც წინ უსწრებდა კარგად დაფინანსებული პროპაგანდისტული კამპანია.**

ილუსტრირებული წიგნი, რომელშიც მოთხრობილია ერთნაირსქესიანი მშობლების შესახებ, ავსტრალიაში საკმაოდ იშვიათი მოვლენა იყო, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, პროპაგანდისტული მანქანა ამუშავდა და ამ ქვეყანაშიც დაიწყეს მცირეწლოვანი ბავშვების განათლება ჰომოსექსუალურ საკითხებში.

**ლესლი ნიუმანის** წიგნი „ჰაზერს ორი დედა ჰყავს“ (Heather Has Two Mommies) აშშ-ში პირველად 1989 წელს გამოიცა და ურთიერთსაწინააღმდეგო გამოხმაურებები ჰქონდა. 2015 წელს ეს წიგნი მეორედ გამოიცა აშშ-ში, ავსტრალიაში კი პირველად დაბეჭდა გამომცემლობა Walrer Books-მა. ამ წიგნში მოთხრობილია, როგორ უყვებიან საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ერთმანეთს თავიანთ ოჯახებ-







ზე, რომ დედიკოებს ხელზე საქორწინო ბეჭდები აქვთ და ა.შ.

ლესლი ნიუმანმა, აგრეთვე, გამოსცა (2009 წელს) წიგნი, რომელშიც აღწერილია ბავშვის ცხოვრება, როგორ ჭამს, იკრეჭს თმას, სეირნობს დიდი ადამიანების ზურგით — ამ ყველაფერს კი აკეთებს თავის ორ დედასთან ერთად. ავტორი წიგნში ბავშვს ათქმევინებს, რომ ორი დედა — ეს ნორმალურია. სხვათა შორის, 2009 წელს გამოიცა წიგნი „მამიკო, მამა და მე“.

# ჰოლივუდელი ძმები ვაჩოვსკები ახლა დები არიან — «მატრიცის» რეჟისორმა სქესი შეიცვალა


ძმები ვაჩოვსკები ახლა დები არიან


ენდი-ლილი

**ცნობილი ჰოლივუდელი რეჟისორი ენდრიუ (ენდი) ვაჩოვსკი ქირურგიული ჩარევის შედეგად ქალად იქცა. ამიერიდან ყოფილი ძმები ლოურენსი (ლარი) და ენდრიუ (ენდი) მოიხსენიებიან, როგორც დები — ლანა და ლილი. ქალად გარდასახვაზე 48 წლის ენდი-ლილი გამოცემა The Windy Cuty Times-ს ესაუბრა.**

რეჟისორმა აღიარა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა ასეთ კარდინალურ ცვლილებაზე და ახლა, როგორც იქნა, განახორციელა ჩანაფიქრი. სიმართლის გამჟღავნება კი აიძულეს ჟურნალისტებმა, რომლებიც მას სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნებითა და სკანდალით ემუქრებოდნენ.

„ტრანსექსუალისთვის ძალიან ძნელია თავისი ცხოვრების დამალვა. მე, უბრალოდ, შესაფერის მომენტს ველოდებოდი. დიახ, მე ტრანსგენდერი ვარ და სქესი შევიცვალე“, — განაცხადა ვაჩოვსკიმ და დასძინა, რომ მისი მდგომარეობა მარტივი არ არის.

**„მე მხარი დამიჭირა ოჯახმა და მქონდა სახსრები იმისათვის, რომ მიმემართა ექიმისთვის, რომელმაც მომცა შანსი, ეს პროცესი გადამეტანა. მხარდაჭერისა და სახსრების გარეშე კი ტრანსექსუალებს გარდაქმნის შესაძლებლობა არ აქვთ“,** — განაცხადა ენდი-ლილიმ.

ეს სიახლე შოკისმომგვრელი აღმოჩნდა ჰოლივუდელი რეჟისორის ბევრი თაყვანისმცემლისთვის. ენდი ვაჩოვსკი ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ სანიმუშო მეოჯახედ ითვლებოდა. ის **ალისა ბლასინჭეიმზე** 1991 წელს დაქორწინდა. ახლა კი უცებ დის კვალს დაადგა.

ენდი-ლილის უფროსი ძმა ლარი 2003 წელს წარუდგა საზოგადოებას ქალის კაბაში, 3 წლის შემდეგ კი სქესი შეიცვალა და ლანა გახდა. 2012 წელს ლანა ვაჩოვსკიმ საჯაროდ განაცხადა იმ სირთულეებზე, რომელთა წინაშეც „გარდამავალ“ პერიოდში აღმოჩნდა, და ამისთვის პრემიაც კი მიიღო — Visibility Award-ი.

შეგახსენებთ, რომ ძმები ვაჩოვსკები (ახლა უკვე — დები) ჰოლივუდელი რეჟისორები არიან. მათი გადაღებულია საკულტო ტრილოგია „მატრიცა“, აგრეთვე, „ღრუბლის ატლასი“, „მერვე გრძნობა“ და სხვ.

## სიბილწის დაკანონება გრძელდება — იტალიის სენატმა მხარი დაუჭირა ერთნაირსქესიანი კავშირების ლეგალიზაციას

**30 იანვარს რომში გამართული ჰომოსექსუალიზმის დაკანონების საწინააღმდეგო მრავალათასიანი საპროტესტო აქციის მიუხედავად, 25 თებერვალს იტალიის სენატმა 173 ხმით 71-ის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა იტალიაში ერთნაირსქესიანთა კავშირების დაკანონებას.** ხანგრძლივი დებატების შემდეგ კანონპროექტში შეიტანეს ცვლილებები. კერძოდ, ერთნაირსქესიანთა წყვილებს არ ეძლევად შვილად აყვანის უფლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბავშვი ერთ-ერთის ბიოლოგიური შვილია. კანონპროექტი ახლა იტალიის პარლამენტის ქვედა პალატაში გაიგზავნება, რომელიც, სავარაუდოდ, მხარს დაუჭერს. ამ კენჭისყრას იტალიის პრემიერმინისტრმა მატეო რენციმ „ისტორიული“ უწოდა. იტალია დასავლეთ ევროპის ბოლო დიდი სახელმწიფოა, რომელშიც ერთნაირსქესიანთა ქორწინება აკრძალული იყო.




ეს უნდა იცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გაუპატიურება ამერიკულად

## სექსუალური ძალადობა კამპუსებში — აშშ-ის სისტემური პრობლემა

**აშშ-ში მწვავედ დგას უნივერსიტეტების კამპუსებში (სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი) სექსუალური ძალადობის პრობლემა. ზოგიერთი მონაცემით, ყოველი მეოთხე სტუდენტი გოგონა ამა თუ იმ ფორმის სექსუალური ძალადობის მსხვერპლია. სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება უნივერსიტეტებში შექმნილი კომისიების საქმეა, მაგრამ ამ კომისიების წარმომადგენლები დაინტერესებულნი არიან, უმაღლესმა სასწავლებელმა კარგი იმიჯი შეინარჩუნოს და ამიტომ ცდილობენ, მიჩქმალონ სამარცხვინო ინციდენტები.**




### კამპუსში ლეიბით

2012 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტი გოგონა **ემა სულკოვიჩი** მეორე კურსზე ახალი გადასული იყო, როდესაც გარყვნილი ფორმით გააუპატიურეს. გოგონამ გადაწყვიტა, რომ შეძლებდა მომხდარის გადატანას და სამართალდამცველებს არ მიმართა, მაგრამ, როდესაც შეიტყო, რომ მოძალადემ კიდევ ორი სტუდენტი გოგონა გააუპატიურა, ამჯობინა, აღარ გაჩუმებულიყო.

სამივე მსხვერპლმა სარჩელი შეიტანა უნივერსიტეტის კომისიაში, რომელსაც ასეთი საქმეების განხილვა და სათანადო რეაგირება ევალება.

7 თვის შემდეგ გაიმართა სულკოვიჩის საქმის მოსმენა, რომელზეც კომისიის წევრები მოითხოვდნენ, რომ გოგონას დაწვრილებით აღეწერა გაუპატიურება და ყველაფერი, რაც ამას წინ უსწრებდა.

**„კოშმარულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, იძულებული ვიყავი, დაწვრილებით მომეყოლა, რა საშინელება დამემართა“,** — იხსენებს სულკევიჩი. მაგრამ ყველაზე მეტად გოგონა გააოგნა იმ ამბავმა, თუ როგორი სიამოვნებით ყვებოდა მოძალადე ინციდენტის დეტალებს.

აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება: **სულკოვიჩს გარყვნილი ფორმით გაუპატიურებამდე ორჯერ ჰქონდა სექსი იმავე ახალგაზრდა კაცთან.**

საბოლოოდ კომისიამ გამოიტანა დასკვნა, რომ სტუდენტი ბიჭი არც ერთ შემთხვევაში დამნაშავე არ არის. სულკოვიჩს მეგობრებმა ალმაცერად დაუწყეს ყურება.

**„ვფიქრობ, ბევრი მამაკაცი გაუპატიურებას თავისებურ სექსუალურ თამაშად მიიჩნევს. ისინი ამბობენ, რომ ქალები თვითონ აცდუნებენ და ველარ ხვდებიან, როდის უნდა გაჩერდნენ. მე ვყვიროდი „არა“ და ვებრძოდი მოძალადეს. ეს ყველაფერი ჩემი თანხმობის გარეშე მოხდა“,** — აღნიშნა ემა სულკოვიჩმა.

2014 წელს სულკოვიჩმა ზურგზე ლეიბი მოიკიდა და დაიწყო კამპუსში სიარული. მან განაცხადა, რომ ასე ივლიდა, ვიდრე მოძალადეს უნივერსიტეტიდან არ გარიცხავდნენ, მაგრამ მოძალადისთვის თითიც არავის დაუკარებია, ამიტომ არც სულკოვიჩს შეუწყვეტია ლეიბით სიარული. ამით გოგონამ საზოგადოების ყურადღება მიაპყრო სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში გაუპატიურების პრობლემას — ბევრი სასწავლებლის სტუდენტმა გოგონებმა სულკოვიჩს მიბაძეს და მათაც დაიწყეს ლეიბით სიარული.

### მართლმსაჯულება უნივერსიტეტებში

**2014 წელს აშშ-ის განათლების სამინისტრომ ამერიკული უნივერსიტეტების 85 ფაკულტეტის ადმინისტრაციის საქმიანობის გამოძიება დაიწყო, რადგან ჩათვალა, რომ ადმინისტრაციები არასაკმარისი გულისხმიერებით ეკიდებოდნენ საერთო საცხოვრებელში მომხდარი ძალადობის შესახებ საჩივრებს. ამ სიაში მოხვდნენ პრესტიჟული უნივერსიტეტები: ჰარვარდის, პრინსტონის, დარტმუტისა და იელისაც კი, თუმცა ამ სასწავლებელმა პრობლემის მიმართ მიდგომა შეცვალა და თავიდან აიცილა ფედერალური სანქციები.**

ამერიკაში უნივერსიტეტებს აქვთ უფლება, თვითონ გამოიძიონ სექსუალური ხასიათის დანაშაული, თუ კი მას მსხვერპლი მიმართავს, მაგრამ კომისიის წევრებს სულაც არ სურთ, მათმა უნივერსიტეტმა მოძალადეთა სასწავლებლის რეპუტაცია მოიპოვოს, ამიტომ ცდილობენ, მოძალადის მხარე დაიჭირონ და არა — მსხვერპლის.

**სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული ორგანიზაცია RAPE, ANUSE & INCEST NATIONAL NETWORK (RAIN)-ის მონაცემებით, უნივერსიტეტებში სექსუალური ძალადობა ჩადენილია სტუდენტთა 3%-ის მიერ. სექსუალური ძალადობის შემთხვევათა უმეტესობა ხდება კამპუსებში მოწყობილ საღამოებზე, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ, თუმცა არცთუ იშვითად — პაემნებზეც. ამასთანავე, სტუდენტი გოგონების გაუპატიურების შემთხვევების 15% ჯგუფურად არის ჩადენილი.**

აღსანიშნავია, რომ ამჟამად აშშ-ის უმაღლეს სასწავლებლებში 20 მილიონი ახალგაზრდა სწავლობს, მათი 67% სუსტი სქესის წარმომადგენელია.



**ცნობისათვის:**

**აშშ-ში ბოლო წლების განმავლობაში საგანგაშოდ მოიმატა სექსუალური ძალადობის შემთხვევებმა სკოლის მოსწავლეთა შორისაც. Journal of Youth and Adolescene-ს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, სკოლის მოსწავლე ბიჭების თითქმის 10%-ზე სექსუალურად ძალადობენ.**

**ბოლო შემთხვევა მოხდა რამდენიმე კვირის წინათ ტენესის შტატში, სადაც კალათბურთელთა გუნდის სამმა წევრმა 15 წლის ახალბედა გააუპატიურა.**

**ნიუიორკელი ფსიქოლოგის — სუზან ლიპკინსის აზრით, სკოლის მოსწავლეთა შორის სექსუალური ძალადობის ფაქტების გახშირებაში დიდი წვლილი მიუძღვის სოციალურ მედიას, რომლიდანაც მოზარდები ძალადობის ახალი და სასტიკი ფორმების შესახებ ინფორმაციას იღებენ.**





## შვედი ლიბერალები ნეკროფილიის დაკანონებას მოითხოვენ

**შვედეთში ლიბერალური პარტიის ახალგაზრდული ფრთა ნეკროფილიისა და 15 წლის ზემოთ ადამიანებს შორის ინცესტის ლეგალიზებას მოითხოვს.**

„არ მოგვწონს ისეთი ზნეობრივი კანონები და კანონმდებლობა, რომელიც სხვა ადამიანის უფლებებს არღვევს“, — აცხადებს ახალგაზრდა ლიბერალების თავმჯდომარე **სესილია ჯონსონი.**

ახალგაზრდა ლიბერალები მოითხოვენ, ადამიანს 15 წლის შესრულების შემდეგ ჰქონდეს ნათესავებთან სექსუალური აქტის უფლება. მათი თქმით, კანონიერი უნდა იყოს სექსი გარდაცვლილთანაც იმ შემთხვევაში, თუ პირი გარდაცვალებამდე სექსუალურ აქტზე თანხმობის წერილს დატოვებს.



## კოლექტიური მასტურბაცია პრაღის ცენტრში

**1 ივნისს ჩეხეთის დედაქალაქ პრაღის სტარომესტკის მოედანი უჩვეულო მოვლენის ეპიცენტრი იქნება. როგორც ჩეხური გამოცემა LiveNews.cz იუწყება, ზაფხულის პირველ დღეს აქ უჩვეულო ფლეშმობი გაიმართება — ონანიზმის ათასობით მოყვარული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან პრაღის ცენტრალურ მოედანზე საყვარელი საქმით ერთად და ერთდროულად დაკავდება. ორგანიზატორების განცხადებით, მათ ერთიანობის განცდა სურთ: ორგაზმი ერთად და ერთმანეთის თვალწინ.**

აქციის ორგანიზატორებმა სოციალურ ქსელში საკუთარი გვერდიც კი გახსნეს, სადაც ღონისძიებაზე დასწრების სურვილი უკვე 5 ათასზე მეტმა ადამიანმა გამოთქვა. აქციაზე დამსწრეებს მხოლოდ დეტალების დაზუსტებაღა აწუხებთ: გაიხადონ მთლიანად თუ არა, მიეხმარონ ერთმანეთს მასტურბაციაში თუ ინდივიდუალურად განახორციელონ აქტი და ა.შ.

ადგილობრივი პოლიცია შეშფოთებას გამოთქვამს დაგეგმილი აქციის გამო, მათ ჯერ ვერ გაურკვევიათ, რა ზომები მიიღონ სამართალდამრღვევთა მიმართ, რადგან ასეთი რაოდენობის მონაწილეთა დაკავებას პოლიცია ფიზიკურად ვერ შეძლებს.

## ავღანელმა მიგრანტმა ბელგიაში «წითელი ჯვრის» თანამშრომელი გააუპატიურა



**ბელგიის ქალაქ მენენში საერთაშორისო ორგანიზაცია „წითელი ჯვრის“ თანამშრომელ ქალს 16 წლის ავღანელი ლტოლვილი თავს მას შემდეგ დაესხა, რაც ყმაწვილმა მოისმინა ლექცია ქალებისადმი პატივისცემით მოპყრობის შესახებ.**

„არასრულწლოვანმა ავღანელმა სასადილოს თანამშრომელი ქალი სარდაფში გააუპატიურა. როგორც ჩანს, მოზარდმა ქალის ყურადღების მიპყრობა სცადა, მაგრამ უარი მიიღო და ამის შემდეგ იძალადა“, — განაცხადა „წითელი ჯვრის“ წარმომადგენელმა **ან ლეიტენმა.** მისი თქმით, ორგანიზაცია „წითელი ჯვარი“ „სექსუალური განათლების“ კურსებს უტარებს 14, 15 და 16 წლის ობოლ მოზარდებს, რომლებმაც არ იციან, როგორ მოიქცნენ ევროპელ ქალებთან.

„მათ არ იციან, რომ აქ მამაკაცებსა და ქალებს თანაბარი უფლებები აქვთ და სექსუალური ძალადობა დაუშვებელია“, — აღშფოთებას ვერ მალავდა ლეიტენი.

გაეროს მონაცემებით, 2016 წელს ევროკავშირის ქვეყნებში ლტოლვილების რაოდენობამ მოიმატა: იანვარ-თებერვალში ევროპაში 80 ათასზე მეტი კაცი ჩავიდა, უფრო მეტი, ვიდრე 2015 წლის პირველ 4 თვეში.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საკანონმდებლო საქმიანობას ემსახურებოდა, ალბათ, ორმოცდაათამდე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ კატეგორიის სპეციალისტებისთვის ანაზღაურება 250-300 მანეთს შეადგენდა, გამოდის, რომ მთელი საკანონმდებლო სისტემის შენახვა თვეში 15 ათასი, ანუ წელიწადში 180 ათასი მანეთი უჯდებოდა რესპუბლიკას.**

# სტალინი და საარჩევნო სისტემა,

## ანუ არის თუ არა არჩევნები ყველა უბედურებისა და გაუგებრობის სათავე

**არჩევნები თავისი ბუნებით ძალზე რთული და უმართავი პროცესია. არჩევანი დამოკიდებულია გარემოზე, განწყობაზე, წამიერ სურვილსა და ათასგვარ ფაქტორზე. არჩევანი, რომელიც ექვს არ უნდა იწვევდეს ადამიანში, ხშირად ხდება თვით ამ ადამიანის დაუკმაყოფილებლობის ან, თუნდაც, გალიზიანების მიზეზი. რაც შეეხება, საზოგადოდ, არჩევნებს, ის მიუღებელ და ფუჭ შრომად მიმაჩნია, რადგან არჩევნები როგორი გამჭვირვალე, ძალდაუტანებელი და მოუსყიდველიც უნდა იყოს, შეუძლებელია, წარმოადგენდეს საზოგადოების უმრავლესობის არჩევანს, რადგან ყველა ინდივიდ თავისი ინდივიდუალური არჩევანი აქვს და მისი შერწყმა კოლექტიურ არჩევნებ უტოპიაა. ორ ადამიანს შორისაც კი რაღაც პერიოდის განმავლობაში თანაცხოვრებისა და ურთიერთდაკვირვების შემდეგ გაირკვევა, რომ მათ სწორი არჩევანი ვერ გააკეთეს, რაც კინკლაობამდე და ხშირად ტრაგედიამდეც მიდის.**



**სტალინი პარტიის განუსაზღვრელი ძალაუფლების შეზღუდვასა და მის წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებდა, რომელსაც სახელმწიფოს მართვის მთელი სისტემის ტრანსფორმაცია უნდა მოჰყოლოდა. ის ფიქრობდა, რომ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურა საჭირო აღარ იყო და იგი ხალხისთვის ხელისუფლების გადაბარებით უნდა შეცვლილიყო**

**მაშ, რა არის არჩევანი და არჩევნები?**

ვფიქრობ, არჩევნები ხალხის დემოკრატიული მართვის თანამედროვე მეთოდი კი არა, არქაული, უძველესი ჩამორჩენილობისა და საზოგადოების ინსტიქტური მართვის მეთოდია შესაბამისი პერიოდისთვის გამართლებული.

ადრინდელი ეპოქის ჩრდილოეთ ამერიკელ ტომებში ბელადის არჩევის პარამეტრები ასეთი იყო (შეიძლება დღესაც ასეა): ის უნდა ყოფილიყო ძლიერი მეომარი, მოხერხებული, მრავალრიცხოვანი ოჯახისა და ახლობლების პატრონი, რათა მეზობელი ტომის თავდასხმის შემთხვევაში წინააღმდეგობა გაეწია მომხვდურსთვის და ისრით თუ კომბლით ხელში განედევნა თავისი საცხოვრისიდან.

ამისი ნათელი მაგალითები ჩვენს ქვეყანაშიც გვხვდება გასული საუკუნის დასაწყისამდე, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, რაც შესანიშნავად აქვს მოთხრობილი **ალექსანდრე ყაზბეგს** თავის რომანებში, რომლებშიც ხევის ყოფა-ცხოვრებას აღწერს და ამის მაგალითად თუნდაც „ხევისბერი გოჩა“ გამოდგება.

**ხევში ხევისბერად ცხვრის ქურდი ან გარყვნილებაში შემჩნეული მოხევე ოდესმე აურჩევიათ ან აირჩევენ? — ამის წარმოდგენაც ხომ შეუძლებელია. მთაში დღესაც გვხვდება არჩევითობა, კერძოდ, რელიგიურ დღესასწაულებზე, როდესაც სოფელი ირჩევს მქადაგებელს, რომელიც ხატის წინ ხალხთან ერთად შეძახილით „ამინ!“ დალოცავს ოჯახს თუ პიროვნებას. ეჭვი არავის ეპარება, რომ კაცი, რომელიც ხატთან არის მისული და ღმერთს ევედრება, ურწმუნო, უსახელო და შერისხული არ იქნება.**

მლოცველებისაგან მცირე რაოდენობის თანხა იკრიბება, რომელიც ასევე ხალხის რჩეულს ბარდება. ყოველივე ეს არც ბრძანებით ფორმდება და არც საკანონმდებლო აქტით. ამ ჩვეულებამდე ხალხი რწმენამ და ეკლესიამ მიიყვანა.

**რა არის საყოველთაო არჩევნები, რისთვის ტარდება იგი და რა შედეგი მოაქვს?**

*** კომუნისტების პერიოდში:**

ხელისუფლება წამოაყენებდა კანდიდატურას, რომელიც არჩევნებამდე ყველა ორგანიზაციაში ხვდებოდა ამომრჩევლებს, უხსნიდა მათ სახელმწიფო სტრუქტურას და იმ დიადი ხუთწლედის შესრულებისათვის ბრძოლის აუცილებლობას, რომელსაც შეეძლო ქვეყნისა და ხალხისათვის ბედნიერების მოტანა. **არც კანდიდატურის წარმდგენს და არც ამავე კანდიდატურის ამომრჩეველს იოტისოდენა ეჭვიც არ ეპარებოდათ კანდიდატის პატიოსნებაში. ვერავინ წარმოიდგენდა, ხალხის რჩეულად დასახელებულიყო ქურდი, ნარკომანი, დეზერტირი, მექრთამე, ციხეგამოვლილი ან რაიმე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში შემჩნეული კაცი.**

*** დეპუტატი უნდა ყოფილიყო:**

რაიონის ხელმძღვანელი, მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მოწინავე მეურნეობის დირექტორი, მოწინავე მექანიზატორი, მევენახე, მეჩაიე, მეციტრუსე, მეაბრეშუმე, მეცხოველე, მსახიობი, მხატვარი, პოეტი, მწერალი, სპორტსმენი, მინისტრი, რესპუბლიკის პარტიული და სამეურნეო აქტივიდან გამორჩეული ადამიანი.

*** რას წარმოადგენდა დეპუტატთა ეს კრებული?**

თანამედროვე ენაზე, რომ ვთქვათ, ეს იყო პოდიუმი, რომელზეც თავს იწონებდა მეჩაიე იმით, რომ ბევრი ჩაი მოკრიფა; მევენახე — ბევრი ყურძენი რომ მოიწია; მეციტრუსე — ბევრი ციტრუსი რომ მიიღო; მეცხვარე — ბევრი ბატკანი და მატყლი რომ მიიღო და დაამზადა; მინისტრი — ბევრი პროდუქცია რომ შექმნა; რაიკომის მდივანი — გეგმა გადაჭარბებით რომ შეასრულა და სხვ.

*** ვინ იღებდა კანონებს?**

კანონებს წერდნენ უაღრესად კვალიფიციური და განათლებული ადამიანები, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში და თავდადებით მუშაობდნენ კანონის კანონთან შედარებაზე, შესწორებებსა და ახალი კანონის ჩამოყალიბებაზე. როდესაც კანონპროექტი ვიზირებული იქნებოდა, ძირითადად, იმ სამინისტროებისა და ორგანიზაციების მიერ, რომლებსაც ეხებოდა, ის მოხვდებოდა უმაღლესი საბჭოს სესიაზე და იღებდნენ დეპუტატები (რა თქმა უნდა, კვორუმი აუცილებელი იყო). კანონი ძალაში შედიოდა და გამოქვეყნდებოდა პრესაში.

**ამ საკანონმდებლო საქმიანობას ემსახურებოდა, ალბათ, ორმოცდაათამდე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ კატეგორიის სპეციალისტებისთვის ანაზღაურება 250-300 მანეთს შეადგენდა, გამოდის, რომ მთელი საკანონმდებლო სისტემის შენახვა თვეში 15 ათასი, ანუ წელიწადში 180 ათასი მანეთი უჯდებოდა რესპუბლიკას.**

ხშირად ისმის კომუნისტური არჩევნების კრიტიკა და პირველი „დამოუკიდებელი“ საქართველოს პარლამენტის საქმიანობის ქება-დიდება, რომლის მემკვიდრეც არის ახალი პარლამენტი და განაგრძობს მის დაწყებულ საქმიანობას — დიდი წინაპრების პორტრეტების ქვეშ მუშაობს დღევანდელი საკანონმდებლო ორგანო.

საკმაო ხანს ვიმუშავე მენშევიკური მთავრობის საპარლამენტო საქმიანობის შესწავლაზე და უნდა მოგახსენოთ, მკითხველო, რომ ასეთი სამრცხვინო საქმიანობა და საქმის წარმოება, როგორიც ჩვენს „დამოუკიდებელ“ საკანონმდებლო ორგანოს ჰქონდა, ჯერ არ მინახავს.

**როგორ და რას მუშაობს დღევანდელი პარლამენტი? — ეს ხომ აბსურდის თეატრია, რომელიც სისხლს წოვს ისედაც გაპარტახებულ ქვეყანას და ხალხს, სახელმწიფოს შლის ტერიტორიულად და ადამიანებს კლავს მორალურად?!**

ხალხი კი ახალი არჩევნებისთვის ემზადება.

როდესაც ოტელო დეზდემონას დაახრჩობს, გონს მოსულ მავრს **უილიამ შექსპირი** ათქმევინებს:

„ეს მთვარის ბრალი უნდა იყოს, ის დედამიწას ჩვეულებრივზე უფრო მეტად მოუახლოვდა და გააგიჟა ხალხი სრულიად“.

ალბათ, ახლაც, სამი საუკუნის შემდეგ, მთვარე ზომაზე მეტად მოუახლოვდა დედამიწას და ხალხს თვალები და გონება დაუბნელა.

**არჩევნები ყველა უბედურებისა და გაუგებრობის სათავეა.**

უნდა მოგითხროთ, რა მოჰყვა საბჭოთა კავშირში კომუნისტური არჩევნებიდან „დემოკრატიულ“ არჩევნებზე გადასვლის მცდელობას.

მას შემდეგ, რაც სტალინმა წარმატებით ჩაატარა 2 ხუთწლედი, მოიშორა შინაური თუ გარეშე მტრები, თანმიმდევრულად დაიწყო უცხოეთთან თანამშრომლობა. ჰიტლერის აღზევების შემდეგ გრძნობდა რა მოსალოდნელ უბედურებას, რაც მოელოდა ევროპას და მასთან ერთად საბჭოეთს, სტალინი არაერთხელ შეეცადა ინგლისსა და საფრანგეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას და ხელშეკრულების დადებას ურთიერთდახმარებასა და თანამშრომლობაზე, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. ალბათ, ამ ხელშეკრულების გაფორმების ერთადერთ გამოსავლად მიიჩნია, დაჰყოლოდა უცხოეთის ნებას და დაეწყო დემოკრატიულ არჩევნებზე ფიქრი.

მიუხედავად იმისა, რომ **ლევ ტროცკი** განდევნილი იყო ქვეყნიდან, ხოლო **ნიკოლაი ბუხარინი, გრიგორი ზინოვიევი** და სხვები ზედიზედ ინანიებდნენ თავიანთ ცოდვებს და უკვე მერამდენედ იბრუნებდნენ ჩამორთმეულ პარტიულ ბილეთებს, ოპოზიცია და პარტნომენკლატურა კვლავ ბოლშევიკურად იდგნენ სადარაჯოზე თავიანთი სკამების შესანარჩუნებლად.

სტალინმა უახლოესი გარემოცვა შემოიკრიბა და დაიწყო ხელისუფლების გადანაწილებასა და დემოკრატიულ არჩევნებზე ფიქრი. საიდუმლო მოლაპარაკებების შემდეგ, სტალინმა თავისი ჩანაფიქრი თავისუფალი არჩევნების ჩატარების თაობაზე 1936 წელს კონსტიტუციის პროექტზე გამოსვლისას გაასაჯაროა, მაგრამ არცთუ გონებამახვილმა უმრავლესობამ სტალინის ნათქვამი ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გამოუშვა.

სტალინმა საყოველთაო არჩევნებზე უფრო მკაფიოდ ამერიკელ ჟურნალისტ **როი-ჰოვარდთან** ისაუბრა, რომელიც 1936 წლის 5 მარტს გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა:

„როგორც გამოცხადდა, ახალი კონსტიტუციით, არჩევნები იქნება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული. საარჩევნო სიებს წარმოადგენს არა მხოლოდ კომუნისტური პარტია, არამედ ყველანაირი საზოგადოებრივი, არაპარტიული ორ- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ და რას მუშაობს დღევანდელი პარლამენტი? — ეს ხომ აბსურდის თეატრია, რომელიც სისხლს წოვს ისედაც გაპარტახებულ ქვეყანას და ხალხს, სახელმწიფოს შლის ტერიტორიულად და ადამიანებს კლავს მორალურად?!

◀ განიზაცია და ასეთი ჩვენთან ასობით არის. ჩვენთან არ არის ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური პარტიები, ისევე, როგორც არ არის კაპიტალისტებისა და კაპიტალისტების მიერ ექსპლუატირებული და მათთან დაპირისპირებული მუშათა კლასი. ჩვენი საზოგადოება შედგება ქალაქისა და სოფლის თავისუფალი მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციისგან. თითოეულ ამ ფენას, შესაძლოა, ჰქონდეს ინტერესები და შეუძლია ისინი გამოხატოს მრავალრიცხოვან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. თქვენ ფიქრობთ, რომ არ იქნება საარჩევნო ბრძოლა, მაგრამ ის იქნება და მე წინდაწინ ვხედავ საკმაოდ გამოცოცხლებულ საარჩევნო ბრძოლას. საბჭოთა კავშირში საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნები მოსახლეობის ხელში მათრახივით იქნება ცუდად მომუშავე ხელისუფლების ორგანოებისთვის. ჩვენი ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, ჩემი აზრით, იქნება მსოფლიოში ამჟამად არსებულ კონსტიტუციებს შორის ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია".

სტალინი სრულიად განსხვავებულად ხედავდა, როგორც ხალხთა ეკონომიკური განვითარების საკითხებს, აგრეთვე, მისი დემოკრატიული გზით განვითარების გზებსაც. სტალინი არ უარყოფდა დასავლეთის დემოკრატიას, მაგრამ ის უნდა ყოფილიყო მორგებული საზოგადოებაზე და არა მჩაგვრელ ექსპლუატატორებზე, რის გამოც ის საქვეყნოდ ამბობდა:

„ჩვენ, საბჭოთა დემოკრატიის მომხრეები ვართ, ყველაზე თანმიმდევრული დემოკრატიისა მსოფლიოში, მაგრამ ჩვენ ვიცავთ და მომავალშიც დავიცავთ კაპიტალისტურ ქვეყნებში ბურჟუაზიული დემოკრატიული თავისუფლების თითოეულ მტკაველს, რომელსაც ხელყოფს ფაშიზმი და ბურჟუაზიული რეაქცია, რადგან ეს ნაკარნახევია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებით".

საგარეო საქმეთა იმჟამინდელი მინისტრი **მაქსიმ ლიტვინოვი**, რომელიც აშკარად უჭერდა მხარს სტალინის საარჩევნო დემოკრატიზმს, პრინციპულად აცხადებდა:

„ჩვენ არ ვიგრძნობთ თავს განსაკუთრებით შეცბუნებულად, როცა კონსტიტუციასთან დაკავშირებით გვეუბნებიან, რომ ვბრუნდებით ევროპული დემოკრატიის სამყაროში ბურჟუაზიული თავისუფლებისკენ. სწორად ნათქვამი იქნება, რომ ჩვენ გამოფიტული ბურჟუაზიის სუსტი ხელიდან ვიღებთ დემოკრატიის დროშას, თავისუფლების დროშას და ვავსებთ მას ახალი გამოცდილებით, საბჭოთა შინაარსით".

განაგრძობდა რა საუბარს ამერიკელ ჟურნალისტთან, სტალინი აღნიშნავდა:

„შეუძლებელია, ამ სისტემამ არ დაარტყას გაბიუროკრატებულებს, მასებიდან მოწყვეტილებს. მეორე მხრივ, ეს სისტემა გააიოლებს ახალი ძალების წინ წამოწევას მოწინავე მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციიდან, რომლებიც უნდა მოვიდნენ ჩამორჩენილი და გაბიუროკრატებული ელემენტების ნაცვლად".

ცენტრალური კომიტეტის წევრი **ნიკოლაი იაკოვლევი**, რომელიც ხელმძღვანელობდა საყოველთაო არჩევნების პროექტზე სტალინის დავალებით მომუშავე ჯგუფს, გაზეთ „პრავდაში" წერდა:



**«საბჭოთა კავშირში საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნები მოსახლეობის ხელში მათრახივით იქნება ცუდად მომუშავე სახელისუფლებო ორგანოებისთვის. ჩვენი ახალი საბჭოთა კონსტიტუცია, ჩემი აზრით, იქნება მსოფლიოში ამჟამად არსებულ კონსტიტუციებს შორის ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია»**

„პარტიული ჯგუფები საბჭოებში და განსაკუთრებით — საბჭოების აღმასკომებში ხშირად გადაქცეულნი არიან საბჭოების შემცვლელ ორგანოებად, რადგან ყველაფერს ისინი წყვეტენ, ხოლო საბჭოებს რჩებათ მხოლოდ დაშტამპონ წინასწარ მომზადებული გადაწყვეტილებები".

**სტალინი პარტიის განუსაზღვრელი ძალაუფლების შეზღუდვასა და მის წინააღმდეგ გალაშქრებას აპირებდა, რასაც სახელმწიფოს მართვის მთელი სისტემის ტრანსფორმაცია უნდა მოჰყოლოდა. ის ფიქრობდა, რომ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურა საჭირო აღარ იყო და იგი ხალხისათვის ხელისუფლების გადაბარებით უნდა შეცვლილიყო.**

სტალინი პრინციპულად აცხადებდა:

„ჩვენს მუშათა კლასს, არათუ წართმეული აქვს წარმოების იარაღები და საშუალებები, არამედ პირიქით — ის მას ფლობს ხალხთან ერთად. ამის შემდეგ ის განა შეიძლება იწოდებოდეს პროლეტარად? — ნათელია, რომ არა".

მმართველობის სხვა სისტემა, რომელიც სტალინის გონებაში იხარშებოდა, იყო:

„მუშათა კლასის დიქტატურის გაფართოება და დიქტატურის გადაქცევა უფრო მძლავრ სისტემად — საზოგადოების მიერ სახელმწიფოს მმართველობად". იმათ გასაგონად კი, ვინც გაიძახოდა, არჩევნებში მონაწილეობის უფლება უნდა აეკრძალოთ როგორც ამომრჩევლად, ისე ასარჩევად, საზოგადოების საშიშ პიროვნებებსო, სტალინმა განაცხადა:

**„ამბობენ, რომ ეს საშიშია, რადგან უმაღლეს ორგანოებში შეიძლება გაძვრნენ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი ელემენტები — ვიღაც-ვიღაცები ყოფილი თეთრგვარდიელებიდან, კულაკებიდან, მღვდლებიდან და ასე შემდეგ, მაგრამ საკითხავია, რა არის აქ საშიში? მგლის შიშით ტყეში არ შევიდეთ? ჯერ ერთი, ყველა ყოფილი კულაკი, თეთრგვარდიელი და მღვდელი არ არის საბჭოთა ხელისუფლების მტერი. მეორეც, თუ ხალხი სადმე აირჩევს მტრულად განწყობილ ადამიანებს, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი სააგიტაციო მუშაობა ცუდ მდგომარეობაშია, ხოლო ჩვენ დავიმსახურეთ ამგვარი სირცხვილი".**

**ვინ დაითვლის ხმებს?**

სტალინმა ამ კითხვაზეც დამაჯერებლად უპასუხა:

**„საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ჩვენთან სხვადასხვა პარტია არ არის და ამიტომ ხმები საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა დაითვალონ და არა — ბოლშევიკების პარტიამ".**

ამრიგად, პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანაში, რომელსაც ერთპიროვნულად მართავდა ბოლშევიკების პარტია, სტალინმა ამ პარტიას დუელი გაუმართა. მზადდებოდა რევოლუცია, რომელიც მეორე ფაზაში უნდა გადასულიყო და ქვეყანას სრულიად ახალი სუნთქვა უნდა დაეწყო. ხავსმოკიდებული რუსული რევოლუციური მანქანა ახლით უნდა შეცვლილიყო.

რუსული წითელჯავშნიანი ლოკომოტივებიდან გამოსული და ვეებერთელა კაბინეტებში მოკალათებული სრულიად უცოდინარი მაუზერიანი „მებრძოლი რევოლუციონერები" ამერიკული საქმიანობის და რუსული რევოლუციური გაქანების ახალგაზრდებით უნდა შეცვლილიყო. ამ სრულიად ახალმა რევოლუციურმა ტალღამ უკან შეაბრუნა ძველი ბოლშევიკები წითელ ლოკომოტივებში და საბრძოლველად მოამზადა. საკავშირო ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის (ალკკ) ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ალექსანდრე კოსარევმა** პირველმა იყნოსა მოახლოებული საფრთხე და ხმა აიმაღლა „ქვეყნისა და მისი ერთიანობის" დასაცავად:

„კლასობრივი ბრძოლა არ ნელდება, არამედ იღებს ახალ, უფრო რთულ ფორმებს. მტერი ნებაყოფლობით არ თმობს თავის ადგილს. მისი მოშორება შეიძლება მხოლოდ ძალადობით, ეკონომიკური მეთოდების ზემოქმედებით, ორგანიზაციულ-პოლიტიკური მეთოდების გამოყენებით, ხოლო, როცა საჭიროება მოითხოვს, ფიზიკური მოსპობის მეთოდებით".

უკრაინის კპ ცეკას პირველი მდივანი და პოლიტბიუროს წევრი **სტანისლავ კოსიორი** ამბობდა:

„უკრაინელი ხალხი გაანადგურებს, როგორც ტროცკისტი ზინოვიელების ნაძირალებს, ისე ნაციონალური მოღალატეების ნარჩენებს, რომლებიც თავიანთ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან".

ამხედრდა დასავლეთ ციმბირის აღმასკომის თავმჯდომარე **გრიადინსკიც**, რომელიც ცოფმორეული გაჰყვიროდა:

„ყველაზე საზიზღარი მკვლელები, ფაშიზმის აგენტები — კაპიტალიზმის ნაძირალა რესტავრატორები, დივერსანტები, ტერორისტები, ტროცკი-ზინოვიევის მიმდევრები, ისევ ცდილობენ, ხელი შეგვიშალონ მუშების მკვლელობებით, საწარმოებში მავნებლობით, ავარიების ორგანიზებით. მათი ნაწილი განადგურებულია, მაგრამ იმისათვის, რომ აღვგავოთ ისინი საბჭოთა მიწიდან, ჩვენ საყოველთაოდ უნდა გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე".

იუსტიციის მინისტრმა, იმის ნაცვლად, რომ მხარი დაეჭირა რეფორმებისთვის, პრინციპული პოზიცია დაიკავა და განაცხადა:

„რევოლუციური დიქტატურა იყო, არის და იქნება ჩვენი სახელმწიფოს არსებობის საფუძველი, სტალინური კონსტიტუციით გაფორმებული".

ანტირეფორმისტების მიერ დანთებული კოცონი ნელ-ნელა აგიზგიზდა. „ძველი გვარდია" თავისი სკამებისა და მდგომარეობის შესანარჩუნებლად არაფერს ერიდებოდა და არც თავს ზოგავდა. პოზიციები იმით გაიმყარეს, რომ ძველი გვარდიის მაგივრად „ლენინური გვარდია" დაირქვეს.

დასავლეთ ციმბირის კომპარტიის პირველმა მდივანმა და პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა **რობერტ ეიხემ** 1936 წლის დეკემბრის პლენუმზე გამოსვლისას კაცთმოძულეობასა და რეპრესიების მოთხოვნაში ყველას გადააჭარბა.

**„გამოძიების მიერ გახსნილმა ფაქტებმა მსოფლიოს წინაშე გამოავლინა ტროცკისტების მხეცური სახე. რა ეშმაკად ვაგზავნით, ამხანაგებო, ასეთ ადამიანებს გადასახლებაში? ისინი უნდა დაიხვრიტონ! ამხანაგო სტალინ! ჩვენ ძალიან რბილად ვიქცევით".**

ჯერჯერობით ვერც ერთ საარქივო ფონდში ვერ მოიძებნა აღნიშნულ პლენუმზე სტალინის შემაჯამებელი სიტყვის სტენოგრამა, რომელიც აუცილებლად უნდა ყოფილიყო შენახული. სად გაქრა ჩანაწერი?

სტალინის სიკვდილის შემდეგ ხრუშჩოვის მიერ შექმნილმა არქივების „გამწმენდმა" კომისიამ გაანადგურა ყველა დოკუმენტი, რომლებიც აშკარად გამოხატავდა სტალინის პოზიციას სისხლმოწყურებული „ლენინური გვარდიის" წინააღმდეგ. მათ მაგივრად არქივებში ჩადებულია სტალინის „მაკომპრომეტებელი" დოკუმენტები, რომლებიც ფალსიფიკაციის გზით შექმნეს და იმავე ნომრითა და იმავე ადგილზე ჩააკერეს.

1937 წლის 23 თებერვალს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, სადაც ლენინგრადის ოლქისა და საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა **ანდრეი ჟდანოვმა** კვლავ ხაზი გაუსვა სტალინის მიერ წამოყენებულ ახალ რეფორმას და განაცხადა:

**„საბჭოთა ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად ახალი საარჩევნო სისტემა მოგვცემს მძლავრ ბიძგს, ბიუროკრატიული ნაკლის ლიკვიდაციას. ჩვენი პარტიული ორგანოები მზად უნდა იყვნენ საარჩევნო ბრძოლისათვის. ფარული კენჭისყრა წარმოადგენს ყველაზე ფართო შესაძლებლობას მასების თვალსაზრისით ყველაზე უვარგისი კანდიდატების უარსაყოფად. ვუხელმძღვანელოთ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში შემოტრიალებას და უზრუნველვყოთ დემოკრატიული არჩევნები — ეს ნიშნავს, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები არ უნდა დაელოდონ, როცა მასები მათ ქვევიდან ხელს კრავენ კრიტიკით და უვარგისი კანდიდატურების მოხსნით, არ უნდა დაელოდონ ფარულ კენჭისყრაში ჩავარდნას".**

ჟდანოვის ამ სიტყვებში ყველაფერია ნათქვამი. ქვეყანა განვითარების სულ ახალ გზას ირჩევდა.

**გაგრძელება იქნება**




## ყურადღება!

ამა წლის 1 მარტიდან წიგნის მაღაზიებში (მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი", „რუსთაველი", „თავისუფლების მოედანი") შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის" თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი", რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**Ty-160 ბევრი მაჩვენებლით სჯობს B-2-ს. რუსულ თვითმფრინავს ჰაერში 2-ჯერ მეტი საბრძოლო მასალის ატანა და გამოყენება შეუძლია, ფრენის სიჩქარე 2-ჯერ მეტი აქვს, საომარი მოქმედების რადიუსი — მესამედით მეტი.**

# ყველაზე ძვირად ღირებული თვითმფრინავები

## რუსული Ty-160 ყველაზე ძვირად ღირებულ ამერიკულ თვითმფრინავზე 4-ჯერ იაფია და ტექნიკური მახასიათებლებითაც ჯობია



**B-2 SPIRIT-ის ტექნიკური მახასიათებლები:**

* ეკიპაჟი — 2 კაცი.
* სიგრძე — 20,90 მ
* ფრთების განშლის სიგრძე — 52,12 მ
* სიმაღლე — 5,10 მ
* მასა:
ცარიელის — 71700 კგ
მაქსიმალური ასაფრენი მასა — 171000 კგ
* მაქსიმალური სიჩქარე — 1010 კმ/სთ
* ფრენის სიშორე საწვავის დაუმატებლად — 11100 კმ
* საომარი მოქმედების რადიუსი — 5300 კმ
* ფრენის სიმაღლე — 15240 მ
* შეიარაღება:
ბირთვული იარაღი; ჩვეულებრივი ბომბები; მაღალი სიზუსტის საბრძოლო მასალები; ფრთოსანი რაკეტები.



**TY-160-ის ტექნიკური მახასიათებლები**

* ეკიპაჟი — 4 კაცი
* სიგრძე — 54,1 მ
* ფრთების განშლის სიგრძე — 55,7 მ
* სიმაღლე — 13,1 მ
* მასა:
ცარიელის — 110 000 კგ
მაქსიმალური ასაფრენი მასა — 275000 კგ
* მაქსიმალური სიჩქარე — 2200 კმ/სთ
* ფრენის სიშორე საწვავის დაუმატებლად — 18950 კგ
* საომარი მოქმედების რადიუსი — 6000 კმ
* ფრენის სიმაღლე — 22000 მ
* შეიარაღება:
რაკეტები ბირთვული ქობინებით; აერობალისტიკური ჰიპერბგერითი რაკეტები; ბომბები და ფრთოსანი რაკეტები.

**აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ გამოქვეყნებული ყველაზე ძვირად ღირებული თვითმფრინავების სიაში პირველ ადგილზეა B-2 Spirit-ი. სტელსის ტექნოლოგიებით დამზადებული შორს მოქმედი ბომბდამშენის ღირებულება 1,2 მილიარდი დოლარია, მისი ფრენა 1 საათის განმავლობაში კი 129 ათასი ჯდება. თვითმფრინავის შექმნის დანახარჯების გათვალისწინებით კი ფასი 2,1 მლრდ დოლარს აღწევს.**

აღსანიშნავია, რომ რუსეთის შორს მოქმედი ავიაციის ფლაგმანი, სტრატეგიული ბომბდამშენი **Ty-160** 4-ჯერ იაფი ღირს — დაახლოებით 250 მლნ დოლარი. ამასთანავე, Ty-160 ბევრი მაჩვენებლით სჯობს B-2-ს. რუსულ თვითმფრინავს ჰაერში 2-ჯერ მეტი საბრძოლო მასალის ატანა და გამოყენება შეუძლია, ფრენის სიჩქარე 2-ჯერ მეტი აქვს, საომარი მოქმედების რადიუსი — მესამედით მეტი. ამასთანავე, რუსეთმა თავისი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები ისე გააუმჯობესა, რომ „შეუმჩნევლობის ტექნოლოგიები“ თითქმის უსარგებლოა.

ძვირად ღირებული თვითმფრინავების სიაში **მეორე პოზიციაზეა „ბოინგ747-200 B“-ს** (სამხედროები მას VC-25A-ს უწოდებენ) ბაზაზე შექმნილი საჰაერო-სამეთაურო პუნქტი. აშშ-ის სამხედო-საჰაერო ძალებს „განკითხვის დღის“ 2 თვითმფრინავი ჰყავს, თითოეული 300 მლნ დოლარის ღირებულების. 1 სთ-ის განმავლობაში „ბორტი №1“-ის ფრენა 206 337 დოლარი ჯდება.

**მესამე პოზიციაზეა** სტრატეგიული ბომბდამშენი **B-1 LANCER**-ი, რომელიც ტექნიკური მახასიათებლებით ჩამორჩება Ty-160-ს, მაგრამ მასზე გაცილებით ძვირი ღირს — 317 მლნ.

აშშ-ის ყველაზე ძვირად ღირებული თვითმფრინავის ათეულში, აგრეთვე, მოხვდა მეხუთე თაობის გამანადგურებელი **F-22 RAPTOR**-ი. სპეციალური ოპერაციების თვითმფრინავი **AC-130H**, რადიოელექტრონული დაზვერვისა და მიზნის დამდგენი **E-8C JSTARS**-ი, მფრინავი სამეთაურო პუნქტი **E48**, გამანადგურებელი — **F35A** და კონვერტოპლანი **CV-22B.**

# ამერიკელი ანალიტიკოსის რჩევა: ემზადეთ ომისთვის!

## ფრიდმანმა იწინასწარმეტყველა დიდი კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში, აგრეთვე, საზღვაო ომი იაპონიასა და აშშ-ს შორის

ამერიკული ანალიტიკური ცენტრ Stratfor-ის დამფუძნებელი ჯორჯ ფრიდმანი ამბობს, რომ კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა საუკუნე, რომელშიც სისხლისმღვრელი ომი არ გაჩაღებულიყო სახელმწიფოებს შორის და არ არსებობს მიზეზი, XXI საუკუნეში მოვლენები სხვაგვარად განვითარდეს.

„7-წლიანი ომი ევროპაში, ნაპოლეონის ლაშქრობები XIX საუკუნეში, მსოფლიო ომები... — ყოველ საუკუნეში რაღაც ხდებოდა. გსურთ სანაძლეოს დადება, რომ ამ ასწლეულში მსგავსი არაფერი მოხდება? მე მივიღებ ამ სანაძლეოს“, — განაცხადა ფრიდმანმა Business insider-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ანალიტიკოსი ასე ხსნის სისტემურ ომებს: „როდესაც სუსტდებიან ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა გერმანია, რუსეთი და ჩინეთი, მათ ადგილს სხვები იკავებენ. ეს სიტუაცია სახიფათოა იმიტომ, რომ ახალ ქვეყნებს ბალანსისთვის არ მიუღწევიათ.




**1871 წელს გერმანია გაერთიანდა და შედეგად დაიწყო ჯოჯოხეთი. XX საუკუნის დასაწყისში იაპონია მომძლავრდა და დაიწყო ქაოსი... ამჟამად ჩვენ ვხედავთ სისტემურ გადახრას, ამიტომ მზად იყავით ომისთვის!“** — ასკვნის ანალიტიკოსი, რომელმაც ჩამოთვალა ტერიტორიები, რომლებზეც, მისი აზრით, შეიძლება კონფლიქტმა იფეთქოს. სავარაუდო ქვეყნებს შორის, რომლებიც გავლენადაკარგული სახელმწიფოების ადგილას მოვლენ, ფრიდმანმა დაასახელა **იაპონია, თურქეთი** და **პოლონეთი.** ამრიგად, **ფრიდმანმა იწინასწარმეტყველა დიდი კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში, აგრეთვე, საზღვაო ომი იაპონიასა და აშშ-ს შორის.**



# უჩინარი ტანკები

**რუსეთში უნიკალური შესაძლებლობების მქონე ახალი ტანკის — „არმატას“ რამდენიმე ერთეულს ცდიან. ამ საბრძოლო ტექნიკის განმასხვავებელი ნიშანი არის დაცვის ოთხდონიანი სისტემა, რომელიც მოწინააღმდეგეს ტანკის აღმოჩენის საშუალებას, პრაქტიკულად, არ აძლევს.**

„საბრძოლო მანქანის დამცავი საფარისთვის ვიყენებთ CALS-ტექნოლოგიებს, რათა შევქმნათ სხივის ამრეკლავი ზედაპირი, რომელიც მოწინააღმდეგეს საშუალებას არ მისცემს, რადიოსალოკაციო, ინფრაწითელ თუ ოპტიკურ დიაპაზონებში დაადგინოს, რა ობიექტია ეს. ამას გარდა, ახალ მოდელს აქვს უნიკალური შესაძლებლობა, გაანადგუროს მოახლოებული მფრინავი საბრძოლო მასალები — ჭურვები, რაკეტები, ყუმბარები. ამას აკეთებს დაცვის სისტემა Hardkill-ი. ამ სისტემის დახმარებით, ნადგურდება მოახლოებული საბრძოლო მასალა, თუკი მან გადალახა დაცვის პირველი ორი დონე. დაცვის მეორე დონის ამოცანაა, დაიცვას ეკიპაჟი და თვითონ ტექნიკა“, — განაცხადა კორპორაცია „ურალვაგონზავოდის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ სპეცტექნიკის საკითხებში **ვიაჩესლავ ხალიტოვმა,** რომელიც ამ სპეცპროექტს ხელმძღვანელობს.

ვარაუდობენ, რომ უნიკალური შესაძლებლობების უჩინარი ტანკებით (T-14; T-15 „არმატა“) რუსეთის არმია 2016-2017 წლებში შეიარაღდება.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რუსულმა სამხედრო ოპერაციამ შეცვალა კონფლიქტის მსვლელობა, კონფლიქტისა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ჩიხში იყო. მოულოდნელად ინიციატივა ასადისა და მისი მოკავშირეების მხარეს გადავიდა, აშშ-ის მხარდაჭერით მოსარგებლე მეამბოხეები კი გარბიან“.**

# The New York Times: რუსები მაგარი მებრძოლები აღმოჩნდნენ

**აშშ-ში მივიდნენ დასკვნამდე, რომ რუსეთის საჰაერო-კოსმოსური ძალების ოპერაცია სირიაში უკიდურესად ეფექტიანი აღმოჩნდა და შესაძლოა, ბაშარ ასადს საშუალება მისცეს, აღადგინოს კონტროლი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქებზე.**

როგორც The New York Times-ი წერს, „რუსულმა სამხედრო ოპერაციამ შეცვალა კონფლიქტის მსვლელობა, კონფლიქტისა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ჩიხში იყო. მოულოდნელად ინიციატივა ასადისა და მისი მოკავშირეების მხარეს გადავიდა, აშშ-ის მხარდაჭერით მოსარგებლე მეამბოხეები კი გარბიან“.

გაზეთის შეფასებით, აშშ-ის სახელმწიფო მდივან **ჯონ კერის** მომავალ მრავალრიცხოვან საერთაშორისო კონსულტაციებზე სირიის საკითხთან დაკავშირებით „ზემოქმედების ძალზე სუსტი ბერკეტები ექნება“. სახელმწიფო მოხელეები აღნიშნავენ, რომ „რუსეთმა მოჭრა მრავალი გზა, რომელსაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო იყენებდა მეამბოხეთა შეიარაღების მცდელობისას. ეს მცდელობები კი სულაც არ წარმოადგენს ესოდენ დიდ საიდუმლოს“.

The New York Times-ის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ვაშინგტონი „სირიაში სტრატეგიული დილემის“ წინაშე აღმოჩნდა, პირველ რიგში, იმის გამო, რომ რუსეთის საჰაერო და კოსმოსური ძალები დაეხმარნენ ასადს ხელისუფლების შესანარჩუნებლად მისთვის საჭირო ცენტრალურ ქალაქებზე კონტროლის აღდგენაში“.

**რუსი სამხედროები სირიაში ასადის თხოვნით 2015 წლის 30 სექტემბრიდან შეუდგნენ ოპერაციას ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ჯაბჰატ ან-ნუსრას“ ბოევიკების წინააღმდეგ.**

გაეროში რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი **ვიტალი ჩურკინი** ამბობს, რომ რუსეთი სირიაში დაზავების წინადადებას აშშ-თან განიხილავს. „ჩვენ მთელი რიგი დისკუსიებისა გვაქვს აშშ-თან, მათ შორის ზავის შესაძლებლობებისა და ჰუმანიტარულ საკითხებზე “, — განაცხადა მან.



სახელმწიფო დეპარტამენტში თვლიან, რომ სირიის თაობაზე ჟენევაში მოლაპარაკებები პრაქტიკულად იმის გამო შეწყდა, რომ რუსეთის საჰაერო-კოსმოსურმა ძალებმა თითქოსა სირიულ ჰუმანიტარულ კოლონას ესროლეს. მანამდე დამასკოს დელეგაციის ხელმძღვანელი, გაეროში სირიის მუდმივი წარმომადგენელი ბაშარ ჯაფარი აცხადებდა, რომ მთავრობასა და ოპოზიციას შორის მშვიდობიანი მოლაპარაკებები ოპოზიციის გამო 25 თებერვლისთვის გადაიდო.

შეგახსენებთ, რომ **რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ არაერთხელ მოითხოვა მსგავსი ბრალდებების გამო ახსნა-განმარტებები. მაგალითად, ოქტომბერში რუსეთის სამხედრო უწყებამ მიმართა ნატოს ქვეყნებსა და საუდის არაბეთს მოთხოვნით, აეხსნათ, თუ რას გულისხმობდნენ, როდესაც რუსეთის ავიაციას სირიაში ჰოსპიტალებზე მიყენებული დარტყმების გამო ადანაშაულებდნენ.**

აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, საუდის არაბეთის, თურქეთის, ნატოს ბლოკის სამხედრო ატაშეებს სთხოვეს, გამოექვეყნებინათ ოფიციალურად დასაბუთებული მიზეზები ან უაერეყოთ გავრცელებული ბრალდება. „განსაკუთრებით ეს ეხება მასმედიის რიგ ინგლისურენოვან საშუალებებში გავრცელებულ საარაკო ბრალდებას ჰოსპიტლებზე ფსევდოდარტყმებთან დაკავშირებით“, — განაცხადა სამხედრო უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ **ანატოლი ანტონოვმა.**

cont.ws

# მიგრანტებისა და ულტრამემარჯვენეების კოალიცია ძველ ევროკავშირს ამარცხებს

**ევროკავშირის ლიდერები მიგრანტების საკითხის განსახილველად მორიგ რიგგარეშე თათბირზე შეიკრიბნენ. ეს რიგგარეშე თათბირები უკვე კეთილ ტრადიციად იქცა.**

ანალოგიურ შეკრებებზე მრავალი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული: ხმელთაშუა ზღვის პატრულირების გაძლიერება მიგრანტებით დატვირთული გემების უკან დასაბრუნებლად; სამი მილიარდი ევროს მიცემა თურქეთისთვის, რათა მას დაეცვა „ბალკანური მარშრუტი“; პირველი 160 ათასი დევნილის (გასული წლის განმავლობაში ჩასული სრული რაოდენობის დაახლოებით 8%) გადანაწილება ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში კვოტირების წესების შესაბამისად.

**მიგრანტმზიდები კვლავაც ჩადიან ევროპაში და კვლავაც იძირებიან (მხოლოდ უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში ორი მასობრივი ინციდენტისას 50-დან 60-მდე ადამიანი დაიღუპა). ეგეოსის ზღვის სრუტეების გავლით თურქეთიდან ბერძნულ კუნძულებზე უკვე დღე-ღამეში ორ ათასზე მეტი ადამიანი ჩადის. მიგრანტების კვოტირების შესაბამისად, გადანაწილების სისტემა ჯერაც არ ამუშავებულა.**

და ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი — ესაა ევროკავშირის ქვეყნების პოლიტიკის შეცვლა და მკვეთრი „გამემარჯვენეობა“. ის ევროპული პოლიტიკური ელიტები, რომლებიც უფრო ჭკვიანები არიან, ძალზე ზომიერად იყენებენ ნაციონალისტურ რიტორიკას, მაგრამ სამაგიეროდ აწესებენ შეზღუდვებს დევნილი მიგრანტებისთვის. შვედებმა აღადგინეს სასაზღვრო პუნქტები, გერმანელებმა მორატორიუმი დააწესეს მიგრანტების ოჯახების გაერთიანების უფლებაზე, ფრანგები ანგრევენ თვითნაშენ ბანაკებს, უნგრელები და ავსტრიელები „ბალკანურ მარშრუტზე“ მჭრელი მავთულის კედლებს აშენებენ.



ის ევროპული ელიტები, რომლებსაც ნაკლები ნებელობა აქვთ, ვერ ბედავენ, წინ აღუდგნენ მიგრაციულ ტალღას, მაგრამ ცდილობენ, ანტიმიგრანტული რიტორიკით მიიღონ შედეგი. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებად ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოდგნენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები და სლოვენია.

მაგრამ ეს არ შველით. სლოვაკეთში ახლახან ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგებით, 2002 წლიდან მმართველი პარტია, რომელსაც სათავეში პრემიერი **ფიცო** უდგას, ყველაზე დაბალი მაჩვენებლების (ხმათა 28%) ამარა დარჩა და დაკარგა პარლამენტში ოთხწლიანი უმრავლესობაც.

სამაგიეროდ ხმათა 8,6%, წინა არჩევნებთან შედარებით დაახლოებით ექვსჯერ მეტი, მიიღო „სახალხო პარტია ჩვენმა სლოვაკეთმა“, რომელსაც სათავეში უდგას ნაციონალიზმისა და 1940-იანი წლების მარიონეტული პრონაცისტური სლოვაკეთის მიმართ სიმპათიით განმსჭვალული **მარიან კოტლება.** როგორც იტყობინებიან, კოტლება განწყობილია არა მხოლოდ მიგრანტების, არამედ ნაციონალური უმცირესობების, აშშ-ის, ნატოსა და მთლიანად ევროკავშირის წინააღმდეგ.

როგორც კომენტატორები ამბობენ, პრემიერმა ფიცომ ყველაფერი სწორად გააკეთა: „მძლავრი ანტიმიგრანტული რიტორიკით“, „მოუწოდა, მოეხსნათ სანქციები რუსეთისთვის“, პირობა დადო, რომ „ქვეყანაში არ შეუშვებენ არც ერთ მიგრანტ მუსლიმანს“. მაგრამ ამის პარალელურად მორჩილად დაუჭირა მხარი ევროკავშირის ქვეყნებში დევნილების კვოტირებასაც და ანტირუსულ სანქციებსაც. შედეგად ამომრჩეველთა ნაწილმა რაღაც იეჭვა და გადაწყვიტა, უპირატესობა მიენიჭებინა გულახდილი „ნაცისტებისთვის“, ვიდრე ფიცოსა და მისი პარტიის გაუგებარი ფსევდონაციონალიზმისთვის.

ამრიგად, შეიძლება ვისაუბროთ ევროპაში „მიგრანტებისა და ულტრამემარჯვენეების ალიანსზე“, რომ თითქოს ისინი ერთიანი გეგმის შესაბამისად მოქმედებდნენ (თუმცა მომხრეები ამ ვერსიასაც ჰყავს), არამედ სულ სხვა თვალსაზრისით:

ფაქტია, რომ მიგრანტები თვალსაჩინოდ წარმოაჩენენ ევროკავშირის მექანიზმის ყველაზე სუსტ ადგილებს;

უკვე წელიწადია, ევროკავშირის ხელმძღვანელობა პრობლემის მიმართ ქმედითი ზომების გატარების მხრივ უუნარობას ამჟღავნებს;

ევროკავშირის ქვეყნები იწყებენ ზომების მიღებას დამოუკიდებლად;

**ევროკავშირის ქვეყნების მიერ დამოუკიდებელი ზომების მიღება წარმოაჩენს იმას, რომ ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა დამოუკიდებელია, დანარჩენები კი — მარიონეტული.**

ცხადია, ამ პრობლემებთან დაკავშირებით „ევროპის დაისის“ დაანონსება სისულელე იქნებოდა. ევროკავშირი, უპირველეს ყოვლისა, მსხვილი ფინანსური მოთამაშეების კომერციული პროექტია და ამ პროექტის დასახურად მათ არანაირი საფუძველი არ გააჩნიათ. სულ სხვა საქმეა ის, რომ მსოფლიო კრიზისის ზეწოლით, რომელიც სხვა ყველაფერთან ერთად მიგრაციული ტალღითაც გამოიხატა, ევროკავშირს ამომრჩეველთათვის ხელახლა შეფუთვა დასჭირდება. და ყველაზე პერსპექტიული შეფუთვა მოცემულ მომენტში სწორედ „ევრონაციზმია“. ეს ნიშნავს ძირძველი ევროპელების პრივილეგირებულ კასტად დაკანონებას.

რატომ არ დგება დღის წესრიგში „ყველა მიგრანტის გაყრის“ საკითხი?

იმიტომ, რომ ევროპელთა დაბერება, ასე თუ ისე, მოითხოვს მოსახლეობის უწყვეტ ცვლას. ლოზუნგისთვის „განაყოფიერდით და გამრავლდით თავად“ ევროპელი ამომრჩევლები ჯერ აშკარად არ არიან მზად. ამრიგად, რჩება ერთი კომპრომისული ვარიანტი — კასტების სისტემის დაკანონება.

nalin.ru

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საფრანგეთის გარეშე ევროპის ერთიანი ბაზარი შეწყვეტს არსებობას. დიდი ბრიტანეთის გარეშე, საეჭვოა, ნატომ დიდხანს გაძლოს. და ახლა უკვე არსებობენ ისინი, ვინც ამ ყველაფრის გამო არ იდარდებს. თუკი ტრამპის გამოსვლების მიხედვით ვიმსჯელებთ, ალიანსის მხარდასაჭერი დანახარჯები („მილიონობით დოლარი ყოველწლიურად“) გრძელვადიან შედეგებზე მეტად შესამჩნევია.**

# თანამედროვე დასავლეთის დასასრული

**1950-იან წლებში, როდესაც ინსტიტუტები ჯერ კიდევ ახალგაზრდა და არამდგრადი იყო, ბევრს ეშინოდა, რომ დასავლური ალიანსი ვერ შეძლებდა სრული სიმძლავრით ამუშავებას. შესაძლოა, 1970-იანებში, „წითელი ბრიგადებისა“ და ვიეტნამის ომის ეპოქაში, უფრო მეტი ადამიანი შიშობდა, რომ დასავლეთი ვერ გადარჩებოდა. მაგრამ ამჟამინდელი პერიოდი უფრო ტრაგიკულია: ამჟამად დასავლეთს, სულ რაღაც, ორი ან სამი წარუმატებელი არჩევნები აშორებს ნატოს, ევროკავშირის და, შესაძლოა, იმ ლიბერალური მსოფლიო წყობის კრახსაც, რომელსაც ვიცნობთ.**




აშშ-ში რესპუბლიკური პარტიის კანდიდატის — **დონალდ ტრამპის,** არჩევნებში გამარჯვების რეალური ალბათობაა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ღირს სერიოზულად განხილვა იმისა, რომ ტრამპი პრეზიდენტი გახდება. **ჰილარი კლინტონის** კამპანია შეიძლება მთელი რიგი მიზეზების გამო ჩავარდეს. ეს მიზეზები ისე თვალნათელია, რომ ამჯერად მათზე დაწვრილებით საუბარი არც ღირს. არჩევნები ხანდახან მოულოდნელი შედეგით მთავრდება და ამომრჩეველთა სიმპათია მუდმივი არაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **მომავალი წლის იანვარში თეთრ სახლში შეიძლება მოვიდეს ადამიანი, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებს ის, რასაც პრეზიდენტები ობამა, ბუში, კლინტონი, რეიგანი უწოდებდნენ „ჩვენს ერთობლივ ინტერესებს“.**

ტრამპი წამების, მასობრივი დეპორტაციისა და რელიგიური დისკრიმინაციის მომხრეა. იგი საჯაროდ ამბობს, რომ არ ადარდებს, შევა თუ არა უკრაინა ნატოში საბოლოო ჯამში. მას საერთოდ არ აინტერესებს ნატო და მისი უსაფრთხოების გარანტიები. რაც შეეხება ევროპას, ამის შესახებ უკვე დაწერა, რომ „მათი კონფლიქტები არ ღირს ამერიკელთა სიცოცხლედ. ევროპიდან წასვლა ჩვენს ქვეყანას საშუალებას მისცემს, ყოველწლიურად მილიონობით დოლარის ეკონომია გააკეთოს“.

ტრამპი არა მხოლოდ არ ინტერესდება ამერიკის ალიანსებით, იგი ვერც კი შეძლებს მათ შენარჩუნებას, რადგან სამხედრო და ეკონომიკური კავშირები მოითხოვს მოსაწყენი მოლაპარაკებების წარმოების უნარს, რთული კომპრომისების მიღწევას, ხანდახან კი ნაციონალური ინტერესების შეწირვასაც საყოველთაო კეთილდღეობისთვის. **იმ ეპოქაში, როდესაც საგარეო-პოლიტიკური დებატები დასავლეთის უმეტეს ქვეყანაში გაქრა და ადგილი დაუთმო პოლიტიკური გასართობი პროგრამების ტელეჩვენებას, ამ ყველაფრის ახსნა და საზოგადოების თვალში გამართლება სულ უფრო გართულდა. საზოგადოებას აღარ აინტერესებს ნამდვილი პოლიტიკა.**

ამერიკელები ერთადერთი ხალხი არ არის, რომელიც საკუთარ ალიანსებს დამამძიმებელ ტვირთად მიიჩნევს. ერთი წლის შემდეგ საფრანგეთშიც ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები. ამ თანამდებობაზე ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი პარტია **„ნაციონალური ფრონტის“ ხელმძღვანელი მარინ ლე პენი პირობას დებს, რომ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში საფრანგეთს გაიყვანს ნატოდან და ევროკავშირიდან, განახორციელებს ფრანგული კომპანიების ნაციონალიზაციას და შეზღუდავს უცხოურ ინვესტიციებს. ტრამპის მსგავსად, მასაც რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობების იმედი აქვს.** საფრანგეთში ვარაუდობენ, რომ, თუკი მარინ ლე პენი ფინალურ რაუნდში გაიმარჯვებს, მემარცხენე და მემარჯვენე ცენტრისტები გაერთიანდებიან, როგორც ორი ათწლეულის წინათ. მაგრამ ხანდახან არჩევნების შედეგების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია, ამომრჩეველთა სიმპათია კი — არამუდმივი. რა მოხდება, თუკი ლე პენის მოწინააღმდეგე მოულოდნელად რაიმე სკანდალის მსხვერპლი გახდება? რა მოხდება, თუკი „ისლამური სახელმწიფო“ კიდევ ერთ ტერაქტს მოაწყობს პარიზში?

იმ დროისათვის, როდესაც ეს მოხდება, **ბრიტანეთი** შესაძლოა, ევროკავშირიდან გასვლის შუა გზაზე იყოს. ივნისში იქ რეფერენდუმი ჩატარდება ევროკავშირიდან ბრიტანეთის გასვლის თემაზე და, თუკი ბრიტანელების უმეტესობა ხმას მისცემს ქვეყნის კავშირიდან გასვლას, მაშინ რაიმე პროგნოზების კეთება, უბრალოდ, აზრს დაკარგავს. **ევროკავშირის სხვა წევრებმა, შესაძლოა, ასევე მოინდომონ მსგავსი რეფერენდუმების ჩატარება. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი ხანდახან საუბრობს იმაზე, რომ შესაძლოა ზურგი აქციოს დასავლეთის სტამბოლთან ან რუსეთთან სტრატეგიული ალიანსის სასარგებლოდ.**

მოსალოდნელია, რომ ევროკავშირიდან გასვლის შემთხვევაში დიდმა ბრიტანეთმა ასეთივე წარმატებით დატოვოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსიც. თუკი ეკონომიკური აღშფოთება, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლას, საკმარისად ძლიერი აღმოჩნდება, **მომდევნო არჩევნებში ბრიტანული საზოგადოება, დიდი ალბათობით, ხმას მისცემს ლეიბორისტულ პარტიას, რომელიც ახლა მკვეთრად ანტიამერიკული გახდა.** ამჟამად სერიოზულად არავინ აღიქვამს ლეიბორისტების ულტრამემარცხენე ლიდერს **ჯერემი კორბინს,** მაგრამ ცოტა ხნის წინათ ტრამპის კანდიდატურასაც არავინ განიხილავდა სერიოზულად. კორბინი ერთადერთი შესაძლო ალტერნატივა გახდება, თუკი საზოგადოება ცვლილებებს მოინდომებს. არჩევნების შედეგების წინასწარმეტყველება ზოგჯერ შეუძლებელია, ამომრჩეველთა სიმპათიები კი — არამუდმივი.

რა მოხდება შემდგომ? **საფრანგეთის გარეშე ევროპის ერთიანი ბაზარი შეწყვეტს არსებობას. დიდი ბრიტანეთის გარეშე, საეჭვოა, ნატომ დიდხანს გაძლოს. და ახლა უკვე არსებობენ ისინი, ვინც ამ ყველაფრის გამო არ იდარდებს. თუკი ტრამპის გამოსვლების მიხედვით ვიმსჯელებთ, ალიანსის მხარდასაჭერი დანახარჯები („მილიონობით დოლარი ყოველწლიურად“) გრძელვადიან შედეგებზე მეტად შესამჩნევია.**

დასავლეთის ერთობა, ბირთვული შეკავება და რეგულარული არმიები არის ის, რამაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნით შეინარჩუნა პოლიტიკური სტაბილურობა. ერთიანმა ეკონომიკურმა სივრცემ განაპირობა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში აყვავება და თავისუფლება, მაგრამ ადამიანები უკვე თავისთავად ნაგულისხმევად აღიქვამენ ყოველივე ზემოხსენებულს და ამიტომაც არ ფიქრობენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, დაკარგონ ეს ყველაფერი...

The Washington Post

# დევნილებს ევროპისთვის სისხლის დასაღვრელად გაგზავნიან

**არ იცით, როგორ გადაწყვიტოთ დევნილების საკითხი? — გაგზავნეთ ისინი საომრად. მიგრაციული კრიზისის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა შესთავაზა საზოგადოებას არც თუ უცნობმა ბრიტანელმა პუბლიცისტმა და ისტერიულმა რუსოფობმა ედვარდ ლუკასმა, რომელმაც 2009 წელს გამოსცა წიგნი სახელწოდებით „ახალი ცივი ომი: როგორ ემუქრება კრემლი რუსეთსა და დასავლეთს“.**



იმისათვის, რომ ევროპა მტანჯველი განსაცდელისგან გაათავისუფლოს, ლუკასმა წამოაყენა წინადადება, მიგრანტებისთვის გაუგონარი გულუხვობის აქცია მოეწყოს. სლოგანი დაახლოებით ასეთია: **„გსურს, მიიღო მოქალაქეობა? დაამტკიცე, რომ სწორედ შენ იმსახურებ ამას — გაემგზავრე ევროკავშირისთვის საომრად ცხელ წერტილებში“.** შემდეგ კი ვნახოთ, ვის როგორ გაუმართლებს.

აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერს, ვისაც სურს, ფესვები გაიდგას ევროპულ მიწაზე, თუკი ამის საშუალებას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იძლევა და თუკი იგი არ იძებნება სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ამასთან, ავტორმა უმალ გააფრთხილა მოხალისეები, რომ „ევროპული უცხოური ლეგიონი“ მოწოდებული იქნება, იქცეს ნამდვილ ბრძოლისუნარიან არმიად და არა იმ გეების მორიგ თავშეყრად, რომლებისგანაც შედგება ევროკავშირის შეიარაღებული ძალების ძირითადი ნაწილი.

**ეკონომიის თვალსაზრისით ლეგიონის შექმნის იდეა მიმზიდველად გამოიყურება, უცხო ტომისანი ხომ ადვილად შეძლებენ იოლად გასვლას იმ კომფორტული პირობების გარეშე, რომელთაც ევროპელები თავიანთ მოქალაქეებს სთავაზობენ. არც მათი მაღალტექნოლოგიური იარაღით აღჭურვა იქნება საჭირო. სასიკვდილო ქვეითები ანდაც ქვეითები სასიკვდილოდ — რაღაც ამგვარი.**

ახლა კი წარმოვიდგინოთ, რომ ლუკასმა ამ სცენარის ცხოვრებაში განხორციელება მოახერხა. და აი, კიდევ უფრო გამხეცებული ევროკავშირის თითქმის უკვე მოქალაქეები თავიანთ ახალ სახლში ბრუნდებიან... უმჯობესია, ამ დროისათვის ძირძველმა ევროპელებმა, სულ მცირე, არაბული ენა იცოდნენ და რელიგიას იცვლიდნენ.

**წარმოვიდგინოთ, რომ ლუკასმა ამ სცენარის ცხოვრებაში განხორციელება მოახერხა. და აი, კიდევ უფრო გამხეცებული ევროკავშირის თითქმის უკვე მოქალაქეები თავიანთ ახალ სახლში ბრუნდებიან... უმჯობესია, ამ დროისათვის ძირძველმა ევროპელებმა, სულ მცირე, არაბული ენა იცოდნენ და რელიგიას იცვლიდნენ**

ყველა ქვეყანაში, სადაც კი „ცისფერი ჩაფხუტები“ გაგზავნეს, ძალადობასა და ძარცვას აქვს ადგილი. რეკეტიორების მსგავსად ისინი ფულს გამოსძალავენ მისიის ადგილობრივ თანამშრომლებს და ამას გადასახადს უწოდებენ ან, უბრალოდ, იარაღით ემუქრებიან მათ, ვაჭრობენ იარაღითა და ქალებით.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გაეროს «ცისფერი ჩაფხუტები»: მშვიდობისთვის მებრძოლნი თუ მოძალადეები?

**რაღაც უჩვეულოდ ისმის სიტყვათშეთანხმება „მშვიდობისმყოფელთა დანაშაული“. თუკი ინტერნეტში არსებულ განსაზღვრებებს დავუჯერებთ, გაეროს მშვიდობისმყოფელები არიან ადამიანები, რომელთა მოწოდებაა, უზრუნველყონ უსაფრთხოება, დაიცვან ადამიანთა უფლებები, აღადგინონ კანონიერება და ხელი შეუწყონ მშვიდობის დამყარებას ქვეყნებში, რომლებიც კონფლიქტური სიტუაციებიდან გამოდიან. ისინი ერთგვარი სუპერმენები არიან ცისფერი ჩაფხუტებით და ხელს უწყობენ მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევას იარაღის გამოყენების გარეშე.**

საჭიროა კი ხელის შეწყობა მსოფლიოში ომების დასამთავრებლად? — უდავოდ! მაგრამ **განა შეიძლება, რომ ამგვარი მიზნებისთვის კონფლიქტების გადასაჭრელად გაიგზავნონ არა პროფესიონალი სამხედრო პირები, არამედ, მაგალითად, პატიმრები, როგორც ეს ბულგარეთმა გააკეთა კამბოჯაში დამნაშავეთა გაგზავნისას? შეუძლიათ კი სისხლის სამართლის დამნაშავეებს, შეიცვალონ და უანგაროდ იმსახურონ სხვა ქვეყანაში მშვიდობის დასამყარებლად?**

**როგორც პრაქტიკამ აჩვენა, არა. ეგრეთ წოდებულმა მშვიდობისმყოფელებმა კონგოში საროსკიპოები გახსნეს...**

სამწუხაროდ, თავიანთი მდგომარეობით სარგებლობენ არა მხოლოდ დამნაშავეები, არამედ პროფესიონალი სამხედროებიც. გაერო ამაზე თვალების დახუჭვას ამჯობინებს და ყურადღებას არ აქცევს ყველა იმ შემთხვევას, რომლისთვისაც არ მოიძებნება საკმარისი მტკიცებულებები და რომლებსაც საზოგადოებრივი რეზონანსი არ მოჰყვება.

რეალურად **ყველა ქვეყანაში, სადაც კი „ცისფერი ჩაფხუტები“ გაგზავნეს, ძალადობასა და ძარცვას აქვს ადგილი. რეკეტიორების მსგავსად ისინი ფულს გამოსძალავენ მისიის ადგილობრივ თანამშრომლებს და ამას გადასახადს უწოდებენ ან, უბრალოდ, იარაღით ემუქრებიან მათ, ვაჭრობენ იარაღითა და ქალებით.**

მშვიდობისმყოფელთა ყველა მხეცობის შესახებ ჯერ კიდევ 11 წლის წინათ დაიწერა წიგნი „სასწრაფო სექსი და სხვა საგანგებო ზომები: ნამდვილი ისტორიები დედამიწაზე მდებარე ჯოჯოხეთიდან“.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკიდან, კონგოდან, ლიბერიიდან და კოტ-დიუვარიდან დღემდე მოდის საჩივრები მშვიდობისმყოფელი ორგანიზაციის წარმომადგენელთა მხრიდან სექსუალური ძალადობის თაობაზე.

საოცარია, რომ **აშშ-ში მხოლოდ ახლა შეწუხდნენ ამით და ალაპარაკდნენ იმ ქვედანაყოფის გამოძიებაზე, რომელიც სექსუალურ ძალადობაშია ჩართული. პან გი მუნმა კი ამგვარ მხეცობებს, უკვე დიდი ხანია, უწოდა მთელი გაეროს სიმსივნე.** გამოდის, რომ ორგანიზაცია, რომლის მოწოდებაც მშვიდობისა და სიკეთის თესვაა, საბოლოო ჯამში, სადისტების, მარგინალებისა და მკვლელების თავშესაფრად იქცა. ესეც მშვიდობისათვის ხელშეწყობა...



natalex84

**აშშ-ში მხოლოდ ახლა შეწუხდნენ ამით და ალაპარაკდნენ იმ ქვედანაყოფის გამოძიებაზე, რომელიც სექსუალურ ძალადობაშია ჩართული. პან გი მუნმა კი ამგვარ მხეცობებს, უკვე დიდი ხანია, უწოდა მთელი გაეროს სიმსივნე. გამოდის, რომ ორგანიზაცია, რომლის მოწოდებაც მშვიდობისა და სიკეთის თესვაა, საბოლოო ჯამში, სადისტების, მარგინალებისა და მკვლელების თავშესაფრად იქცა**

# სად ხართ, ლიბანელო ქრისტიანებო?

**ამჟამად სირიის, ანუ მთელი რეგიონის მომავალზე ღელავს ყველა და არავინ ახსენებს ლიბანს, სადაც სერიოზული სტრუქტურული კრიზისია. სუნიტებმა და შიიტებმა თავიანთი ქმედებებით დაამტკიცეს, რომ არ აქვთ უნარი, პრობლემები გადაჭრან და ერთობლივად ააშენონ სახელმწიფო. ანალოგიური სიტუაციაა ერაყშიც.**



საერთო სახალხო სულისკვეთებისათვის საჭიროა ლიბანის ისტორიიდან იმ დღის გახსენება, რომელმაც **იუშუ იბნ მუსუ** (ისლამისტი წინასწარმეტყველი, რომელიც ისრაელის ხალხს წინასწარმეტყველი მუსას შემდეგ მოევლინა) საფლავში გადაატრიალა — როდესაც ისრაელის ტანკებმა სამხრეთ ლიბანის ტერიტორიიდან უკან დახევა დაიწყეს. **ლიბანელებს, ისევე, როგორც ყველა არაბს, დედის რძესთან ერთად აქვთ შეთვისებული საკუთარი მიწის სიყვარული, ამიტომაც არიან მზად გმირობისთვის. 2000 წლის მაისის ის დღე სწორედ ლეგენდარული იყო ლიბანელი ხალხისთვის.**

რაც შეეხება ერაყელ სუნიტებსა და შიიტებს, მათ ჩააფლავეს საერთო სახელმწიფოს შექმნის ექსპერიმენტი, სახელმწიფოსი, რომელიც შეიძლებოდა რეგიონში გავლენიან და ძლიერ ფიგურად ქცეულიყო. ლიბანის სუნიტებმა და შიიტებმა, ისევე, როგორც ერაყისამ, წააგეს, რადგან ვერ შეძლეს ეფექტური სახელმწიფოს ორგანიზება. ლიბანელმა პოლიტიკოსებმა ბოროტება და არასტაბილურობა დათესეს და თანაც ეს ყველაფერი გააკეთეს კანონიერი გზით.

**ერთი ლიბანელი დეპუტატი სახალხოდ აცხადებს, რომ ირანი უფრო სახიფათოა ლიბანისა და მთლიანად ახლო აღმოსავლეთისათვის, ვიდრე ისრაელი. ამ სიტყვებმა რეგიონში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ნუთუ ირანელები არიან დამნაშავენი ყველა იმ წარუმატებლობაში და ტრაგედიაში, რომლებიც ლიბანელებს დაატყდათ თავს?! და ამის გამოა, რომ ნებისმიერი მიზეზით მუდმივად ადანაშაულებენ მათ იმპერიულ ამბიციებში?**

ჩნდება კითხვა: **სად ხართ თქვენ, ლიბანელო ქრისტიანებო? საუბარია იმ ქრისტიანებზე, რომლებმაც ლიბანს კულტურული და ინტელექტუალური სინათლე აჩუქეს. ქვეყანაში ხომ სწორედ ქრისტიანები უნდა ქცეულიყვნენ მესამე ძალად, რომელიც მუსლიმანებს აღავსებდა სულისკვეთებით საზოგადოებისა და ქვეყნის ახალი არქიტექტურის შესაქმნელად.**

საინტერესოა, როდემდე გაგრძელდება საუბრები ბალანსსა და პარიტეტზე, როდესაც ქვეყანაში არჩევნების შესახებ კანონი 1992 წლიდან არ შეცვლილა და ქრისტიანები განიხილება არა როგორც დამოუკიდებელი თემი, რომელსაც მუსლიმანების თანაბარი უფლებები და მოვალეობები აქვს, არამედ როგორც მუსლიმთა მფარველობის ქვეშ მყოფნი.

**ახლა დღის წესრიგში დგას ის სირთულეები, რომლებიც გეოგრაფიული რუკებით ხანგრძლივი და ჩახლართული თამაშის შედეგად გაჩნდა. სირია ნაწილებად იშლება და ეს დაშლა ხორციელდება საერთო რელიგიების, დოქტრინების, ეროვნულობის მიხედვით. ანალოგიურ ხვედრს ვერც ლიბანი გადაურჩება.**

ცვლილებებისა და ახალი წარმონაქმნების კონტექსტში კვლავაც წინ წამოიწია პალესტინელების თემამ. ლიბანსა და სირიაში მათი გადასახლება ის საზღაურია, რომელსაც ისრაელელი „ძმები“ ითხოვენ და, ვიდრე ბატონი დეპუტატები სახალხოდ აცხადებენ, რომ ისრაელისგან მომდინარე საფრთხე არაფერია იმ საფრთხესთან შედარებით, რომელიც ქვეყანას ირანის მხრიდან ემუქრება, ისრაელი ამ საზღაურის მოთხოვნას განაგრძობს. მაგრამ ვინ გადაიხდის? ის დეპუტატი? იქნებ სუნიტები და შიიტები ან ქრისტიანები?

ლიბანში პოლიტიკური ბრძოლა სცენარის მხოლოდ ნაწილია და რესპუბლიკაში პრეზიდენტს ვერც დღეს აირჩევენ და ვერც ხვალ, რადგან ლიბანიც, ისევე, როგორც სირია, ახლა მსოფლიო გადაწყვეტილებათა მაგიდაზე დევს.

**საუბარია არა იმ ქრისტიანებზე, რომლებიც დღეს ქვეყნის მართვას ცდილობენ და ყველა საკუთარი ინტერესების სასიკეთოდ ცდილობს საბნის გადაქაჩვას, არამედ იმ ქრისტიანებზე, რომლებმაც ლიბანს კულტურული და ინტელექტუალური სინათლე აჩუქეს. ქვეყანაში ხომ სწორედ ქრისტიანები უნდა ქცეულიყვნენ მესამე ძალად, რომელიც მუსლიმანებს აღავსებდა სულისკვეთებით საზოგადოებისა და ქვეყნის ახალი არქიტექტურის შესაქმნელად**

Ad-Diyar

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველო მწარმოებელი ქვეყნიდან მომხმარებელ ქვეყნად იქცა. 200 ჩაის ფაბრიკიდან აღარაფერი დარჩა (ახლა ვიწყებთ აღდგენას), თითქმის აღარ არსებობს კვების მრეწველობა. საქართველოში შემოსავლების 50%-ზე მეტი კვების მრეწველობაზე მოდიოდა. 70-ზე მეტი დასახელების პროდუქცია გადიოდა საექსპორტოდ. ახლა ჯართი და ღვინომასალები გადის. საქართველო მარცვლეულის მხოლოდ 18%-ს აწარმოებს, 82% შემოგვაქვს.**

# მიწას პატრონი უნდა

**მიწის წინდახედულად და დაკვირებით მართვის აუცილებლობა, მისი რესურსების უფრო ინტენსიურად გამოყენება ქმნის ერთიან საერთო გლობალურ საზრუნავს. მიწა არის ადამიანის ყველა სახის საქმიანობის საწყისი და საფუძველი. მიწას განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბუნებრივ რესურსებს შორის. ის საზოგადოების წევრების სასიკეთო მდგომარეობის მატერიალური საფუძველია. დედამიწაზე დამუშავებული მიწების 40% არადანიშნულებით და არაეფექტიანად არის გამოყენებული. მცდარია მსოფლიოში დამკვიდრებული აზრი, რომ მიწა არ განიცდის ცვეთას.**



დედამიწაზე მოსახლეობის ზრდის გათვალისწინებით, უახლოეს პერიოდში **50-70 წლის შემდეგ მოსალოდნელია სერიოზული საფრთხე, რომ დამუშავებაში არსებული მიწები ვერ უზრუნველყოფს ადამიანების 30%-ის არათუ სრულყოფილად გამოკვებას, არამედ საერთოდ გამოკვებას.** მომწიფდა საკითხი, რომ მსოფლიოში შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანიზაცია (ან გაეროსთან), რომელიც გააკონტროლებს მიწების გამოყენებისა და აღრიცხვის საკითხებს. **საჭიროა, მსოფლიოში კატეგორიულად აიკრძალოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე სამრეწველო ობიექტების მშენებლობა, განსაკუთრებული შემთხვევების გარდა.** ჩვენი პლანეტის საერთო ფართობი 510 მილიონი კვ.კმ-ია. მისი უმეტესი ნაწილი დაფარულია წყლით — 361 მილიონი კვ.კმ (71%); ხმელეთს უკავია 149 მილიონი კვ.კმ; საქართველოს ტერიტორიის ფართობია 7 628 400 ჰა; აქედან 3 026 300 ჰა(39.67%) სასოფლო-სამეურნეო სავარგულია. საქართველოში სამოქალაქო არეულობის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა საქართველოს სოფლის მეურნეობა. ქართული სოფლის მოსახლეობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. საქართველოს მთავრობამ გამოსავალი იმაში ნახა, რომ **1992 წელს დაიწყო კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების დაჩქარებული და მოუფიქრებული ლიკვიდაცია და ქვეყნის მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახელმწიფო მიწების უფასო პრივატიზაცია.** სახნავი მიწების მასივები დაიყო წვრილ კონტურებად და განაწილდა, როგორც სოფლის, ისევე დაბისა და ქალაქის მოსახლეობაზე. **მიწის ასეთმა რეფორმამ გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაქუცმაცება და პრივატიზებული მიწის ფრაგმენტაცია საქართველოს მასშტაბით.** 1992 წლამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ძირითადი ფართობები მუდმივ სარგებლობაში გადაცემული ჰქონდა კოლმეურნეობებს და სარგებლობაში — სახელმწიფო მეურნეობებს.

1992 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღო დეკრეტი №29 „საქართველოს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის განხორციელების, სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასაფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციის შესახებ. დადგინდა: სახელმწიფო მეურნეობები, კოლმეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ვალდებული არიან, 1992 წელს გაატარონ რეორგანიზაცია. რაც არ შესრულდა. **სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ბაზაზე გლეხური (ფერმერული) მეურნეობების, კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, აგროფირმების, აქციონერული საზოგადოებების, კოპერატივების შექმნის ნაცვლად დაიწყო ქონების დატაცება.** განადგურდა მეცხოველეობის კომპლექსები, მეფრინველეობის თანამედროვე ფაბრიკები, ვეტერინალური მომსახურების, ჯიშთა გამოცდის, სასელექციო, მანქანა-ტრაქტორთა პარკის სადგურები, დაიწყო ტრაქტორების ქურდობა და ჯართში ჩაბარება, ათი გრამი სპილენძისთვის მწყრობიდან გამოყავდათ ძვირად ღირებული დაზგა-დანადგარები და ჯართში აბარებდენ ან ჩალის ფასად ჰყიდდნენ თურქეთსა და ირანში. გაუქმდა სოფლის მეურნეობის დარგის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტები და ლაბორატორიები. განადგურდა მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული 400-ზე მეტი უნიკალური ვაზის ჯიშის სანერგე მეურნეობა; კატასტროფულად შემცირდა ნათესი ფართობები, განადგურდა ჩაის ნარგავები, შემცირდა სოფლო-სამეურნეო კულტურები; მოიშალა, შეიძლება ითქვას, განადგურდა სოფლის მეურნეობის დარგობრივი ინფრასტრუქტურა, თესლბრუნვები, მრავწლიანი ნარგავების ნერგების წარმოება, ხელოვნური დათესვლის სადგურები, თესლის ხარისხისა და აღმოცენების დადგენის სამსახურები; კატასტროფულად შემცირდა მარცვლეულის, ხილის, ყურძნის, ჩაის, ხორცის, კვერცხის, რძისა და რძის პროდუქტების წარმოება და დამზადება; დაიწყო დაშრობილი ფართობების მეორადი დაჭაობება, მოიშალა სარწყავი სისტემები, მიწიდან იღებდენ სარწყავ მილებს და ჯართში აბარებდენ. გორისა და ქარელის რაიონებში მოიშალა ათასობით ჰექტარი დაწვიმებითი სარწყავი სისტემა — მალხაზის წვერზე მოწყობილი სრულიად ახალი, უახლესი ტექნოლოგიით მოწყობილი დაწვიმებითი სარწყავი სისტემა ჯართში ჩაბარდა. ანალოგიური რამ მოხდა სიღნაღის რაიონის წნორის კომპლექსის დაწვიმებით სარწყავ სიტემაზეც — ჯართში ჩააბარეს ფრეგატების დაწვიმებითი სარწყავი დანადგარები. სოფლებში ელექტროსადენებს იპარავდენ და ჯართში აბარებდენ. საქართველოს ტყეებში შეწყდა ტყეთმოწყობის სამუშაოები, მოიშალა მცენარეთა დაცვის სამსახურები, ხეები დაავადდა, აღარ ტარდებოდა სანიტარული და მოვლითი ჭრები, დაიწყო ტყეების უსისტემო ჩეხვა-განადგურება. **საქართველო მწარმოებელი ქვეყნიდან მომხმარებელ ქვეყნად იქცა. 200 ჩაის ფაბრიკიდან აღარაფერი დარჩა (ახლა ვიწყებთ აღდგენას), თითქმის აღარ არსებობს კვების მრეწველობა. საქართველოში შემოსავლების 50%-ზე მეტი კვების მრეწველობაზე მოდიოდა. 70-ზე მეტი დასახელების პროდუქცია გადიოდა საექსპორტოდ. ახლა ჯართი და ღვინომასალები გადის. საქართველო მარცვლეულის მხოლოდ 18%-ს აწარმოებს, 82% შემოგვაქვს. ყოველივე ამას დიპლომატიური სიბრძნით უყურებდა თბილი კაბინეტიდან ჯერ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, შემდგომ პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.**

იმის გაკეთებას, რაც არ გაკეთდა 1992-1998 წლებში — არ მოხდა არსებული მეურნეობების გარდაქმნა კოოპერატივებად — ახლა ცდილობს საქართველოს მთავრობა. ეს კი შეუძლებელია მიწების კონსოლიდაციის გარეშე.

საქართველოში სახნავი მიწები 1900 წლისთვის შეადგენდა 1303.6 ათას ჰექტარს, 2005 წლისთვის (ამის შემდეგ აღრიცხვა აღარ არსებობს) — 798.6 ათას ჰექტარს (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით), ანუ შემცირებულია 505.00 ათასი ჰექტრით.

**1862 წელს თბილისში ცხოვრობდა 62 082 კაცი, სულ საქართველოში — ერთ მილონზე ცოტა მეტი. თბილისის მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობის 7%-ს შეადგენდა, დღეს თბილისის მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტია. ჩემი ასაკის ადამიანებს კარგად გვახსოვს, როგორ მარაგდებოდა თბილისი მისი მიმდებარე სოფლებიდან (დიღომი, გლდანი, ავჭალა, კრწანისი და სხვ.) სასოფლო-სამეურნო პროდუქტებით. დღეს ამ პროდუქტებით სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და ირანი გვამარაგებს. საქართველოში ვაშლი შემოდის პოლონეთიდან(?!), სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნის 80% საზღარგარეთიდან შემოტანილი პროდუქტებით კმაყოფილდება.** თბილისის ტერიტორის ზრდა ხდებოდა მიმდებარე სახნავი მიწების ხარჯზე. თუ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მეტ-ნაკლებად გამართლებული იყო თბილისის ტერიტორის ზრდა მიმდებარე სოფლების სახნავი მიწების ხარჯზე, 2006 წლის

**ორგანიზებულად ხორციელდება და უკვე მასობრივ ხასიათს იძენს უცხოეთიდან საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ჩამოსახლება. არაოფიციალური მონაცემებით, გარდაბანში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები მიჰყიდეს ინდოელებს; ყვარელში — იტალიელებს; დედოფლისწყაროში — ინდოელებს; იორმუღანლოში — ბრიტანელებს; იმერეთში — ჩინელებს, ჩეხებს, ირანელებსა და ინდოელებს; გორსა და ქარელში — ინდოელებს; სამეგრელო-ზემო სვანეთში — იტალიელებს, ფრანგებს, ჩინელებს, გერმანელებს, ებრაელებსა და ინდოელებს; ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რეგიონებში**



## ნატოს შეიარაღებულ ძალებს ევროპაში ახალი სარდალი ეყოლება

**ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების სარდლის პოსტს, ბი-ბი-სის ცნობით, სავარაუდოდ, ამერიკელი კერტის სკაპაროტი დაიკავებს.** სკაპაროტის კანდიდატურა აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ წარადგინა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი კი წარდგენილ კანდიდატურას დაეთახმა. ახლა იგი აშშ-ის სენატმა უნდა დაამტკიცოს.

კერტის სკაპაროტი ამჟამად სამხრეთ კორეაში აშშ-ის ძალების სარდალია. როგორც პენტაგონის ხელმძღვანელმა ეშტონ კარტერმა განაცხადა, გამოცდილება სკაპაროტის აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ევროპაში ნატოს მთავარსარდლის პოსტი დაიკავოს.

ნატოს შეიარაღებული ძალების სარდალს ევროპაში ტრადიციულად აშშ ნიშნავს. იგი პასუხისმგებელია ევროპის ქვეყნებში განლაგებულ ამერიკულ შეიარაღებულ ძალებზე.



ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი პლანეტის საერთო ფართობი 510 მილიონი კვ.კმ-ია. მისი უმეტესი ნაწილი დაფარულია წყლით — 361 მილიონი კვ.კმ (71%); ხმელეთს უკავია 149 მილიონი კვ.კმ; საქართველოს ტერიტორიის ფართობია 7 628 400 ჰა; აქედან 3 026 300 ჰა(39.67%) სასოფლო-სამეურნეო სავარგულია.**



# საქართველოში ვაშლი შემოდის პოლონეთიდან(?!), სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნის 80% საზღვარგარეთიდან შემოტანილი პროდუქტებით კმაყოფილდება

საქართველოს პარლამენტის №4173 დადგენილება: „ქალაქ თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“, რომლის შედეგად 22 სოფელი შემოუერთდა თბილისს, ყოვლად გაუმართლებელი და საფუძველს მოკლებულია. ამ დადგენილებით კიდევ ერთხელ განადგურდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი მიწები. საქართველო თავკომბალას დაემსგავსა.

**2012 წლის ივნისიდან 2013 წლის ივნისამდე უცხოელების მიერ შეიძინა 395 იურიდიული პირი, რომლებმაც იყიდეს 271 ნაკვეთი. დღევანდელი მდგომარეობით (არაზუსტი მონაცემებით), უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდულია ათასობით ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი.** მცხეთის რაიონში უცხოელმა მოქალაქემ (არარეზიდენტმა ფიზიკურმა პირმა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომ იტყვიან, „ჩალის“ ფასად შეიძინა, დაყო ნაკვეთებად და გამზადებული აქვს თავის თანმემამულეებზე გასაყიდად. უახლოეს პერიოდში მცხეთის რაიონში მოსალოდნელია შეიქმნას ოთხი ახალი სოფელი, რომლებშიც უცხოელები დასახლდებიან. ამ ფონზე **ორგანიზებულად ხორციელდება და უკვე მასობრივ ხასიათს იძენს უცხოეთიდან საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შემოსახლება. არაოფიციალური მონაცემებით, გარდაბანში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები მიჰყიდეს ინდოელებს; ყვარელში — იტალიელებს; დედოფლისწყაროში — ინდოელებს; იორმუღანლოში — ბრიტანელებს; იმერეთში — ჩინელებს, ჩეხებს, ირანელებსა და ინდოელებს; გორსა და ქარელში — ინდოელებს; სამეგრელო-ზემო სვანეთში — იტალიელებს, ფრანგებს, ჩინელებს, გერმანელებს, ებრაელებსა და ინდოელებს; ანალოგიური მდგომარეობაა სხვა რეგიონებშიც.**

აი, რას ამბობდა მე-20 საუკუნის დასაწყისში **ვაჟა-ფშაველა: „საქართველო დღეს წააგავს მსუქნ დუმას, გარეშე კაცი მიეტანა ამ დუმას და ნელ-ნელა ათლის კაიკაი ნაჭრებს. ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ, ქართველები, ამ დუმის თლას — მიწა-წყლის გადასვლას სხვის ხელში, როდი ვეწინააღმდეგებით სასტიკად. როგორ ეკადრება ასეთი საქციელი ჩვენს კეთილშობილებას... რას სჩადიხართ, ვინ მოგცათ ნება, ერის საუნჯე ტერიტორია საძმო, საკაცობრიო ტაბლად აქციოთ და თვით ერსაც ხელი ეროვნულობაზე აალებინოთ?!“**

ამ საკითხზე ცნობილი პოლიტოლოგი **ალექსანდრე ჭაჭია** წერს: **„ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს, ხოლო ერი არ არის დღევანდელი თაობა, არამედ წინა და მომავალი თაობებიც, ერთად აღებული, ერის არც ერთ თაობას არ აქვს უფლება, გაყიდოს ის, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის“** (გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, № 21, 2013 წ.). საუბედუროდ, ამით არ დასრულებულა ქართული მიწის ღალატი. 2005 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტს.

**2004 წელს, მას შემდეგ, რაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ჩვენი აზრით, ქართული მიწის ღალატის ფასად, ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, ამ დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული მიწათმოწყობის სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორია, გაჩერდა ნიადაგების კვლევის და სხვა სამუშაოები. სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მიწათმომწყობთა კადრების გამოშვება.**

**მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ქვეყანაში დღემდე არ ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვს ქვეყანას, მათგან რამდენია კერძო საკუთრებაში, მუნიციპალურ თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით; არ ვიცით რამდენი ჰექტარი ვენახი, ხილის ბაღები, ჩაი, ციტრუსი და სხვა კულტურები გვაქვს. არ არის დაზუსტებული საზღვრები რუსეთთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან.** საინტერესოა, როგორ შეიმუშავა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2012 წელს „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012- 2022 წ.წ.“ როდესაც არ იცის, რამდენი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვს კულტურებისა და საკუთრების მიხედვით.

**სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების აღრიცხვისა და რეგისტრაციის მიზნით საქართველოს მთავრობამ აიღო კრედიტი — 52 მილონი გერმანული მარკა და 12 მილონი დოლარი, გააფორმა ხელშეკრულება ერთ-ერთ გერმანულ ფირმასთან და ამ ფირმამ დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშულების მიწების აზომვითი სამუშაოები. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ამ ფირმის ერთი ხელმძღვანელის ყოველთვიური ანაზღაურება საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის 1660 თანამშრომლის წლიურ ხელფასს შეადგენდა. კიდევ უფრო დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: სამუშაოები განხორციელდა, აღებული კრედიტი მთლიანად ათვისებული იქნა, მაგრამ დღეს ვერავინ იტყვის, ვინ და რისთვის გამოიყენა ამ სამუშაოების შედეგები. შეიძლება ითქვას, რომ წყალში გადაიყარა 52 მილიონი გერმანული მარკა და 12 მილიონი დოლარი თავისი პროცენტებით.**

ბოლო პერიოდში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეწყვიტა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვა საქართველოს მოქალაქეებზე. **სამინისტროს ქონების მართვის სააგენტო ითხოვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გადაყვანას არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებაში და შემდეგ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გააქვს აუქციონზე გასაყიდად, როგორც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. ასეთი ქმედება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მიმართ ღალატის ტოლფასია.**

დღეს საქართველოს არც ერთი კანონი არ იცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს დაქუცმაცებისა და გაუბედურებისაგან, პირიქით — ხელს უწყობს მიწების დანაწევრებას. **„სასაფლო-სამეურნეო დანიშულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად აკრძალული იყო მიწის ნაკვეთის გასხვისება, თუ გასხვისების შედეგად დარჩენილი ფართობი 5 ჰექტარზე ნაკლები იქნება. სამწუხაროდ, კანონიდან ეს პუნქტი ამოღებული იქნა.** ამ კანონის მიღების მომენტში კანონი შედგებოდა 22 მუხლისაგან. კანონის მიღებიდან დღემდე შეტანილი 14 ცვლილების შედეგად ამოღებულ იქნა 11 მუხლი. კანონმა, ფაქტობრივად, დაკარგა არსებითი მნიშვნელობა და ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს.

**იმისათვის, რომ მდგომარეობა რადიკალურად გამოსწორდეს გადაუდებელი ამოცანაა:**

**1. საქართველოში ჩატარდეს სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კონსოლიდაცია;**

**2. აღდგეს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი;**

**3. დამუშავდეს და საქართველოს პარლამენტმა მიიღოს საქართველოს მიწის კოდექსი. საჭიროა, კანონმდებლობა იცავდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს დანაწევრებისაგან და მის გადაყვანას არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;**

**4. გაძლიერდეს თანამშრომლობა ადგილობრივი მმართველობის ორგანოებსა და მიწის მართვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებს შორის;**

**5. განხორციელდეს მიწათსარგებლობის აღრიცხვა და მონიტორინგი, რომელმაც პასუხი უნდა გასცეს კითხვებს — როგორია მიწათსარგებლობის საერთო მდგომარეობა ქვეყანაში, რა არასასურველი ცვლილებებია მოსალოდნელი და რა ღონისძიებებია განსახორციებელი. პირველ რიგში, უნდა დავიწყოთ მიწის ყოველწლიური ბალანსის შედგენა. უნდა შემუშავდეს მიწის გაუმჯობესებული მართვის სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს მიწის ფრაგმენტაციის პრობლემის მოგვარებას. უნდა შემუშავდეს დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით მიწის აღრიცხვის კონცეფცია. უნდა განისაზღვროს სახელმწიფო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს მიწათსარგებლობის აღრიცხვისა და მიწის მონიტორინგის ფუნქციის განხორციელებას. საქართველოს მიწის ფართობების აღრიცხვის უგულებელყოფა(მიწის ბალანსი) და მიწის კოდექსის არარსებობა სახელმწიფოებრივი დანაშაულია და მომავალი თაობა ამას არ გვაპატიებს.**

**ანზორ მესხიშვილი**,
დამოუკიდებელი ექსპერტი უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

**სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების აღრიცხვისა და რეგისტრაციის მიზნით საქართველოს მთავრობამ აიღო კრედიტი — 52 მილონი გერმანული მარკა და 12 მილონი დოლარი, გააფორმა ხელშეკრულება ერთ-ერთ გერმანულ ფირმასთან და ამ ფირმამ დაიწყო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების აზომვითი სამუშაოები. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ამ ფირმის ერთი ხელმძღვანელის ყოველთვიური ანაზღაურება საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის 1660 თანამშრომლის წლიურ ხელფასს შეადგენდა. კიდევ უფრო დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: სამუშაოები განხორციელდა, აღებული კრედიტი მთლიანად ათვისებული იქნა, მაგრამ დღეს ვერავინ იტყვის, ვინ და რისთვის გამოიყენა ამ სამუშაოების შედეგები. შეიძლება ითქვას, რომ წყალში გადაიყარა 52 მილიონი გერმანული მარკა და 12 მილიონი დოლარი თავისი პროცენტებით**

განათლება

## სკოლის მასწავლებელთა 83%-მა პროფესიული გამოცდის მინიმალური ზღვარი ვერ გადალახა

**სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობამ მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა ვერც ამჯერად მოახერხა. პედაგოგთა ბოლო საგნობრივი გამოცდა მიმდინარე წლის იანვარში ჩატარდა, სადაც სულ 10 552 პრაქტიკოსი პედაგოგი დარეგისტრირდა, მათგან ტესტირება 6 477 გაიარა, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, რომელიც 60%-ით განისაზღვრებოდა, 1 101-მა, ანუ საერთო რაოდენობის თითქმის 17%-მა გადალახა.**

ყველაზე სავალალო შედეგი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს აქვთ — გამოცდაზე მისული 1 167 პედაგოგიდან კომპეტენციის დადასტურება მხოლოდ 94-მა პედაგოგმა, ანუ დაახლოებით 8%-მა შეძლო. 381-დან მხოლოდ 26-მა, ანუ საერთო რაოდენობის თითქმის 7%-მა ჩააბარა მათემატიკის გამოცდა, რაც შეეხება ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდას, 317-დან ზღვრის გადალახვა მხოლოდ 15%-მა მოახერხა. საერთო რაოდენობის 9%-მა გადალახა ზღვარი ბუნებისმეტყველებაში, 19%-მა — ფიზიკაში და თითქმის 17%-მა — ქიმიაში. რაც შეეხება უცხო ენის გამოცდას, ინგლისური ენის გამოცდაზე სულ 458 პედაგოგი გავიდა, მათგან ზღვრის გადალახვა 83-მა შეძლო, 29-დან 10-მა დაამტკიცა თავისი კომპეტენცია გერმანულ ენაში; რაც შეეხება რუსულს, ზღვრის გადალახვა გამოცდაზე გასულთა ნახევარზე მეტმა შეძლო.

ჩატარებული 19 საგნობრივი გამოცდიდან რუსული ენის 55%-იანი შედეგი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

გეოსტრატეგი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთ ხელში იყო მოქცეული მრეწველობისა და მედიასაშუალებების უდიდესი წილი. მსხვილ საწარმოებში, რომლებიც ამერიკის ქარხნებისა და ფაბრიკების 5,2%-ს შეადგენდა, დასაქმებული იყო მუშახელის 55% და იწარმოებოდა ქვეყნის მთლიანი მრეწველობის 67,5%. მის აქციებს კი ფლობდნენ მცირერიცხოვანი გიგანტური კონცერნები. 1930-იანი წლების ბოლოს მფლობელთა 1%-ს ეკუთვნოდა ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის 59%, ამასთანავე, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი — 87% ფლობდა ეროვნული სიმდიდრის მხოლოდ 8%-ს.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-9 (330-338)

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

„ანტიკრიზისული" ღონისძიებების საბაბით, რუზველტმა რადიკალური ცვლილებები განახორციელა. დემოკრატიულს, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, მათ მხოლოდ **ვალერია ნოვოდვორსკაია** თუ უწოდებდა. უმუშევარ კლერკებს, რომლებსაც თავიანთ სიცოცხლეში კალამზე მძიმე არაფერი აუწევიათ, ხელში ნიჩაბი დააჭერინეს და გაუშვეს ავტობანებისა და საზოგადოებრივი შენობების მშენებლობებზე. არ შეგიძლია ან არ გინდა თხრა? — კეთილი, ჩვენ უმუშევრობის ფულად დახმარებას მოგიხსნით. სხვა გზა არ იყო, ამერიკელები, ფაქტობრივად, ლუკმაპურისთვის მუშაობდნენ.

თუ წაიკითხავთ, როგორი გონიერი და პატრიოტი აღმოჩნდა ამერიკის ისტორიაში პირველი ინვალიდი პრეზიდენტი, 30-იანი წლების მოვლენების შესახებ თხრობა ამ გეზს გაჰყვება: გაბედულად, სწრაფად, გადამწყვეტად. მაგალითად, 1933 წლის მარტში შეიქმნა „რესურსების შენარჩუნების სამოქალაქო კორპუსი". ლამაზი სახელწოდების უკან არც ისე ლამაზი რეალობა იმალებოდა, რომელიც ოდესღაც ამხანაგ ტროცკის მიერ მოგონილ შრომით არმიას ჰგავდა, მაგრამ, თუ სსრკ-ში ლევ დავითის ძის იდეა ძირძველ ბოლშევიკებსაც კი ზედმეტად თამამი მოეჩვენათ და ის, უბრალოდ, იდეად დარჩა, აშშ-ში იგი განხორციელდა. უმუშევარი ახალგაზრდობა იგზავნებოდა ქვეყნის შორეულ რეგიონებში „რესურსების შესანარჩუნებლად". სამუშაო მძიმე იყო, ტერმინი „რესურსების შენარჩუნება" მოიცავდა არა მხოლოდ ტყეების გაშენებასა და პარკების მოწყობას, არამედ ტყეების გასუფთავებას და ავტომაგისტრალების მშენებლობასაც. 1934 წლის იანვრისთვის აქ უკვე 5 მილიონი ადამიანი იყო დასაქმებული, ხელფასი — 1 დოლარი დღეში.

დიახ, **რუზველტის რეფორმები მტკიცე და სწრაფი იყო. სისწრაფეს მას სძენდა კრიზისის ისე გაღრმავება, რომ სახელმწიფოს არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. უკვე აღირიცხა შიმშილით გარდაცვალების ფაქტები — და ეს იმ ქვეყანაში, რომელიც სურსათის სიუხვით იყო გამორჩეული. და, რაც მთავარია ბანკირების, ფსს-ს მფლობელების მიზანი სულაც არ იყო ამერიკული მრეწველობისა და სახელმწიფოებრიობის განადგურება, არამედ, უბრალოდ, მისი შესუსტება და დაქვემდებარება. შესუსტება შედგა, ახლა სწრაფად უნდა დაექვემდებარებინათ, შემდეგ კი ასევე სწრაფოდ აღედგინათ სახელმწიფოს ძლიერება.**

ეს მნიშვნელოვანი მომენტია — რუზველტის რეფორმები ტარდებოდა არა კულისებს მიღმა შენიღბული მბრძანებლების ნების გარეშე, არამედ მათი დავალებითა და კურთხევით.

საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოებით დაკავებულმა ამერიკელებმა ვერც კი შენიშნეს, რა სწრაფად შეიცვალა ქვეყნის ფინანსური სისტემა. რუზველტმა, როგორც კი მოვიდა ხელისუფლებაში, გამოაცხადა ე.წ. საბანკო არდადეგები. ყველა ფინანსური დაწესებულება ერთი კვირით დაიხურა. ეს გაკეთდა არა „მეანაბრეთა დასამშვიდებლად", არამედ იმისთვის, რომ ვერც ერთ კერძო მეანაბრეს ვერ გაეტანა თავისი ფული. გამოცხადდა დოლარის ოქროს სტანდარტის გაუქმება. დაუყოვნებლივ გამოვიდა პრეზიდენტის ბრძანება №6102, რომელშიც ეწერა:

* **„განყოფილება 2. ამ ბრძანებით ყველა პირი ვალდებულია 1933 წლის მაისამდე ჩააბაროს ყველა ოქროს მონეტა, ოქროს ზოდი და ოქროს სერტიფიკატი ფედერალურ სარეზერვო ბანკში ან მის ფილიალებში, ან სააგენტოებში, რომლებიც ფედერალური სარეზერვო სისტემის წარმომადგენლები არიან".**

* **„განყოფილება 9. ვინც თვითნებურად დაარღვევს პრეზიდენტის ბრძანებას ან მასში შემავალ რომელიმე ნორმას დაჯარიმდება არანაკლებ 10 000 დოლარით, ფიზიკური პირი შეიძლება დაექვემდებაროს თავისუფლების აღკვეთას 10 წელზე მეტი ვადით ან ორივე სასჯელი ერთად მიესაჯოს".**

მოსახლეობა დებდა პირობას, რომ ერთი თვის(!) განმავლობაში ჩააბარებდა ფსს-ს თავის ოქროს. ოქროს ზოდებისა და მონეტების (საკოლექციოს გარდა) კერძო მფლობელობა უკანონოდ გამოცხადდა. სანაცვლოდ, ამერიკელები იღებდნენ ქაღალდის დოლარებს, რომლებიც იმ დროიდან ჩაენაცვლა ოქროს, როგორც დაგროვების საშუალებას. **1933 წელს დემოკრატიულ ამერიკაში მცხოვრებს, რომელსაც არ სურდა დაგროვილი ძვირფასი ლითონის ჩაბარება, 10 000 დოლარიანი ჯარიმა (გაიხსენეთ, რომ ამერიკელები დღეში ერთ დოლარად მუშაობდნენ!) ან ათწლიანი ციხე ემუქრებოდა.**

საკუთარი მოსახლეობის ძარცვამ მტკივნეულად ჩაიარა, საინფორმაციო საშუალებები ამას აშუქებდნენ, როგორც მნიშვნელოვან ანტიკრიზისულ ღონისძიებას. „ქვეყნის რესურსების კონსოლიდაცია აუცილებელია, რათა ამერიკა დეპრესიიდან გამოვიდეს", — ამბობდა ფრანკლინ რუზველტი. **ქვეყნის მეთაური აკეთებდა იმას, რისთვისაც პრეზიდენტი გახდა: ართმევდა ოქროს საკუთარ ხალხს. ერთ-ერთ ჰოლივუდურ მძაფრსიუჟეტიან ფილმში დამნაშავეებმა გადაწყვიტეს, გაეძარცვათ ფორტნოქსი, სახელმწიფო ოქროს ხაზინა. აი, ზუსტად იქ მოთავსდა რუზველტის მიერ წართმეული ოქრო და დღესაც იქ დევს. როგორც კი გამოისყიდეს მოსახლეობისგან უნცია ოქრო 20,66 დოლარად, რუზველტმა მყისვე გაზარდა უნცია ოქროს ფასი 35 დოლარამდე და ეროვნული ვალუტის დევალვაცია გამოაცხადა.**

ოქროს სტანდარტი გაუქმდა ჯერ შეერთებულ შტატებში, შემდეგ — ყველგან. „1930-იანი წლების დიდი დეპრესიის შემდეგ ოქროს სტანდარტი პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში გაუქმდა".




ფრანკლინ რუზველტი

ეს იყო მეგაკორპორაციების შექმნისა და ჩვენთვის ცნობილი ბრენდებისა და კონცერნების შექმნის პერიოდი. **შეერთებული შტატები საბოლოოდ დაპყრობილი იყო. ამერიკული სახელმწიფო სწრაფად და შეუმჩნევლად შთანთქა საბანკო ინსტიტუტებმა. ქვეყნის სათავეში შეიძლება მოხვედრილიყო ადამიანი, რომლის კანდიდატურამ დასტური ფსს-ს დამფუძნებლებისგან მიიღო. ხოლო თვითონ ფედერალური სარეზერვო სისტემა პოსტკრიზისულ 1935 წელს საბოლოოდ ჩამოყალიბდა იმ სახით, როგორითაც ვიცნობთ დღეს. შეერთებული შტატების პოლიტიკის განსაზღვრა მოხდა არა ქვეყნის ინტერესების მიხედვით, არამედ „საბეჭდი მანქანის" ინტერესებით.** შემდეგ იყო

**აშშ-ის პრეზიდენტმა რუზველტმა, რაკი იცოდა, რომ აშშ-ის მოქალაქეთა უდიდეს ნაწილს არ სურს თავიანთი ქვეყნის მონაწილეობა მსოფლიო ომში, პროვოცირება გაუწია იაპონიას პერლ-ჰარბორზე დასარტყმელად. მას ომში ჩასართველად საბაბი სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ გამოიჩინა აშშ-ის ჯარმა და ფლოტმა ასეთი „გულგრილობა", მიუხედავად იაპონიის მხრიდან დარტყმის მომზადების შესახებ სიგნალებისა. თუმცა ყველაზე ბრძოლისუნარიანი გემები — ოთხი ავიამზიდი — თავდასხმის დღეს სასწაულებრივად არ იმყოფებოდა პერლ-ჰარბორში და არც დაზიანებულა**

ეს ნიშნავდა, რომ მსოფლიო ვაჭრობა შემზადებული იყო იმისთვის, რომ პერსპექტივაში ოქროს ხანა ქცეულიყო წარსულად. ამერიკელს აღარ შეეძლო დოლარის ოქროზე გადაცვლა.

გაკეთდა მთავარი — ამერიკელებს შეეძლოთ ქაღალდის ფულის დაგროვება და არა — ოქროს ზოდებისა და მონეტების.

რა სახით არის უფრო ადვილი ქაღალდის ფულის შენახვა?

რა თქმა უნდა, ბანკში ანგარიშის გახსნით, ანუ ბანკირებთან ურთიერთობით!

ვინ შექმნა ფსს? — ბანკირებმა. უზარმაზარ ქვეყანას უცებ ძალიან დასჭირდა ბანკების მომსახურება. ახლა ყველას მხოლოდ ქაღალდის ფული სჭირდებოდა, რომელსაც ბანკირების მფლობელობაში მყოფი ფედერალური სარეზერვო სისტემა ბეჭდავდა, მათ მიერ დაბეჭდილი ქაღალდები მათვე უბრუნდებოდათ. ოქრო? მას, როგორც წესი, საკანში ათავსებენ და მასთან წვდომა ბანკირებს არ აქვთ. ეს არის პრინციპული განსხვავება. **ქაღალდის დაგროვების დახმარებით პირთა ვიწრო წრე — ფსს-ს შემქმნელები — აწესებდა კონტროლს შტატების მოსახლეობის ანაბრებზე; შემდეგ, დროთა განმავლობაში — კონტროლს მთელი პლანეტის მოსახლეობის ანაბრებზე.**

აღსანიშნავია, რომ, როგორც კი აშშ-ში ოქროს კონფისკაცია მოხდა, ქვეყანაში კრიზისის სიმძაფრე მკვეთრად შემცირდა. **სწორედ 1933 წელია დიდი დეპრესიის დასრულების ოფიციალური წელი და ოქროს დიდი კონფისკაციის წელიწადი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამერიკელთა სახლებში ოქროს ზოდებისა და მონეტების შენახვა გახდა ქვეყანაში ეკონომიკური უბედურების მთავარი მიზეზი და როდესაც ეს სამწუხარო გაუგებრობა გამოასწორეს, ყველაფერი მოგვარდა.**

ხალხის ვიწრო წრის ხელში ფულის კონცენტრაცია აღემატებოდა ყველა შემთხვევას, რაც ოდესღაც კაცობრიობას უნახავს. **ერთ ხელში იყო მოქცეული მრეწველობისა და მედიასაშუალებების უდიდესი წილი. მსხვილ საწარმოებში, რომლებიც ამერიკის ქარხნებისა და ფაბრიკების 5,2%-ს შეადგენდა, დასაქმებული იყო მუშახელის 55% და იწარმოებოდა ქვეყნის მთლიანი მრეწველობის 67,5%. მის აქციებს კი ფლობდნენ მცირერიცხოვანი გიგანტური კონცერნები. 1930-იანი წლების ბოლოს მფლობელთა 1%-ს ეკუთვნოდა ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის 59%, ამასთანავე, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი — 87% ფლობდა ეროვნული სიმდიდრის მხოლოდ 8%-ს.** მაგალითად, **ჯონ მორგანი,** არა მხოლოდ ბანკების, არამედ ფოლადის საწრთობი „იუეს სტილის", „ჯენერალ ელექტრიკის" და სხვა კორპორაციების ფაქტობრივი დამფუძნებელი და მფლობელი იყო.

მეორე მსოფლიო ომი, ათობით მილიონი მსხვერპლით და დოლარის აღმასვლით უდიდეს სიმაღლეზე. ბრეტონვუდსის შეთანხმებით, იგი პლანეტის ერთადერთი სარეზერვო ვალუტა გახდა და ამ როლს დღემდე ინარჩუნებს.

და **ამ ყველაფრის უზრუნველყოფა ფრანკლინ დელანო რუზველტმა მოახერხა, რომელსაც აშშ-ის პრეზიდენტის პოსტი 1933–1945 წლებში ეკავა.**

ანუ ჩვენ გვყავს ორი პრეზიდენტი, ორი პატრიოტი, ორი ნიჭიერი მოღვაწე. ორივეს ჰქონდა წარმატებები და შეცდომები. ისინი ერთნაირად უყვარდა ჩვეულებრივ ამერიკელებს. და საკითხავია, ვინ უფრო?! სხვათა შორის, **რუზველტისადმი სიძულვილის მიზეზი მის მიერ გაძარცვულ ამერიკელებს გაცილებით მეტი ჰქონდათ, მაგრამ არც ერთი ჯგუფური „ოსვალდი" მის წინააღმდეგ არ გამოჩენილა. რატომ? იმიტომ, რომ ასეთი ქვეყნის მეთაურის მოკვლა მარტოხელა-ენთუზიასტს** ▶




**რუზველტისადმი სიძულვილის მიზეზი მის მიერ გაძარცვულ ამერიკელებს გაცილებით მეტი ჰქონდათ, მაგრამ არც ერთი ჯგუფური „ოსვალდი“ მის წინააღმდეგ არ გამოჩენილა. რატომ? იმიტომ, რომ ასეთი ქვეყნის მეთაურის მოკვლა მარტოხელა ენთუზიასტს არ შეუძლია. ხალხის სიყვარული ან სიძულვილი აქ არაფერ შუაშია. კენედი სძულდა პოლიტიკურ ელიტას და იგი მოკლეს. რუზველტს იგივე ელიტა პატივს სცემდა დირექტივების ზუსტი შესრულებისთვის, ამიტომ იგი მესამე ვადით აირჩიეს და მისცეს საშუალება, თანამდებობაზე მომკვდარიყო ბრეჟნევის პერიოდის პოლიტბიუროს წევრივით.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **არ შეუძლია.** ხალხის სიყვარული ან სიძულვილი აქ არაფერ შუაშია. **კენედი სძულდა პოლიტიკურ ელიტას და იგი მოკლეს. რუზველტს იგივე ელიტა პატივს სცემდა დირექტივების ზუსტი შესრულებისთვის, ამიტომ იგი მესამე ვადით აირჩიეს და მისცეს საშუალება, თანამდებობაზე მომკვდარიყო ბრეჟნევის პერიოდის პოლიტბიუროს წევრივით.**

მაინც რატომ შესძულდა აშშ-ის ელიტას ჯონ კენედი?

**1963 წლის 4 ივნისს მან ხელი მოაწერა პრეზიდენტის ბრძანებას №11110-ს, რომლის თანახმადაც აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს უფლება ეძლეოდა, დაებეჭდა დოლარის კუპიურები ხაზინაში არსებული ვერცხლის სანაცვლოდ. შედეგად დაიბეჭდა დოლარის 2 და 5-ნომინალიანი კუპიურები, რომლებსაც ამშვენებდა წარწერა „შეერთებული შტატების ბანკნოტი“ და არა „ფედერალური რეზერვის ბანკნოტი“.**

თავისი ბრძანებით **კენედის, რბილად რომ ვთქვათ, გაჰყავდა ფსს ფულის ბეჭდვის სფეროდან, აბრუნებდა საბეჭდ მანქანას ამერიკის სახელმწიფოს ხელში.**

იგი ასწორებდა კონსტიტუციის დარღვევას და სიტუაციის აბსურდულობას, როდესაც სახელმწიფოს არ შეუძლია ფულის დაბეჭდვა. ეს იყო ჩუმი და შეუმჩნეველი სახელმწიფო გადატრიალება. ეს იყო ნამდვილი ღალატი. ეს იყო ის, რისიც ბანკირებს, ფედერალური რეზერვის დამფუძნებლებს ყველაზე მეტად ეშინოდათ. ეს რომ არ მომხდარიყო, მათ შეისყიდეს მედიასაშუალებები და ბანკები, ქარხნები და კორპორაციები. და, აი კალმის ერთი მოსმა და ყველაფერს ბოლო მოეღო. ჯონ კენედიმ ურჩხულის მოკვლა დაიწყო. ამის მოთმენა შეუძლებელი იყო, ლოდინი არ შეიძლებოდა. წვრილი ბანკნოტების ემისიას ფსს-ს ფულის ბეჭდვისგან სრული ჩამოშორება შეიძლება მოჰყოლოდა. რა თქმა უნდა, სწორად შერჩეული მიზეზით. რა უნდა გააკეთოს ფედრეზერვმა? არეგულიროს ფინანსური ბაზარი, თვალყური ადევნოს, რომ კრიზისები არ იყოს? ჰოდა, არეგულიროს და მიაქციოს ყურადღება. მაგრამ — არ ბეჭდოს ფული....

**ფედერალური სარეზერვო სისტემისთვის სასიკვდილო განაჩენზე ხელის მოწერიდან, სულ რაღაც, ხუთ თვეში — 1963 წლის 22 ნოემბერს პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდ კენედი მოკლეს.**

ზოგისთვის პატრიოტი, ზოგისთვის მოღალატე.

მაშ, **ვინ მოკლა პრეზიდენტი კენედი?**

**ვიმედოვნებ, ახლა ამ კითხვაზე პასუხი თქვენთვის აშკარაა.**

**მკვლევართა უმრავლესობის აზრით, ადამიანი ქოლგით, რომელმაც ეს ქოლგა კენედის მკვლელობის მომენტში გახსნა, მსროლელთა ორკესტრის „დირიჟორი“ იყო — მიზნის მაჩვენებელი სნაიპერებისთვის. პრეზიდენტის მანქანის გვერდით მდგომი, იგი აჩვენებდა სნაიპერს, როგორი შესწორება ესაჭიროება სამიზნეს.**

გამოძიება ამ ადამიანის ძებნით არ დაინტერესებულა...

## 6. რატომ უყვარდათ ასე ძლიერ ბოლშევიკებს ლენა გოლდფილდსი, ანუ ვინ გაუწია ორგანიზება „გოლოდომორს“

**ჭეშმარიტების ხმა სმენისთვის საძულველია.**

**ლაო-ძი**

**თვალსაზრისი, როგორც საუკუნიდან საუკუნემდე, თაობიდან თაობაში გარდამავალი მზერა, არ შეიძლება სრულიად მცდარი იყოს – წმინდა წყლის ილუზიაა... რადენიმე ფილოსოფიური გონების გარდა ხომ არავინ იფიქრებს შეამოწმოს, სწორია თუ არა ის, რასაც ყველა ამბობს.**

**პიერ ბეილი**

არსებობს თუ არა დღეს ისეთი ფინანსური ბერკეტი, რომლის დახმარებითაც შეიძლება მსოფლიოს ამოტრიალება? არის თუ არა იგი ვინმეს ხელში? **ასეთი ინსტრუმენტი არსებობს — ეს არის ფულადი ერთეული, რომელსაც ეკონომისტები შეცდომით აშშ–ის დოლარს ეძახიან. ეს — ფედერალური სარეზერვო სისტემის დოლარია, კაცობრიობის მთავარი ვალუტა დღევანდელ დღეს.** მივაქციოთ ყურადღება თარიღებს: 1944 წლის ივლისში ქალაქ ბრეტონ-ვუდსში (აშშ) დოლარი ოფიციალურად გახდეს საერთაშორისო გადახდებისა და სარეზერვო აქტივების პრიორიტეტული საშუალება. **დოლარი მსოფლიოს მთავარი, ოქროში კონვერტირებული ერთადერთი ვალუტა სწორედ 1944 წლიდან გახდა. 1914 წელს, როდესაც ახლად გამომცხვარმა ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ მუშაობა დაიწყო, დოლარი ჯერ კიდევ არ იყო მსოფლიოს მთავარი ვალუტა. ფინანსური მწვერვალის დაპყრობის გზის გასავლელად დოლარს დაახლოებით 30 წელი დასჭირდა.** ადამიანისთვის მოკლე ვადა არაა, მაგრამ ისტორიისთვის თითქმის წამია. **ვალუტის ემისიაზე კონტროლის ხელში ჩაგდებით, ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ შეძლო სწრაფად ჩამოეშორებინა და გაენადგურებინა სხვა საგადამხდელო საშუალებები და გაეწმინდა ველი თავისი მწვანე შვილობილისთვის.**

რატომ მოხდა ეს ასე სწრაფად? იმიტომ რომ ყველაზე ძლიერი საშუალება გამოიყენეს. კაცობრიობის ისტორიაში უფრო ძლიერი საშუალება არავის გამოუყენებია, ამას გამოიწვია საოცრად სწრაფი წარმატება. ეს სასუალებაა ორი მსოფლიო ომი...

აქ მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ ერთი საინტერესო მომენტი: ფსს და აშშ-ის მოსახლეობა — ერთი და იგივე არ არის. არის კერძო კორპორაცია ათობით აქციონერით და არის მრავალმილიონიანი ერი, რომელიც ამერიკის სახელმწიფოს შეადგენს. მათი ინტერესები ყოველთვის არ ემთხვევა. უფრო ზუსტად კი, არასოდეს ემთხვევა. ნებისმიერი ქვეყნის უბრალო მოსახლეობას არ სურს მსოფლიოზე ბატონობა. ჩვეულებრივ ადამიანს სურს, იცხოვროს მშვიდი ცხოვრებით, აღზარდოს შვილები, ააშენოს სახლი, უყვარდეს და უყვარდეთ. მას არ ანაღვლებს მსოფლიოს პრობლემები, მას არ სჭირდება თავისი ქვეყნის დომინირება პლანეტაზე. კიდევ უფრო ნაკლებად უნდა თავის დადება ბრძოლის ველზე. **ყველა ადამიანს სურს მშვიდობა. ხოლო ისინი, ვინც ფულის ბეჭდვის პირობები შეიქმნა არაფრიდან, ყველაფერზე წავლენ. ამისთვის მათ კიდევ ერთი მსოფლიო ემისიური ცენტრის არსებობის პოტენციური შესაძლებლობაც კი უნდა გაანადგურონ. ამერიკული სახელმწიფო უცნობი პირების ჯგუფის მიერ მსოფლიოზე ბატონობის მიღწევის ინსტრუმენტად იქცა.**

თანამედროვე აშშ-ის პოლიტიკა უკვე დიდი ხანია, განისაზღვრება არა ამერიკელი ხალხის ინტერესებით, რომელსაც ასევე სურს მშვიდობიანი ცხოვრება, არამედ სრულიად სხვა ინტერესებითა და სხვა მიზნებით. მეტიც, თავის დროზე ამერიკელთა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დასაწყისი გახდა ის, რომ ინგლისური გვირგვინი უკრძალავდა კოლონისტებს თავისი ფულის გამოშვებას. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის შედეგად მათ მიიღეს ეს უფლება, ხოლო ფედერალური რეზერვის შექმნით კვლავ დაკარგეს იგი.

მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ აშშ-ში დღეს ისეთივე დამოკიდებულება აქვთ ამერიკული დემოკრატიის იდეალებთან, მის ღირებულებებთან, რომლებისთვისაც აშშ-ის მამა-დამფუძნებლები იბრძოდნენ, როგორც სტალინის „გულაგს“ — რევოლუციის იდეალებთან, რომლებისთვისაც სამოქალაქო ომის დროს წითელი არმიის ასეულობით ათასი მებრძოლი იბრძოდა.

ჰეგემონიის დასამყარებლად საჭიროა ომი. მაგრამ ხალხს არ უნდა იბრძოლოს. ომი არ უნდათ აშშ-ის თანამედროვე მცხოვრებლებსაც, ომი არ უნდოდათ არც მესამე რაიხის მოქალაქეებს. სწორედ ამიტომ პოლიტიკოსები იძულებულნი არიან, თავიანთ ქმედებებს თავდაცვის ფორმა მისცენ და არა — თავდასხმის. ადამიანებს არ სურთ, თავს დაესხნენ სხვა ქვეყნებს, მაგრამ მუდამ მზად არიან, დაიცვან საკუთარი ქვეყანა. და აი, უკვე 1939 წლის 1 სექტემბერს ჰიტლერი გლაივიცის რადიოსადგურზე პოლონელების თავდასხმის საბაბით იწყებს გერმანია-პოლონეთის ომს. **აშშ-ის პრეზიდენტმა რუზველტმა, რაკი იცოდა, რომ აშშ-ის მოქალაქეთა უდიდეს ნაწილს არ სურს თავიანთი ქვეყნის მონაწილეობა მსოფლიო ომში, პროვოცირება გაუწია იაპონიას პერლ-ჰარბორზე დასარტყმელად. მას ომში ჩასართველად საბაბი სჭირდებოდა. სწორედ ამიტომ გამოიჩინა აშშ-ის ჯარმა და ფლოტმა ასეთი „გულგრილობა“, მიუხედავად იაპონიის მხრიდან დარტყმის მომზადების შესახებ სიგნალებისა. თუმცა ყველაზე ბრძოლისუნარიანი გემები — ოთხი ავიამზიდი — თავდასხმის დღეს სასწაულებრივად არ იმყოფებოდა პერლ-ჰარბორში და არც დაზიანებულა.**

ფედერალური დაზვერვის სისტემას ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყავდა დოლარი ფინანსური პირამიდის მწვერვალისკენ. **მილიონობით, ათეულობით მილიონი ადამიანი დაიღუპა ორ მსოფლიო ომში, რომლებიც ორგანიზებული იყო მხოლოდ იმისთვის, რომ ბანკირთა ჯგუფს შეძლებოდა უფასოდ მიეღო მსოფლიოს სიმდიდრეები. და მათ სასურველს მიაღწიეს — კონფერენციამ ბრეტონ-ვუდსში დოლარი ერთადერთ სარეზერვო ვალუტად აქცია.** თუმცა საბჭოთა კავშირმა უარი განაცხადა ახალი დოლარით მსოფლიოს მოწყობაზე. ცივი ომი და წინააღმდეგობები მთელ პლანეტაზე 1991 წლამდე იყო სწორედ პასუხი სტალინის უარზე, გაეხსნა თავისი ეკონომიკა მწვანე ქაღალდისთვის და არა — „არადემოკრატიულ“ არჩევნებზე აღმოსავლეთ ევროპაში. მაგრამ ეს შემდეგ იქნება, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. თავდაპირველად, არითმეტიკის კანონების მიხედვით, პირველი მსოფლიო ომი უნდა დაწყებულიყო. **ფედერალური სარეზერვო სისტემის გზა მსოფლიო ბატონობისკენ 1914 წლის 1 აგვისტოს გაიხსნა.**

მოვლენათა ლოგიკა რკინისებურია: თავდაპირველად იქმნება მსოფლიო ბატონობის ხელში ჩაგდების ფინანსური ინსტრუმენტი, შემდეგ პოტენციური კონკურენტები უნდა გადაამტერონ ერთმანეთს. ანგლოსაქსური სამყაროს ორი მთავარი მეტოქე, ანუ მისი ეკონომიკის ძირითადი კონკურენტები — რუსეთი და გერმანია —განადგურებულ იქნენ შიგა აფეთქების ორგანიზაციის გზით. განა შეიძლება რევოლუციის გაკეთება? მისი შექმნა არა, მაგრამ მომზადება შეიძლება. შემთხვევით არ არის, რომ რუსული რევოლუციის სპონსორებს შორის „იკვეთებიან“ იგივე უოლ-სტრიტის ბანკირები, რომელთა გვარებიც ტრადიციულად ცხადდება ფსს-ს შექმნასთან კავშირში: **როტშილდი, მორგანი, ვარბურგი, შიფი.** პეტროგრადში 1917 წლის ზაფხულში წითელი ჯვრის მისია მუშაობდა, რომელიც რატომღაც არა ექიმებისა და ჰუმანისტებისგან, არამედ ბანკირებისა და მზვერავებისგან შედგებოდა. მას **რაიმონდ რობინსი** მეთაურობდა, რომელსაც ჯერ გაგიჟებით უყვარდა **კერენსკი,** ხოლო შემდეგ მთელი თავისი ამერიკული სულით შეუყვარდა ბოლშევიკები. საუკუნოვანი სახელმწიფოს დამანგრევლების მიმართ სიმპათია უზარმაზარი ფინანსური თანხებით მტკიცდებოდა. ჩვენი რევოლუციის დეტალებში არ შევიჭრებით, მაგრამ არ შეიძლება, არ ავღნიშნოთ ერთი ფაქტი. **ოქტომბრის რევოლუციის მთავარი ორგანიზატორი ლენინთან ერთად ტროცკი იყო, რომელიც (ეს ისტორიული ფაქტია) რუსეთში აშშ-იდან რევოლუციის მოსაწყობად დაბრუნდა. იქ ლევ დავითის ძე ცუდად არ ცხოვრობდა, მაგრამ მისი ერთადერთი პროფესია „რევოლუციონერის პროფესია“ იყო. რაც ყველაზე საინტერესოა, წითელი არმიის მომავალი ორგანიზატორი რუსეთისკენ ჯიბეში ამერიკული პასპორტით მიცურავდა, ანუ აშშ-ის მოქალაქე იყო! იქნებ დოკუმენტი ყალბი იყო? არა, სრულიად ნამდვილი. იგი ლევ დავითის ძეს... აშშ-ის პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა პირადად გადასცა! ეს ის პრეზიდენტია, რომლის პორტრეტიც 100 000-დოლარიან კუპიურას ამშვენებს; ის, ვინც ფედერალური რეზერვის შექმნის აქტს მოაწერა ხელი...**

(გაგრძელება იქნება)


ტროცკი და ლენინი

**ოქტომბრის რევოლუციის მთავარი ორგანიზატორი ლენინთან ერთად ტროცკი იყო, რომელიც (ეს ისტორიული ფაქტია) რუსეთში აშშ-იდან რევოლუციის მოსაწყობად დაბრუნდა. იქ ლევ დავითის ძე ცუდად არ ცხოვრობდა, მაგრამ მისი ერთადერთი პროფესია „რევოლუციონერის პროფესია“ იყო. რაც ყველაზე საინტერესოა, წითელი არმიის მომავალი ორგანიზატორი რუსეთისკენ ჯიბეში ამერიკული პასპორტით მიცურავდა, ანუ აშშ-ის მოქალაქე იყო! იქნებ დოკუმენტი ყალბი იყო? არა, სრულიად ნამდვილი. იგი ლევ დავითის ძეს... აშშ-ის პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა პირადად გადასცა! ეს ის პრეზიდენტია, რომლის პორტრეტიც 100 000-დოლარიან კუპიურას ამშვენებს; ის, ვინც ფედერალური რეზერვის შექმნის აქტს მოაწერა ხელი...**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კაზინოს თამაშების უმრავლესობის პრინციპი ასეთია – თამაშის შედეგი მისი მონაწილისთვის, უპირველეს ყოვლისა, შემთხვევითობის ელემენტზეა დამოკიდებული. აზარტული თამაშის ორგანიზატორი შეიძლება იყოს მხოლოდ კაზინო (რულეტი, ბლექჯეკი, კრეფსი) და ასევე მომსახურე მხარე (ტეხასური პოკერი, ომაჰა პოკერი, ბაკარა და ა.შ.). მსოფლიოს კაზინოებში ყველაზე პოპულარული თამაშებია: რულეტი, ბლექჯეკი, პოკერი, ბაკარა, პუნტო-ბანკო, კრეფსი და სათამაშო ავტომატები.**

# ზოგი რამ კაზინოების შესახებ

**სამორინეს სახელწოდება „კაზინო" იტალიური სიტყვაა და ქართულად პატარა სახლს ნიშნავს, თუმცა თანამედროვე კაზინოებს ვერც ზომების, ვერც მომხმარებლების რაოდენობის, ინტერიერის, ფუფუნების, მომსახურების, ვერც შემოსავლებისა და მოგების თვალსაზრისით პატარას ვერ უწოდებ.**



კაზინო აზარტული თამაშების განხრით მომუშავე ბარია. მინიმალური პირობა, გასართობ დაწესებულებას კაზინო რომ ვუწოდოთ, იქ რულეტის, პოკერისა და ბლექჯეკის სათამაშო მაგიდებისა და სათამაშო ავტომატების — სლოტმანქანების, „ცალხელა ბანდიტების" არსებობაა.

**კაზინოს თამაშების უმრავლესობის პრინციპი ასეთია — თამაშის შედეგი მისი მონაწილისთვის, უპირველეს ყოვლისა, შემთხვევითობის ელემენტზეა დამოკიდებული. აზარტული თამაშის ორგანიზატორი შეიძლება იყოს მხოლოდ კაზინო (რულეტი, ბლექჯეკი, კრეფსი) და ასევე მომსახურე მხარე (ტეხასური პოკერი, ომაჰა პოკერი, ბაკარა და ა.შ.). მსოფლიოს კაზინოებში ყველაზე პოპულარული თამაშებია: რულეტი, ბლექჯეკი, პოკერი, ბაკარა, პუნტობანკო, კრეფსი და სათამაშო ავტომატები.**

## თხის ჩლიქებიდან კაზინოებამდე

ისტორიული ცნობები აზარტული თამაშებისთვის განკუთვნილი სპეციალური ადგილების შესახებ შემორჩენილია ძველ ჩინეთში, ძველ ეგვიპტესა და ძველ საბერძნეთში, სადაც მოთამაშეები სათამაშო კოჭებს თხის ჩლიქებისგან აკეთებდნენ.

**პირველი სათამაშო სახლები რომის იმპერიაში გაჩნდა. მსგავსი დაწესებულებების დაბადების თარიღად ისტორიკოსები ასახელებენ ძველი წელთაღრიცხვის 557 წელს, როდესაც რომის მეფემ ლუციუს ტარკვინიუს პრისკუსმა მოსავლის მფარველი ღმერთის — ქონსის პატივსაცემად „დიდი ცირკი" აღმართა. აქ თავმოყრილი იყო სხვადასხვაგვარი გასართობი, ხალხი ფსონს დებდა ტოტალიზატორში, თამაშობდა ძვლისგან გამოთლილი კამათლებით. საზოგადოება „დიდ ცირკში" თამაშსა და გართობაში ათენ-აღამებდა.**

თანამედროვე კაზინოების „წინაპრები" ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე დაარსდა და სახელიც იმ მხარეში მიიღო. პირველი საჯარო სათამაშო სახლის ლეგალიზება ვენეციაში 1626 წელს მოხდა. ამ პერიოდში ვენეციის მაღალ საზოგადოებაში სხვადასხვა მიზნის შეხვედრებისთვის მოდაში Casini-ებში თავშეყრა შემოვიდა, სადაც დიდებულები საქმიან გარიგებებს დებდნენ, პოლიტიკაზე მსჯელობდნენ და აზარტულ თამაშებსაც თამაშობდნენ.

**თანამედროვე გაგებით, პირველი კაზინო კი 1765 წელს პარიზში გაიხსნა. შესაბამისი განკარგულება საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა — კარდინალმა მაზარინიმ გასცა, რათა ლუდოვიკო XIV-ის მწირი ხაზინა ოდნავ მაინც შეევსო. მაზარინის იდეამ გაამართლა. მალე ასე მოიქცნენ ევროპის სხვა ქვეყნებშიც და გადასახადებით დაბეგრილმა სათამაშო სახლებმა ხაზინაში დიდი შემოსავლის შეტანა მართლაც დაიწყეს.**

ვნებათაღელვა კაზინოში იმდენად მაღალია, რომ ბევრ ქვეყანაში ის ძველთაგანვე აკრძალული იყო და ზოგან დღემდე აკრძალულია. XVIII საუკუნის ინგლისის იატაკქვეშა კაზინოებში სპეციალურად იყო გამოყოფილი ადამიანი, რომლის ერთადერთ ფუნქციასაც პოლიციის რეიდის დაწყების შემთხვევაში კოჭის ჩაყლაპვა წარმოადგენდა.

1806 წელს საფრანგეთში სათამაშო სახლებმა უმაღლესი სახელმწიფო პირის პირველი ოფიციალური აღიარება დაიმსახურეს. ეს ადამიანი საფრანგეთის იმპერატორი **ლუი დე ბონაპარტი** იყო, რომელმაც პარიზის ერთ-ერთ კაზინოს დიდი პატივი დასდო თავისი სტუმრობით.

## მოდური ჰობი

XIX საუკუნემ კაზინოების იმიჯში ახალი შტრიხები შეიტანა: გაჩნდა უმაღლესი ხარისხის სერვისი, ინტერიერმა ფუფუნებისა და სიმდიდრის ელფერი შეიძინა, კაზინოების შესასვლელებში კი შვეიცარები შემსვლელებს აკონტროლებდნენ და სათამაშო სახლში მხოლოდ რესპექტაბელურ ადამიანებს უშვებდნენ. აზარტი მოდურ ჰობად იქცა.

1861 წელს მონაკოში, რომელიც იმჟამად სერიოზულ ფინანსურ სირთულეებს განიცდიდა, ვინმე **ფრანც ბლანკმა** მთავრობას ხაზინის შესავსებად კაზინოს გახსნა შესთავაზა. სამ წელიწადში გაიხსნა გასართობი ცენტრი „მონტეკარლო", რომელიც დღემდე პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული და ელეგანტური ადგილია. დაახლოებით ამ დროს გაჩნდა კაზინოები აზიაშიც, სადაც სათამაშო ბიზნესის უმსხვილეს ცენტრებად ქალაქები საიგონი და მაკაო იქცა. 1899 წელს მსოფლიოს უმსხვილეს კაზინოებში ახალი ცნება გაჩნდა — „პრივატული ოთახი", სადაც მდიდარ და აზარტულ ხალხს განუსაზღვრელი სიდიდის ფსონების გაკეთება შეეძლო.

**თურქეთის სულთანმა სელიმ III რულეტის არსებობის შესახებ დატყვევებული ფრანგებისგან გაიგო და თავისი ოსტატები „ფორტუნის ბორბლის" დამზადების შესასწავლად ევროპაში გაგზავნა. ინდუსებმა კი ამ თამაშის არსებობის შესახებ ბრიტანელი დიპლომატებისგან შეიტყვეს.**

**კაზინო საქველმოქმედო ორგანიზაცია არ არის, ეს ბიზნესია, დიდი ბიზნესი. კაზინოში ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ადამიანებმა იქ უამრავი ფული დატოვონ და, რაც მთავარია, უკან დაბრუნდნენ მოგების იმედით და ისევ წაგონ**

## მაფიამ შექმნა ლას-ვეგასი

ამერიკაში პირველი კაზინო 1822 წელს გაიხსნა ბრაუნის სალონში, რომელიც კოლორადოს, ვაიომინგისა და იუტას შტატების საზღვარზე მდებარეობდა. მიუხედავად კაზინოების ამერიკულ ისტორიაში პიონერობისა, ამჟამად იუტა აშშ-ის ორი შტატიდან ერთ-ერთია, რომელშიც დღეს აზარტული თამაშები აკრძალულია.

**ველური დასავლეთის მრავალრიცხოვან სალონებში საკამათო საკითხები იარაღის მეშვეობით გვარდებოდა. XVIII-XIX საუკუნეებში ქალაქი ახალი ორლეანი ახალი ქვეყნის აზარტული მცხოვრებლებისთვის ნამდვილი მექა იყო, თუმცა ენდრიუ ჯექსონის პრეზიდენტობის წლებში (1829-1837) ლეგალური კაზინოები თითქმის ყველა შტატში დაიხურა. აკრძალვის შედეგად კი მთელ ქვეყანაში გავრცელდა „სათამაშო გაერთიანების" არალეგალური ქსელი.**

ნევადა, რომლის კაზინოებიც მთელ მსოფლიოში განთქმულია, „აზარტულ" შტატად არცთუ დიდი ხნის წინ იქცა. აზარტული თამაშები იქ ოფიციალურად 1931 წელს დაუშვეს, ხოლო პირველი კაზინო „ფლამინგო", რომელმაც ლასვეგასისთვის აზარტული თამაშების დედაქალაქის სახელის მოპოვებას ჩაუყარა საფუძველი, 1947 წელს გაიხსნა. ყოველწლიურად აზარტის დედაქალაქს მთელი მსოფლიოდან 40 მილიონი მოთამაშე მაინც სტუმრობს.




ყოველთვის ისმოდა კითხვა: **რატომ მაინცდამაინც ნევადაში, შუაგულ უდაბნოში, მოუვიდათ აზრად ასეთი გრანდიოზული გასართობი კომპლექსის გაშენება?**

მე-20 საუკუნის დასაწყისში, ალკოჰოლის აკრძალვის დროს კოზა ნოსტრა აკონტროლებდა არალეგალური ალკოჰოლის კონტრაბანდას და გასაღებას. მოგვიანებით, როცა აკრძალვა გაუქმდა, მაფიის ძირითადი შემოსავალი პროფკავშირები და ნაგვის გადამუშავება გახდა.

იმ დროს ლას-ვეგასში იყო რამდენიმე მცირე, პროვინციული სამორინე. ნევადა, ასევე, მომხიბვლელი იყო იმით, რომ ის რამდენიმე საათის საფრენ მანძილზეა ჰოლივუდიდან და ჰოლივუდელ ვარსკვლავებს შეეძლოთ ადვილად გადაფრენილიყვნენ იქ (ეს უპირატესობა ჰქონდა ნევადას ჩრდილოეთში მყოფ რამდენიმე რეზერვაციასთან, სადაც ასევე ლეგალურია სამორინეები).

**ლაკი ლუჩიანომ** და „კოზა ნოსტრას" სხვა მამებმა გადაწყვიტეს, ჩაედოთ ფული ლას-ვეგასში და პროვინციული დაბა აზარტული თამაშების სამოთხედ ექციათ. მათი დავალებითა და ფულით კოზა-ნოსტრელმა ბაგსი სიგალმა (რომელიც მანამდე ჰოლივუდში სათამაშო ბორბალს ატრიალებდა კოზა ნოსტრასთვის) დაიწყო ლეგენდარული „ფლამინგოს" მშენებლობა.

ასე იქცა უდაბნო კაზინოების სამოთხედ.

**ბაგსი სიგელი,** განგსტერი, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ლას-ვეგასის აღმოცენება, 1906 წლის 28 თებერვალს ბრუკლინში, რუსი ებრაელების ღარიბ ოჯახში დაიბადა. მეგობრობდა **ლაკი ლუჩიანო** და **ლანსკისთან.**

ლოს ანჯელესელ ბიზნესმენ **ბილი ვილკერსონს** საუკეთესო ჰოტელის აშენება უნდოდა, ბაგსის კი — გასართობი ოაზისისა დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებს შორის, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ფეშენებელურ აპარტამენტებში ცხოვრება და ფანტასტიკურად გართობა. ამ ორმა წამოიწყო პროექტი სახელად „ფლამინგო".

ბაგსიმ დაარწმუნა კრიმინალი მამები, ამ საქმეში ფული ჩაედოთ. თავდაპირველად 1 მილიონი დოლარი უნდა ჰყოფნოდათ, მაგრამ ჯერ კიდევ 1946 წელს, ანუ წამოწყებიდან ერთი წლის შემდეგ უფრო მეტი და მეტი სჭირდებოდათ. როდესაც თანხამ 6 მილიონ დოლარს მიაღწია, განგსტერები სერიოზულად შეწუხდნენ.

სიგალის პროექტი წამგებიანი აღმოჩნდა, მაშინ ლუჩიანომ კუბაში მოიწვია „საბჭო", სადაც ეს საკითხი განიხილეს. ლანსკიმ მოახერხა და დაარწმუნა ბოსები, რომ ბენისთვის კიდევ ერთი შანსი მიეცათ და რომ „ფლამინგო" აუცილებლად გაიხსნებოდა საშობაოდ.

„ფლამინგო" მართლაც გაიხსნა, მაგრამ ეს დიდი ჩავარდნა იყო. ბაგსიმ მარტო კაზინოს აშენება მოასწრო, სასტუმრო კი არ იყო ჯერ მზად, შესაბამისად, ხალხი ვერსად გაჩერდებოდა....

მაფიის რისხვისაგან ისევ მაიერ ლანსკიმ იხსნა.

1947 წლის მარტში „ფლამინგო" ისევ გაიხსნა უკვე როგორც სრულფასოვანი გასართობი კომპლექსი, ყველაზე დიდი ოტელით (3500 ადგილი).

ბაგსის ოცნება ახდა.

მხოლოდ 6 თვეში „ფლამინგომ" 250 000 დოლარის მოგება ნახა.

1947 წლის 20 ივნისს 42 წლის ბენჟამენ სიგალი საკუთარ სახლში მოკლეს. დღემდე უცნობია შემკვეთი. მის დასაფლავებაზე არც ერთი „მეგობარი" არ მისულა.

დიდი ხნის განმავლობაში „ფლამინგო" მართლაც საუკეთესო იყო არა მხოლოდ ლასვეგასში, არამედ მსოფლიოში.

1980 წელს კორპორაცია „ჰილტონ"-მა ძველი „ფლამინგოს" ნაცვლად ახალი ააშენა.

## პროფესიონალები

კაზინოს მოყვარულთა ცალკე კლასს წარმოადგენენ პროფესიონალები, ანუ ადამიანები, რომელთათვისაც კაზინოში ყოფნა არა მხოლოდ დროის სასიამოვნოდ გატარების საშუალება, არამედ შემოსავლის მთავარი წყაროც არის. მათ შორის არიან ადამიანები, რომლებიც წყვილში თამაშობენ, მათგან ერთი ახერხებს კრუპიეს ყურადღების გაფანტვას და მეორე კი — ფსონის დადებას მომგებიან სექტორში, ან შულერები, რომლებიც შეუმჩნევლად ცვლიან კარტებს მომგებიანი კომბინაციის მისაღებად, ასევე მათემატიკის პროფესორები, რომლებისთვისაც გამარჯვება კარგად გათვლილი კანონზომიერებაა.

იღბლის გაცურების სურვილს ყველა ასაკისა და რჯულის ადამიანი ეთაყვანება. მხოლოდ მათთვის ცნობილი სისტემების გამოყენებით პროფესიონალები გამაოგნებელი ოდენობით თანხას იგებენ. მაგალითად, ცნობი- ▶



**მსოფლიოს უდიდესი და უმდიდრესი კაზინოებიდან ზოგიერთი საქართველოს პარლამენტის შენობაზე დიდია, მათი შემოსავალი კი ზოგიერთი ქვეყნის ბიუჯეტს აჭარბებს. მაგალითად, კაზინო THE PALMS-ში არის 702 ოთახი და 95 000 ადგილი სათამაშოდ.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## თანამედროვე გაგებით, პირველი კაზინო 1765 წელს პარიზში გაიხსნა. შესაბამისი განკარგულება საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა — კარდინალმა მაზარინიმ გასცა, რათა ლუდოვიკო XIV-ის მწირი ხაზინა ოდნავ მაინც შეევსო. მაზარინის იდეამ გაამართლა. მალე ასე მოიქცნენ ევროპის სხვა ქვეყნებშიც და გადასახადებით დაბეგრილმა სათამაშო სახლებმა ხაზინაში დიდი შემოსავლის შეტანა მართლაც დაიწყეს

ლი ავსტრალიელი მილიარდერ **კერი ფეკერის** (Kerry Packer) გამოჩენაზე დიდი კაზინოს მფლობელებს ნერვული შეტევა ემართებოდათ — ფექერი უზარმაზარი ფსონების ჩასვლით ყოველთვის იგებდა. ლას-ვეგასის Grand Casino-ში ქერი ფექერმა ერთ ღამეში 20 მილიონ დოლარზე მეტი მოიგო.

ამერიკელი ჯონი მოსი კაზინოში 70 წელი „მუშაობდა" და პენსიაზე მხოლოდ 90 წლის იუბილეზე გავიდა. მოსმა თამაში დაიწყო, როგორც კარტის შულერმა, შემდეგ პროფესიონალი მოთამაშე გახდა, ბოლოს კი კაზინოების კონსულტანტი იყო თაღლითებისგან თავის დაცვის საკითხებში.

### სათამაშო ბორბალი და ავტომატები

სათამაშო ბიზნესის ნამდვილი ცხოვრება, ალბათ, XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო. სწორედ მაშინ გამოიგონეს პირველი სათამაშო ავტომატი.

ჩინურ კულტურაში ციფრი 4 უბედურად ითვლება, ამიტომ მსოფლიოს ბევრ დიდ კაზინოს (მაგალითად, Wynn Las Vegas da Rio) არ აქვს მეოთხე სართული, უფრო სწორად, ლიფტში ღილაკების განლაგებაში 4-იანი გამოტოვებულია — ამ სართულზე სტუმრებს არ იღებენ....

**მსოფლიოს უდიდესი და უმდიდრესი კაზინოებიდან ზოგიერთი საქართველოს პარლამენტის შენობაზე დიდია, მათი შემოსავალი კი ზოგიერთი ქვეყნის ბიუჯეტს აჭარბებს. მაგალითად, კაზინო THE PALMS-ში არის 702 ოთახი და 95 000 ადგილი სათამაშოდ.**

მრავალი ლეგენდა არსებობს იმის შესახებ, თუ როდის, ვინ და როგორ შექმნა სათამაშო ბორბალი, იგივე „რულეტი".

ერთ-ერთი გავრცელებული ლაგენდის თანახმად, ის გამოიგონა ცნობილმა ფრანგმა ფილოსოფოსმა და მათემატიკოსმა **პასკალმა** მუდმივი ძრავის შექმნის მიზნით ჩატარებული ექსპერიმენტების დროს. იგი სრულებითაც არ აპირებდა აზარტული თამაშებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის შექმნას. ბრალოდ, მისი გამოგონება გამოიყენეს ადამიანებმა, რომელთაც გააჩნდათ არა მეცნიერული, არამედ კომერციული ალღო.

მეორე გავრცელებული ლეგენდის თანახმად, პარიზელმა **ფრანსუა ბლანმა** სული მიჰყიდა ეშმაკს რულეტის საიდუმლოსთვის. ამის დამამტკიცებლად მოჰყავთ რულეტის ყველა ნომრის ჯამი, რაც **666**-ს შეადგენს.



სათამაშო ბორბალი, რომელიც თავიდან საფრანგეთში დატრიალდა, გაჩერდა 1789 წელს, როდესაც საფრანგეთის რევოლუციის დროს მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ყველა აზარტული თამაში იკრძალებოდა.

ხელისუფლების სათავეში ნაპოლეონის მოსვლის შემდეგ სათამაშო სახლები კვლავ გაიხსნა, მაგრამ მათ დიდხანს არ უმუშავიათ. 1839 წელს საფრანგეთის ყველა სათამაშო სახლი კვლავ დაიხურა, მაგრამ ამ დროისთვის სათამაშო ბორბალი უკვე მთელ მსოფლიოში ტრიალებდა.

### მოგების სისტემები

მოთამაშეები ცრუმორწმუნეები არიან და ისინი „იღბლის მისაზიდად" უამრავ რიტუალსა და თილისმას იყენებენ.

არსებობს სისტემები, რომლებსაც მოთამაშეები მოგებისთვის იყენებენ. ერთ-ერთი უძველესია **მარტინ გეილის** სისტემა, რომელიც ისე უმართლებდა მოთამაშეებს, რომ მისი წყალობით კაზინოებში ფსონის ოდენობაზე შეზღუდვა შემოიღეს. ამ შეზღუდვის დაწესების შემდეგ სისტემა პირვანდელი სახით უკვე ველარ მუშაობს.

ამ პრინციპის თანახმად, ფსონს დებენ წითელ ან შავ ფერზე. სასურველი ფერის მოსვლის შემთხვევაში ფსონი ორმაგდება და მოთამაშე იგებს იმდენივეს, რაც დადო. წაგების შემთხვევაში კი იგი იმავე ფერზე დებს გაორმაგებულ ფსონს და ასე განაგრძობს მოგებამდე. მოგების შემთხვევაში ის იგებს ზუსტად იმ თანხას, რომელიც პირველად დადო ფსონზე. თეორიულად ეს მეთოდი მართლაც ამართლებს — ადრე თუ გვიან, სასურველი ფერის ციფრზე ბურთულა აუცილებლად გაჩერდება, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამის შესახებ კაზინოებმაც მშვენივრად იციან და amitომაც დააწესეს ფსონებზე შეზღუდვა, ანუ გარკვეულ რაოდენობაზე მეტ თანხას მოთამაშეებს არ ადებინებენ. ამის გამო კაზინოს შანსები მნიშვნელოვნად გაიზარდა, მოთამაშისა კი — შემცირდა.

**არსებობს როგორც მარტივი, ისე რთული სისტემები და ძვირად ღირებული კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც მოთამაშეს ფსონებს კარნახობს, თუმცა ყველა ისახავს ერთ მიზანს — მისცეს მფლობელს უპირატესობა სხვებთან შედარებით და უზრუნველყოს მეტ-ნაკლებად სტაბილური მოგებით.**

დღეს ყველაზე ეფექტიანი და მომგებიანი, შესაბამისად, ყველაზე პოპულარულიც, პროფესიონალებსა და მოყვარულებს შორის მაკკინლის სისტემაა. ამ სისტემის მიხედვით მოთამაშე, უბრალოდ, უნდა აკვირდებოდეს, თუ რომელი მესამედის ციფრი არ დაჯდა ზედიზედ მეშვიდედ და როგორც კი ამას დაინახავს, უნდა დადოს ფსონი სწორედ ამ მესამედზე. თუკი პირველივე დადებაზე საჭირო ციფრი კიდევ არ დაჯდა, შემდეგი დადებისას ფსონი ორმაგდება და ასე შემდეგ. უბრალოებისა და ხელმისაწვდომობის გამო ამ სისტემამ თაყვანისმცემლები მთელ მსოფლიოში შეიძინა.




მარტინ გეილის სისტემა

სისტემამ, რომელიც ინგლისელმა ინჟინერ-მექანიკოსმა **უილიამ ჯაგერსმა** მოიგონა, ავტორს 180 ათასი დოლარი მოუტანა. ჯაგერსის სისტემა იმას ეფუძნებოდა, რომ იდეალურად დაბალანსებული რულეტის ბორბალი არ არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფიზიკური ფაქტორები ასე თუ ისე გავლენას მოახდენდნენ ტრიალზე და გარკვეული ნომრები უცილობლად უფრო ხშირად ამოვიდოდა.

ჯაგერსმა ექვსი თანაშემწე დაიქირავა, თითოეული თითო სათამაშო მაგიდას მიამაგრა. ისინი ყოველდღიურად აკვირდებოდნენ ჩამოვარდნილ ნომრებს. საღამოს ინჟინერი ჩანაწერებს აგროვებდა და აანალიზებდა. დამღლელი გათვლების შემდეგ თვის განმავლობაში მას დარწმუნებით შეეძლო ეთქვა, რომ რამდენიმე ნომრის ამოსვლის სიხშირე არ ჯდებოდა ალბათობის თეორიის ჩარჩოში. ამის შემდეგ ჯაგერსი თავად წავიდა კაზინოში და ითამაშა ისე, რომ ფსონებს წინასწარ დანიშნულ ნომრებზე დებდა. ოთხ დღეში მან 180 ათასი დოლარი მოიგო.

### ყველაზე იღბლიანები და უიღბლოები

* 1891 წელს რულეტის ინგლისელმა მოთამაშემ **ჩარლზ დე უილ უელსმა** მონაკოს ერთ კაზინოში ბანკი მოხსნა, თანაც ექვსჯერ სამი დღის განმავლობაში. ყოველთვის, როცა აგებდა, ფსონს აორმაგებდა და შემდეგ იგებდა. უელსმა თავისი ათი ათასი ფრანკი, რომლითაც თამაში დაიწყო, მილიონ დოლარად გადააქცია. ის 1926 წელს სიღატაკეში გარდაიცვალა.

* ინგლისელმა მსახიობმა **შონ კონერიმ** 1963 წელს იტალიურ კაზინო „სან ვინსენტში" სამ პარტიაში მიყოლებით რულეტში 30 ათასი დოლარი მოიგო. კონერიმ ფსონი სამჯერვე 17-ზე დადო.

კაზინო საქველმოქმედო ორგანიზაცია არ არის, ეს ბიზნესია, დიდი ბიზნესი.

კაზინოში ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ ადამიანებმა იქ უამრავი ფული დატოვონ და, რაც მთავარია, უკან დაბრუნდნენ მოგების იმედით და ისევ წააგონ.

* ყველაზე უიღბლო მოთამაშის სტატუსი, ალბათ, ამერიკელ ბიზნესმენ **ტერენს ვატანაბეს** ეკუთვნის. **ერთი წლის განმავლობაში მან ლას-ვეგასის კაზინოში ერთ შესვლაზე 5 მილიონი დოლარი წააგო, ერთ წელიწადში — 127 მილიონი, ხოლო საერთო ჯამში — 200 მილიონი დოლარი.**

* 1999 წელს თანამედროვეობის ერთ-ერთმა ცნობილმა მოთამაშემ, მედიამაგნატმა **კერი პაკერმა** წაგების მხრივ დიდ ბრიტანეთში რეკორდი მოხსნა. სამი კვირის განმავლობაში ავსტრალიელმა მოთამაშემ ლონდონის კაზინო „კროკფორდში" დაახლოებით 28 მილიონი დოლარი წააგო.

მაგრამ პაკერი ამან ვერ შეაჩერა, ის დღემდე განაგრძობს მსოფლიოს საუკეთესო კაზინოებში ფულის ფლანგვას.

აღსანიშნავია, რომ 1997 წელს პაკერმა ლას-ვეგასში 20 მილიონი დოლარი მოიგო.

* აზარტული თამაშები არანაკლებ პოპულარულია იაპონელებს შორის. 1992 წელს იაპონიაში ერთ-ერთ ყველაზე აზარტულ მოთამაშედ **აკო კაშივაგი** ითვლებოდა. მან ბაქარაში წაგებული თანხის რეკორდი მოხსნა. ერთი სეანსის განმავლობაში კაზინო „ტრამპში" მან 10 მილიონი დოლარი წააგო.

მისი ისტორია საკმაოდ ცუდად დასრულდა. კაშივაგიმ კაზინოს ვალი ვერ დაუბრუნა, რის შემდეგაც ის სახლთან ახლოს მოკლული იპოვეს.

* უიღბლო მოთამაშემ სირიელმა **ფარუდ ალ ზაიატმა** ბედი რულეტში სცადა და ლონდონის კაზინო „ასპინოლში" 500 ათასი გირვანქა სტერლინგის "ჩიპები" შეიძინა, 15 წუთში ყველა წააგო. ალ ზაიატმა კვლავ შეიძინა 500 ათასი გირვანქა სტერლინგის "ჩიპები" და კვლავ წააგო და ასე გაგრძელდა, სანამ წაგებამ 3.5 მილიონს არ მიაღწია, ამან იგი ვერ შეაჩერა. ალ ზაიატი კაზინოს ხშირი სტუმარი გახდა.

საბოლოო ჯამში სირიელმა მოთამაშემ იმდენი ქნა, რომ ბრიტანულმა სასამართლომ მისი ყველა აქტივი და ბოინგ-747 გაყინა, რადგან კაზინოს წინაშე ვალი 6.4 მილიონი დაუგროვდა.

* რულეტმა შეიწირა ასევე ავტო-მაგნატის **ფრენკ სარაკაკისის** ქონების ნაწილი. 1994 წელს ლონდონის კაზინო „კროკფორდში" მან 13 მილიონი დოლარი წააგო.

* ხოლო ყველაზე სწრაფი და დიდი წაგების რეკორდი რულეტში მედიამაგნატმა **რობერტ მაკსველმა** დაამყარა. ლონდონის კაზინო „ამბასადორში" მან 2.4 მილიონი დოლარი 3 წუთში წააგო.

* ავსტრიელი **იოსებ რაინერი** უიღბლო რეკორდსმენების სიაში არ შედის. მისი წაგებული თანხა დაახლოებით რამდენიმე ათას დოლარს შეადგენს, მაგრამ ის ცნობილი იმით გახდა, რომ წაგებული ფულის გამო საკუთარი თავი დასაჯა.

რაინერს ისე ეშინოდა ცოლის რეაქციის, რომ სახე, ცხვირი, ყბა და ხელი რკინის ჯოხით გაიტეხა და ყველაფერი ისე წარმოაჩინა, თითქოს ეს ყაჩაღობა იყო. როცა ექიმებმა პოლიცია გამოიძახეს, მან ყველაფერი აღიარა.

### იგებს ის, ვინც არ თამაშობს

ჭკვიანი და გამოცდილი ადამიანები ამბობენ, რომ კაზინოსთან მოგებული ისაა, ვინც არ თამაშობს.

დღეს კაზინოები ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ავსტრალიის ბევრ ქვეყანაში არსებობს, თუმცა ზოგან მსგავსი დაწესებულებები მაინც აკრძალულია. მათ შორისაა მექსიკა, თურქეთი, ნორვეგია, კვიპროსი (ბერძნული ნაწილი), ისრაელი, აზერბაიჯანი, ბრაზილია და სხვ. ინტერნეტის სწრაფი გავრცელება ამგვარ ტერიტორიულ პოლიტიკას ეჭვქვეშ აყენებს, რადგან ინტერნეტკაზინოებისთვის საზღვრები არ არსებობს — დიდი ფულისა და მძაფრი შეგრძნებების სამყარო ყველასთვის ღიაა, ვისაც კომპიუტერი და ინტერნეტი აქვს.

ამერიკაში ყველაფერი შტატზეა დამოკიდებული — ზოგან კაზინოს გახსნა მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას შეუძლია, მდინარე მისისიპიზე კი ხომალდებზე განლაგებული კაზინოები დაცურავს, რადგან იქ კაზინოს ხმელეთზე არსებობაა აკრძალული.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვულვორთის ყველა მაღაზია თვითმომსახურების პრინციპზე იყო აგებული. მყიდველი საჭირო ნივთებს თავად იღებდა, კალათში ყრიდა და შემდეგ თანხას სალაროში იხდიდა. და ბოლოს, ვულვორთი რეგულარულად აწყობდა „ჩაწოლილ“ საქონელზე ფასდაკლების აქციებს.**

# მსოფლიოში პირველი სუპერმარკეტი

**ჯერ კიდევ XIX საუკუნეში არავინ იცოდა, რა იყო სუპერმარკეტი — ყიდვა-გაყიდვის პროცესი გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთობაზე იყო დამყარებული.**









არ არსებობდა ფიქსირებული ფასები — გამყიდველი საქონლის ფასს ძალიან ხშირად კონკრეტული მყიდველის მსყიდველუნარიანობის მიხედვით, შეთანხმების საფუძველზე ადგენდა და ცხადია, ასეთი წესი ხშირად სულაც არ იყო სამართლიანი.

ასე გრძელდებოდა, სანამ ახალგაზრდა ამერიკელმა ფრენკ ვულვორთმა ყოველ გასაყიდ ნივთს ოფიციალური ფასი არ დაადო.

**ფრენკ ვულვორთი სოფლის მცხოვრები იყო. მას არასოდეს გამოუვლენია განსაკუთრებული ლტოლვა განათლების მიღების მიმართ და 21 წლამდე მშობლების მიწაზე მუშაობდა, შემდეგ კი სახლი დატოვა და ქალაქ ლანკასტერში გადასახლდა (პენსილვანიის შტატი), სადაც დიდხანს ცდილობდა სამუშაოს მოძებნას.**

ბოლოს იგი ვინმე მისტერ მურის დუქანში გამყიდველის თანაშემწედ აიყვანეს, მაგრამ ფრენკს არც ვაჭრობაში გამოუვლენია განსაკუთრებული ტალანტი. მისი ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სიმორცხვე იყო, მაშინ, როცა ყოველი ნივთი გაცხარებული ვაჭრობის შედეგად იყიდებოდა. შესაბამისად, ფრენკი ძალიან ცოტას ყიდდა.

მისტერ მური მას ხშირად ადარებდა სკოლის მოსწავლეებს და ამბობდა, რომ ბავშვებს მეტის გაყიდვა შეუძლიათ, ვიდრე ზრდასრულ ვულვორთს. ხშირად იმასაც წამოაძახებდა, რომ ხელფასს ტყუილად უხდიდა, თუმცა იმას, რასაც ფრენკ ვულვორთი მისტერ მურის დუქანში იღებდა, ხელფასი პირობითად ერქვა.

ერთი სიტყვით, ფრენკ ვულვორთს დარჩენილი ცხოვრების სიღატაკეში გატარება რომ მოუწევდა, ამაში არც მას და არც მის გარშემომყოფებს ეპარებოდათ ეჭვი.

ერთ დღეს კი ყველაფერი შეიცვალა, როცა მისტერ მურმა ვულვორთი მარტო დატოვა მაღაზიაში.

ცხადია, ფრენკი უკმაყოფილო იყო, რადგან კლიენტებთან ურთიერთობის და მით უმეტეს ვაჭრობის, არანაირი სურვილი არ ჰქონდა, ამიტომ ყოველ პროდუქტზე თავისი ფასის მიწერა გადაწყვიტა.

მან აიღო ქაღალდის პატარა ნაგლეჯები, პროდუქტებს მიაკრა და ფასიც დააწერა. გარდა ამისა, მაგიდაზე დაალაგა უკვე მოძველებული პროდუქცია, რომელსაც ასევე მიაკრა ქაღალდი წარწერით – „ყველაფერი 5 ცენტად“. პლაკატი იმავე წარწერით მაღაზიის ფასადზეც გამოფინა.

ალბათ, ბუნებრივი იყო, რომ იმ კვირაში მისტერ მურის მაღაზიის შემოსავალმა ნებისმიერი სხვა კვირის შემოსავალს გადააჭარბა. მფლობელი ფრიად გაკვირვებული დარჩა და კმაყოფილიც, მაგრამ ფრენკ ვულვორთი პატარა დუქანში მუშაობის გაგრძელებას უკვე აღარ აპირებდა. მან გუდანაბადი აიკრა და სამსახური მიატოვა, რადგან საკუთარი მაღაზიის გახსნა ჰქონდა გადაწყვეტილი.

1886 წელს ფრენკ ვულვორთის პირველი მაღაზია „ხუთცენტიანი“ გაიხსნა. საუკუნის მიწურულს იგი 30-მდე მაღაზიას ფლობდა, ხოლო 1900 წელს მათმა რაოდენობამ 50-ს მიაღწია.

პროდუქციაზე ფასების დაკვრისა და ფასდაკლებების შესახებ იდეებმა უბრალო სოფლელ ბიჭს მილიონობით დოლარი მოუტანა და მისი სახელი ბიზნესის ისტორიაშიც სამუდამოდ ჩაიწერა.



თავად მიდგომა, რომელსაც ვულვორთი თავის მაღაზიებში იყენებდა, იმ დროისთვის რევოლუციური იყო. ყველა პროდუქტს ფასი ეწერა და მყიდველისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე იყო დალაგებული. ადამიანს შეეძლო მშვიდად ენახა და გაესინჯა საქონელი, რომლის ყიდვასაც აპირებდა, ზოგ შემთხვევაში კი პროდუქტის აღწერაც წაეკითხა.

ვულვორთის ყველა მაღაზია თვითმომსახურების პრინციპზე იყო აგებული. მყიდველი საჭირო ნივთებს თავად იღებდა, კალათში ყრიდა და შემდეგ თანხას სალაროში იხდიდა. და ბოლოს, ვულვორთი რეგულარულად აწყობდა „ჩაწოლილ“ საქონელზე ფასდაკლების აქციებს.

გარდა ამისა, სწორედ ვულვორთის მაღაზიებში დაწესდა პირველად რეგულარული აღწერები, შეიცვალა საქონლის განლაგების სტილი, დამყარდა პირდაპირი კავშირი მწარმოებლებთან, შუამავლების გარეშე.

საბოლოო ჯამში, ფრენკ ვულვორთის ბიზნესი გასცდა ამერიკის საზღვრებს. Woolworth-ის სუპერმარკეტების ქსელი დღემდე მრავალ ქვეყანაში არსებობს.

# აბაზანა-ფეხსაცმელი



**მოზაიკის იტალიური კომპანია Sicis ტრადიციული კომფორტული აბაზანების წარმოებასთან ერთად მყიდველს ორიგინალურ იდეებსაც სთავაზობს. მათგან ერთ-ერთი გამორჩეული აბაზანა-ფეხსაცმელია.**

Sicis-ის მოზაიკით დეკორირებული აბაზანების ქალის ფეხსაცმლის ხაზი ძველებური სილამაზისა და თანამედროვე პრაქტიკულობის ნაზავია.

**Sicis-ის პროდუქცია უკვე გადაიქცა სტილის ეტალონად, რომელსაც ნებისმიერი ნაგებობის ინტერიერის ხელოვნების დახვეწილ ნიმუშად გადაქცევა შეუძლია. აბაზანა-ფეხსაცმლის ფასი 13 ათასი ევროდან იწყება და 15-16 ათას ევრომდე აღწევს. ფასი აბაზანის მოპირკეთებისას გამოყენებულ მასალებზეა დამოკიდებული.**

ფეხსაცმელი-აბაზანების ზომა განსხვავებულია, თუმცა უმეტესობის მაქსიმალური სიმაღლე 165 სანტიმეტრია, სიგრძე – 270, სიგანე — 101 სანტიმეტრი, ხოლო ნიჟარის სიგანე 60 სმ-ს შეადგენს.

**მუქი ფერის ფეხსაცმელი აბაზანა განსაზღვრულია არა სააბაზანოში, არამედ მისაღებ ოთახში დასადგმელად. მისი ფასი 13 ათასი ევროა.**







**ონლაინაუქციონებზე, მათ შორის EBAY-ზეც, საკმაოდ ხშირია ყალბი საქონელი. მაიკლ ჯეკსონის ხელთათმანსა თუ ელვის პრესლის 1973 წლის საკოლექციო ფირფიტაზე ვაჭრობა ზოგიერთისთვის შეიძლება მეტად მომხიბლავიც იყოს, მაგრამ მაინცდამაინც თავის დაკარგვა არ ღირს, რადგან გასაყიდად გამოტანილი ნივთები, შესაძლოა, ყალბი აღმოჩნდეს.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ინტერნეტთაღლითობის ყველაზე გავრცელებული სქემები

**თაღლითობა ინტერნეტში ახალი ამბავი არ არის. ფულის შოვნის ზოგიერთი სქემა კი დიდი ხნის განმავლობაში წარმატებით მოქმედებს და თაღლითებისთვის საკმაო მოგება ჯერ კიდევ მოაქვს. ყველაზე გავრცელებული სქემები შეიძლება ნებისმიერ ჩვენგანს შეეხოს.**



### ყალბი ნივთები აუქციონებზე

ონლაინაუქციონებზე, მათ შორის eBay-ზეც საკმაოდ ხშირია ყალბი საქონელი. მაიკლ ჯეკსონის ხელთათმანსა თუ ელვის პრესლის 1973 წლის საკოლექციო ფირფიტაზე ვაჭრობა ზოგიერთისთვის შეიძლება მეტად მომხიბლავიც იყოს, მაგრამ მაინცდამაინც თავის დაკარგვა არ ღირს, რადგან გასაყიდად გამოტანილი ნივთები, შესაძლოა, ყალბი აღმოჩნდეს.

ასეთი ფაქტები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხდება. მიუხედავად იმისა, რომ eBay-ს თაღლითების გამოსავლენად სპეციალური კომისიაც აქვს შექმნილი, ყალბი ნივთის შემოსაღების ალბათობა მაინც არის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი ნამდვილობის დამადასტურებელი სერთიფიკატი არსებობს.

გარდა ამისა, ინტერნეტაუქციონებზე თაღლითები თანამოაზრეებთან ერთად ფასების ხელოვნურ აწევას ახდენენ. თუ აუქციონზე თქვენი კონკურენტის გვარი სხვა აუქციონების მყიდველთა სიებში ხშირად ფიგურირებს, დიდი ალბათობაა, ის „ფასის ამწევი“ იყოს და ცდილობდეს, მეტი გადაგახდევინოს.

კიდევ ერთი რჩევა: **არასოდეს გადარიცხოთ ფული წინასწარ, თუ არაფერს გამოგიგზავნიან, რაც არცთუ იშვიათად ხდება. შემდეგ თანხის დაბრუნება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.**

### თქვენ მოიგეთ უფასო XBOX!

ყოველთვის, როცა ინტერნეტში უფასოდ გთავაზობენ იმას, რაც, ჩვეულებრივ, ფული ღირს, მეტად ფრთხილად უნდა იყოთ.

ბილ გეითსი ცნობილი ფილანტროპია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ Microsoft-ი ათასობით უფასო Xbox-ს დაარიგებს.

იმ პროდუქციის, რომელიც თქვენ ელექტრონული შეტყობინების თანახმად „მოიგეთ“, მწარმოებლები კომერციული ორგანიზაციებია და მათ გეგმებში ათასობით Xbox-ის, iPod-ისა და სხვა გაჯეტების დარიგება არ შედის.

ასეთ აფიორებში, ჩვეულებრივ, მიტანის ღირებულების წინასწარ გადარიცხვას ითხოვენ, როგორც წესი, 10 დოლარს მაინც. გადარიცხავთ და, ცხადია, ნივლის ლოდინი უსასრულოდ მოგიწევთ.

### საბანკო თაღლითობა – ფიშინგი

ფიშინგი ინტერნეტთაღლითობის საკმაოდ პოპულარული სახეობაა. თუ თქვენ ბანკიდან მეილი მიიღეთ, რომელშიც ნათქვამია, რომ ვიღაც თქვენი ანგარიშის ნომრის გამოყენებას ცდილობს და მისი დაბლოკვისთვის ბანკს თქვენი პირადობის დამადასტურებელი ინფორმაციის მიწოდება ესაჭიროება, ეს არავითარ შემთხვევაში არ გააკეთოთ.

ბანკები არასოდეს ითხოვენ მსგავსი ტიპის ინფორმაციას ელექტრონული ფოსტით, სამაგიეროდ ასე თაღლითები იქცევიან.

როდესაც ფიშერები პირად ინფორმაციას იღებენ, მას საბანკო ანგარიშზე წვდომის მისაღებად იყენებენ. ასეთივე სქემები მოქმედებს საკრედიტო ბარათებთან დაკავშირებითაც, ამიტომ ბარათის მონაცემები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გასცეთ.




### შანტაჟი

შანტაჟიც ასევე გავრცელებული ფორმაა. მსხვერპლი იღებს მუქარით სავსე წერილს მისი ან მისი ახლობლის გატაცებისა და მკვლელობის შესახებ, თუ გამომგზავნის ანგარიშზე გარკვეული თანხა არ გადაირიცხება. რა თქმა უნდა, ესეც აფიორაა. თუნდაც თქვენ გრძნობდეთ, რომ ვიღაცას მართლა შეუძლია მოიტაცოს თქვენი ახლობელი ან აქვს კომპრომატები, ნებისმიერ შემთხვევაში სჯობს, სამართალდამცავებს მიმართოთ.

არსებობს საპირისპირო სიტუაცია: როდესაც წერილი „გამომძიებლისგანაა“, რომელსაც თქვენზე ინფორმაცია დაკავებული დამნაშავის ჩანაწერებიდან აქვს, სინამდვილეში თაღლითებს მხოლოდ პირადი ინფორმაციის გამოძალვა სურთ.

### აფერა ქველმოქმედების სახელით

როდესაც რაიმე ტრაგედია ხდება, რომლის შედეგების შესამსუბუქებლად ქველმოქმედებაა საჭირო, ჩვეულებრივ, აქტივიზდებიან არა მხოლოდ საქველმოქმედო ფონდები, არამედ თაღლითებიც.

თუ თქვენ იღებთ წერილს, რომელშიც ქველმოქმედებას გთხოვენ, თანხის მაშინვე გადარიცხვა არ ღირს. 100 პროცენტით დარწმუნდით, რომ ასეთი ორგანიზაცია არსებობს, ეს სახსრები იმას მოხმარდება, რაც ნათქვამი იყო, და ფული მხოლოდ ამის შემდეგ გადარიცხეთ.

არაა რეკომენდებული, მიუთითოთ თქვენი პირადი ინფორმაცია, თუნდაც პასპორტის ნომერი. თუ დახმარება გინდათ, შეგიძლიათ, მიმართოთ მსხვილ საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რომლებიც გაჭირვებულებთან პირდაპირ კავშირშია.

# კატების კუნძული იაპონიაში

**კატების კუნძულის ოფიციალური სახელწოდებაა თაშიროჯიმა და მასზე გაცილებით მეტი კატა ცხოვრობს, ვიდრე ადამიანი.**

იაპონელთა რწმენით, კატის მოვლასა და გამოკვებას ადამიანისთვის სიმდიდრე და იღბალი მოაქვს.

კუნძულზე ცოტა ადამიანი ცხოვრობს — არა უმეტეს ასისა და მათი უმრავლესობის ასაკი 70 წელს აჭარბებს, ამიტომ გამორიცხული არა, რომ მალე კუნძულზე მხოლოდ კატები დარჩნენ.



ადრე აქ აბრეშუმის ჭიებს ამრავლებდნენ და კატები თაგვების გასანადგურებლად სჭირდებოდათ. შემდეგ განვითარდა მეთევზეობა — მეთევზეებს კატები ეცოდებოდათ და ახალი თევზით კვებავდნენ.

მეთევზეები კატებს დიდ პატივს სცემდნენ და მათ ქცევებსაც აკვირდებოდნენ. ხალხს სჯეროდა, რომ კატებს ამინდის წინასწარმეტყველება შეეძლოთ.



ლეგენდის თანახმად, ერთხელ, როდესაც ბადეს შლიდნენ, შემთხვევით გადმოვარდნილმა დიდმა ქვამ კატა მოკლა. მეთევზეებმა კატა დიდი პატივით დამარხეს და ძეგლიც კი დაუდგეს. მას შემდეგ კატა კუნძულზე ხელშეუხებელი არსებაა და ადგილობრივებისთვის მათი მოვლა კვლავ მტკიცე ტრადიციად რჩება.

# ცისარტყელა ვარდები

**სპეციალისტებმა გამოიყვანეს ვარდი, რომელსაც რამდენიმე ფერის ფურცლები აქვს.**

ჰოლანდიურმა კომპანიამ სხვადასხვა ფერის ფურცლიანი ვარდების გამოყვანაზე მუშაობა რამდენიმე წლის წინათ დაიწყო.

ვარდი სხვადასხვა ფერის ფურცლებით მანამდეც გამოუყვანიათ, მაგრამ ჰოლანდიელთა ექსპერიმენტების შედეგად მიღებული ვარდი იმითაა გამორჩეული, რომ მისი ფურცლების ფერი ცისარტყელას ფერების მიმდევრობითაა შეფერილი.

რადგან ვარდის ფურცლები ფესვიდან იკვებება, ექსპერიმენტის იდეაც შესაბამისად ჩამოყალიბდა: ძირი საჭირო რაოდენობის ნაწილებად გაიყო და სხვადასხვა ფერის წყალში სათითაოდ ჩაიდო. ამგვარად, სხვადასხვა ფერის საფუძველმა ფურცლებიც სხვადასხვა ფერად შეღება.

მეთოდის გამოყენება სხვა ყვავილებზეც შეიძლება, განსაკუთრებით, თუ საქმე ქრიზანთემასა და ჰორტენზიას ეხება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ მსგავსი ექსპერიმენტის ჩატარება და ყვავილების სხვადასხვა ფერად შეღებვა სახლის პირობებშიც შესაძლებელია.







ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 1965 წლის 18 მარტს, კაცობრიობის ისტორიაში პირველად, ადამიანი ღია კოსმოსში გავიდა.**

სსრკ-ის მფრინავი-კოსმონავტი ალექსეი ლეონოვი დედამიწის ორბიტაზე მოძრავი ხომალდი „ვოსხოდ-2"-დან, რომელსაც პავლე ბელიაევი მართავდა, ღია კოსმოსში გავიდა და იქ 12 წუთი და 9 წამი დაჰყო.



# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები კაცობრიობის ისტორიაში

რუბრიკა „ქრონოგრაფში" გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.



***1830 წლის 18 მარტს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვავილში დაიბადა მწერალი ᲓᲐᲜᲘᲔᲚ ᲭᲝᲜᲥᲐᲫᲔ.**

დანიელის მამა, გიორგი, მღვდელი იყო. როგორც სასულიერო პირი, ის მისიონერად გაამწესეს ოსეთში, სადაც 1846 წელს თავს დაესხა ბრბო და მოკლა.

პატარა დანიელს ზრდიდა დედა — მელანია. იაკობ გოგებაშვილი, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიაში დანიელ ჭონქაძის მოსწავლე იყო, თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ დანიელს დუშეთის მაზრაში მამისგან დატოვებული სახლი და მამული ჰქონდა, რომლითაც მწერალი გარდაცვალებამდე სარგებლობდა. ეს სახლი სოფელ ყვავილში დღესაც არსებობს.

დანიელ ჭონქაძემ თავისი ცნობილი მოთხრობა „სურამის ციხე" 1959 წელს ჟურნალ „ცისკარში" გამოაქვეყნა. „სურამის ციხის" გამოქვეყნების შემდეგ მას დიდხანს არ უცოცხლია, ჭლექით დაავადებული 1860 წელს 30 წლისა გარდაიცვალა.



*** 1926 წლის 20 მარტს ხონში დაიბადა კინორეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი ᲜᲐᲜᲐ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ.**

მისი გადაღებულია ფილმები: **„იმერული ესკიზები"; „პირველი მერცხალი"; „დიდედები და შვილიშვილები"; „ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება"; „დანაშაული მოხდა" და სხვ. როგორც მსახიობი, მონაწილეობდა ფილმებში: „უსუი"; „ბატონი ავანტურისტები"; „იმერული ესკიზები"; „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე"** და სხვ.



*** 1900 წლის 19 მარტს პარიზში დაიბადა ფრანგი ფიზიკოსი, ქიმიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ნობელიის პრემიის ლაურეატი ქიმიაში (მეუღლესთან — ირენ ჟოლიო-კიურისთან ერთად) ᲤᲠᲔᲓᲔᲠᲘᲙ ᲟᲝᲚᲘᲝ-ᲙᲘᲣᲠᲘ (ქორწინებამდე — ფრედერიკ ჟოლიო).**

ავტორია ნაშრომისა რადიოაქტიური ელემენტების სინთეზის შესახებ.

გარდაიცვალა 1958 წლის 14 აგვისტოს.



*** 1948 წლის 20 მარტს ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩოლურში დაიბადა კინორეჟისორი და მსახიობი ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲑᲐᲑᲚᲣᲐᲜᲘ.**

შესრულებული აქვს როლები ფილმებში: „ღიმილის ბიჭები" (მალხაზი); „მშობლიურო ჩემო მიწავ" (არწივის მომთვინიერებელი). სატელევიზიო ფილმში „კუკარაჩა" (მურტალო).

თეიმურაზ ბაბლუანის გადაღებულია ფილმები: „მოტაცება"; „ბეღურების გადაფრენა"; „ძმა"; „უძინართა მზე".


UNCLE TOM'S CABIN;
OR,
LIFE AMONG THE LOWLY.
BY
HARRIET BEECHER STOWE.
VOL. I.
BOSTON:
JOHN P. JEWETT & COMPANY

*** 1852 წლის 20 მარტს ამერიკელმა მწერალმა ᲰᲐᲠᲘᲔᲢ ᲑᲘᲩᲔᲠ ᲡᲢᲝᲣ (1811-1896) გამოაქვეყნა ცნობილი რომანი „ᲑᲘᲫᲘᲐ ᲗᲝᲛᲐᲡ ᲥᲝᲮᲘ", რომელიც აშშ-ში მონათმფლობელობის წინააღმდეგ იყო მიმართული.**

ითვლება, რომ ამ ნაწარმოებმა გააღვივა კონფლიქტი აფრიკელ მონებსა და მონათმფლობელებს შორის და გამოიწვია სამოქალაქო ომი აშშ-ში.



*** 1933 წლის 20 მარტს სიღნაღში დაიბადა გამოჩენილი ქართველი მწერალი, პროზაიკოსი, პოეტი და დრამატურგი ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲔ. 1998 წელს წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში.**

მუშაობდა ჟურნალებში: „ცისკარი", „მნათობი", „საბჭოთა ხელოვნება". პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1952 წელს ალმანახში „პირველი სხივი". გამოცემული აქვს ლექსებისა და პოემების კრებულები: „თიხის ფირფიტები"; „რკინის საწოლი"; „სინათლის წელიწადი"; „ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით"; „ცხრა პოემა"; „გახსოვდეს სიცოცხლე" და სხვ.

ოთარ ჭილაძის პოპულარული რომანებია: „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა"; „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან"; „რკინის თეატრი"; „მარტის მამალი"; „აველუმი"; „გოდორი".

არის ავტორი ორი პიესისა: „წათეს წითელი წაღები" და „ლაბირინთი".

ოთარ ჭილაძე გარდაიცვალა 2009 წლის 1 ოქტომბერს.



*** 1685 წლის 21 მარტს ეიზენახში დაიბადა გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორი, ვირტუოზი ორგანისტი და პედაგოგი ᲘᲝᲰᲐᲜ ᲡᲔᲑᲐᲡᲢᲘᲐᲜ ᲑᲐᲮᲘ.**

პოლიფონიის ცნობილმა ოსტატმა 1000-ზე მეტი ნაწარმოები შექმნა.




*** 1871 ᲬᲚᲘᲡ 18 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲓ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲐ.**

პარიზის კომუნა კანონზომიერი ისტორიული მოვლენა იყო, მიზეზი — ფრანგ საზოგადოებაში არსებული ღრმა სოციალური წინააღმდეგობები, რომლებიც გამწვავდა საფრანგეთისა და პრუსიის 1870-1871 წლების ომში საფრანგეთის დამარცხების შემდეგ.

ბურჟუაზიულმა მთავრობამ მიიღო მძიმე, საფრანგეთისთვის დამამცირებელი საზავო პირობები პრუსიასთან. ამის საპასუხოდ რევოლუციურმა ძალებმა შექმნეს ნაციონალური გვარდია და მთავრობას დაუპირისპირდნენ. ნაციონალურმა გვარდიამ პარიზში დაიკავა ყაზარმები, ტიპოგრაფია, რატუშა და მასზე წითელი დროშა აღმართა. შეიარაღებული ამბოხების შედეგად პროლეტარულმა ძალებმა დაამხეს ბურჟუაზიული მთავრობა და გამოაცხადეს პარიზის კომუნა, რომელმაც 1871 წლის 28 მაისამდე იარსება.



*** 1895 წლის 22 მარტს პარიზში გაიმართა კინოფილმის პირველი ჩვენება.**

ფრანგმა ძმებმა ლუი და ოგიუსტ ლუმიერებმა მეგობრების ვიწრო წრეს წარუდგინეს მოკლე ლენტი „მუშების გამოსვლა ლუმიერების ქარხნიდან". მანამდე კი ძმებმა დააპატენტეს თავიანთი გამოგონება — აპარატი „სინემატოგრაფი".

კინოს დაბადების დღედ კი მიიჩნევენ 1895 წლის 28 დეკემბერს. ამ დღეს პარიზში, კაპუცინების ბულვარზე მდებარე კაფეში, ძმებმა ლუმიერებმა ფართო საზოგადოებას წარუდგინეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მატარებლის შემოსვლა სადგურ ლა სიოტაზე".




*** 1861 წლის 17 მარტს დასრულდა იტალიის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების პროცესი.**

1860 წლის 21 ოქტომბერს ქვეყნის სამხრეთში ჩატარებული პლებისციტის შედეგების მიხედვით, სიცილია და სარდინიის სამეფო შეუერთდა პიემონტის სამეფოს, ნოემბერში კი — უმბრია და მარკე.

1861 წლის 17 მარტს კი საერთო იტალიურმა პარლამენტმა იტალიის სამეფოს შექმნის შესახებ გამოაცხადა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პიემონტის მეფე ვიქტორ ემანუელ II.

*** 1898 წლის 18 მარტს გერმანელმა ინჟინერმა ᲠᲣᲓᲝᲚᲤ ᲓᲘᲖᲔᲚᲛᲐ შექმნა შიგაწვის ძრავა, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე ძრავებს და ფართოდ იყენებენ მანქანათმშენებლობაში.**

**სასიკეთო პერიოდია საქმიანი და პირადი ურთიერთობების გასაღრმავებლად და განსამტკიცებლად. წარმატებას მიაღწევენ ვერძისა და კირჩხიბის ნიშნებით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**16 - 22 მარტის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

სასიკეთო პერიოდია ახალი ურთიერთობის დასაწყებად ან ძველის გასაღრმავებლად. თუ საქმიან პარტნიორთან დიდი ხნის უთანხმოება გაქვთ, შეძლებთ ჩიხური მდგომარეობიდან გამოსვლას.

შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელიც იდეების განხორციელებაში დაგეხმარებათ.

ნუ დაიწყებთ საყვარელ ადამიანთან ან ოჯახის წევრებთან კამათს და ისე ნუ წარმოაჩენთ, რომ თითქოს ყველაფერში მართალი ხართ. ეს კარგს არაფერს მოგიტანთ.

თუ დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო გაღიზიანდებით ან თავს შეუძლოდ იგრძნობთ, ნუ იჩქარებთ დამამშვიდებელი საშუალებების მიღებას. უმჯობესია, ბუნების წიაღში დაისვენოთ.

**დადებითი დღე: 18 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 16 მარტი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

ყურადღება გაამახვილეთ ძირითად ამოცანებზე. შეეცადეთ, ენერგია და დრო ფუჭად არ დახარჯოთ მეორეხარისხოვან საქმეებზე და ნაჩქარევი გადაწყვეტილებები არ მიიღოთ. თუ არ იზარმაცებთ და გულმოდგინედ იშრომებთ, ყველა პრობლემას გაუმკლავდებით.

კარგი პერიოდია ახალი პროექტის დასაწყებად.

საყვარელ ადამიანზე ზრუნვა დიდ სიხარულს მოგგვრით. ამით თქვენს ურთიერთობას კიდევ უფრო გააღრმავებთ.

რაციონიდან ამოიღეთ მაღალკალორიული საკვები, თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და შეეცადეთ, მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად — ეს წონის დაკლებაშიც დაგეხმარებათ და გუნებასაც გამოგიკეთებთ.

**დადებითი დღე: 22 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 16 მარტი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

პოზიტიური განწყობა შემოქმედებითი შესაძლებლობების რეალიზებაში დაგეხმარებათ. თქვენი ახალი იდეებით შეიძლება გავლენიანი ადამიანი დაინტერესდეს და მათ განხორციელებაში დაგეხმაროთ.

კარგი პერიოდია კომერციული გარიგებების დასადებად.

იმ სასწორებმა, რომლებსაც შვილები ჰყავთ, მათთან საერთო ენა უნდა გამონახონ და შეეცადონ, „მათრახისა და თაფლაკვერის“ მეთოდი არ გამოიყენონ.

მაღალია შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა, ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 17 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 20 მარტი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

მთავარი ამოცანა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება იქნება. პრობლემის გადაჭრის გზები ოჯახის წევრებთან ერთად ეძებეთ. გაითვალისწინეთ, რომ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებსა და გარიგებებში მონაწილეობა დაგაზარალებთ.

მარტოხელა თხის რქებს შეიძლება თბილი ურთიერთობა ჩამოუყალიბდეთ საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან და მის მიმართ გაჩენილი სიმპათია სიყვარულში გადაიზარდოს.

მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელს, მაღალია ტრამვირების ალბათობა, განსაკუთრებით — ფეხების.

**დადებითი დღე: 16 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 21 მარტი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

მოგიწევთ ბევრი საქმის ერთდროულად კეთება და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება. შეეცადეთ, ექსცენტრიკულად არ მოიქცეთ და საკუთარი შესაძლებლობების გათვალისწინებით დაისახოთ რეალური მიზნები.

თავი აარიდეთ ისეთ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებსაც შეუძლიათ მოთმინება დაგაკარგვინოთ.

თუ საყვარელი ადამიანი ბინის მოწყობაში ან ავეჯის შეძენაში დახმარებას გთხოვთ, უარი არ უთხრათ. თქვენი გულისხმიერება ურთიერთობას უფრო გააღრმავებს.

გადაღლილობის გამო შეიძლება დაძინების პრობლემა შეგექმნათ. საძილე საშუალების მიღებას სჯობს, ფეხით გაისეირნოთ სუფთა ჰაერზე ან წიგნი წაიკითხოთ.

**დადებითი დღე: 19 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 17 მარტი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

ის ლომები, რომელთა სამუშაოც ადამიანებთან არის დაკავშირებული, ყველა საქმეს თავს წარმატებით გაართმევენ. პრობლემის მოგვარებაში კი კოლეგები დაეხმარებიან.

კარგი პერიოდია იურიდიული დოკუმენტების გასაფორმებლად და მოლაპარაკებების გასამართავად.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ მის მიმართ უსაფუძვლო პრეტენზიებს არ გამოთქვამთ.

მარტოხელა ლომები შეიძლება შეხვდნენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს, რომელთანაც ურთიერთობის გაღრმავებას შეცდებიან.

მაღალია ტრავმირების ალბათობა. სიფრთხილე გამოიჩინეთ ელექტროხელსაწყოებით მუშაობისას.

**დადებითი დღე: 22 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 17 მარტი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

წინაღობებს, რომლებიც შეიძლება პროფესიულ საქმიანობაში შეგექმნათ, ადვილად გადალახავთ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მშვიდად იმოქმედებთ. თანამშრომლებთან ურთიერთობისას მოთოკეთ ემოციები.

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ბევრი შრომა დაგჭირდებათ.

მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ, თუმცა არც უმცროსები დაივიწყოთ. ახლა მათ თქვენი ყურადღება და მზრუნველობა ძალიან სჭირდება.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ ახლა, გაზაფხულზე, კარგი იქნება თუ ფიზიკურად მეტად დაიტვირთებით.

**დადებითი დღე: 19 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 16 მარტი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

შეიძლება შეიცვალოს თქვენი თვალსაზრისი ცხოვრებაზე და ბევრი რამ გადააფასოთ. საქმიანი შეხვედრა წარმატებით დასრულდება და მიიღებთ მხარდაჭერას იმ ადამიანებისგან, რომლებსაც შეუძლიათ, ხორცი შეასხან თქვენს იდეებს.

მეტი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანზე ზრუნვას, შეეცადეთ, ერთად მოაგვაროთ პირადი და პროფესიული პრობლემები.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და ფიზიკურად მეტად დაიტვირთეთ — შეასრულეთ სავარჯიშოები ან დღეში 5-7 კმ მაინც იარეთ ფეხით.

**დადებითი დღე: 22 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 19 მარტი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

კარგი პერიოდია ცოდნის შესაძენად. პროფესიულ სფეროში წარმატება გელით — თქვენი გულმოდგინე მუშაობა ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება და არ არის გამორიცხული, დაგაწინაურონ ან პრემიით დაგაჯილდოვონ.

ოჯახში კარგი ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შექმნა თქვენზე იქნება დამოკიდებული. მეტად იზრუნეთ შვილებზე, დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში. შესაძლოა, უძრავი ქონების გამო უთანხმოება შეგექმნათ ნათესავებთან.

მაღალია სახსრების ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 18 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 10 მარტი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

კარგად გააანალიზეთ თქვენ წინაშე მდგარი ამოცანები და განსაზღვრეთ დასახული მიზნებისკენ სავალი გზები. იმ ქალწულებმა, რომლებიც ახალ პერსპექტიულ სამუშაოს ეძებენ, სჯობს, თავი შეიკავონ ცვლილებებისგან, რადგან ყველა მცდელობა უშედეგო იქნება.

გაგიჩნდებათ სურვილი, მეტი დრო დაუთმოთ ოჯახის წევრებს და დაეხმაროთ მათ პრობლემების მოგვარებაში.

ოჯახური პრობლემების ერთობლივად მოგვარება უფრო მეტად დაგაახლოვებთ საყვარელ ადამიანთან.

მაღალია ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავება. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 19 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 17 მარტი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

თუ აქტიურად იმოქმედებთ და თქვენს თვალსაზრისსა და პოზიციებს დაიცავთ, ყველა რთულ პრობლემას მოაგვარებთ.

ყურადღებით გააანალიზეთ ინფორმაცია, რომელსაც პროფესიული საქმიანობის შესახებ მიიღებთ. მასზე დიდად იქნება დამოკიდებული კარიერაში წინსვლა.

კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან უთანხმოების მოსაგვარებლად.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა, ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 17 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 20 მარტი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

სამსახურში თავზე საყრელად გექნებათ საქმე და დროის დეფიციტის გამო ვერ შეძლებთ ადრე დაგეგმილი საინტერესო პროექტის დაწყებას, რომელიც ფინანსურად მომგებიანი ჩანს.

მიუხედავად განმარტოებისა და საკუთარ თავში ჩაღრმავების სურვილისა, გარშემო მყოფთა ყურადღებას თავიდან ვერ აიცილებთ, რადგან ბევრს დასჭირდება თქვენი დახმარება.

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სჯობს, დააბალანსოთ შემოსავლები და გასავლები, აგრეთვე, შეადგინოთ გეგმა.

მარტოხელა ქალი-თევზები გაიცნობენ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელს, რომელთანაც ურთიერთობის გაღრმავებას მოისურვებენ.

მაღალია ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 18 მარტი.**
**უარყოფითი დღე: 16 მარტი.**

# ასტანა — აზიის ახალი მარგალიტი


„ბაიტერეკი“


ასტანა

**1991 წელს, სსრკ-ის დანგრევის შემდეგ, მისგან გამოყოფილმა 15 რესპუბლიკამ დამოუკიდებლად დაიწყო სახელმწიფოს შენება — ყველამ თავისი თვალსაზრისის მიხედვით, ისე, როგორც მიაჩნდათ, რომ მართებული იყო.**


პრეზიდენტის სასახლე


ასტანა

ბალტიისპირეთის ქვეყნები — ლიტვა, ლატვია და ესტონეთი — ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების გზით წავიდნენ, თუმცა ამან ბალტიისპირელებს შვება ვერ მოუტანა — ლიტვა, ლატვია და ესტონეთი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით აუტსაიდერები არიან ევროკავშირში, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი უცხოეთში გადაიხვეწა. უკრაინაში რაც მოხდა, ყველას კარგად მოეხსენება — აშშ-ის მიერ შეგულიანებულმა პოროშენკოს მაიდნურმა ხელისუფლებამ უკრაინის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (ყირიმი და დონბასი) დაკარგა, ქვეყნის ეკონომიკა კი უმძიმეს მდგომარეობაშია.


პანორამა ხიდიდან M3

საქართველოს, რომელსაც, უკრაინის მსგავსად, ტერიტორიები აქვს დაკარგული და დღეს ე.წ. პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოების სკანდალშია გახვეული, ჯერაც ვერ გაურკვევია, საით წავიდეს, უფრო ზუსტად, ეს საქართველოს ხელისუფლებას ვერ გაურკვევია, რადგან სცილასა და ქარიბდას შორის არის მოქცეული: ხელისუფლებამ იცის, რომ მხოლოდ რუსეთთან მოლაპარაკების გზით შეიძლება ტერიტორიების დაბრუნებაზე ფიქრი, მაგრამ ამის ნებას არ აძლევს აშშ, რომელიც ფაქტობრივად მართავს ქვეყანას; არც ნატოში თუ ევროკავშირში მიღების პერსპექტივა ჩანს — ამას თვითონ ნატოსა და ევროკავშირის მაღალჩინოსნები გვეუბნებიან, მაგრამ ამ სატყუარას, ნატოსა და ევროკავშირს, უკვე 2 ათეული წელია, ცხვირწინ უფრიალებენ საქართველოს მოსახლეობას იმის შიშით, რომ არ გაიხედოს ევრაზიული ეკონომიკური კავშირისკენ, რომლის წევრებიც არიან რუსეთი, ბელარუსი, ყირგიზეთი, სომხეთი და ყაზახეთი.

ამ ქვეყნებიდან გამოირჩევა ყაზახეთი, რომელმაც, სანამ ჩვენ ნატოსა და ევროკავშირის იმედით ვცდილობთ, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, არნახულ ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია, რომელზეც მისი ახალი დედაქალაქის არქიტექტურა მეტყველებს.

ასტანა, რომელიც ყაზახეთის დედაქალაქად 1997 წელს გამოცხადდა, დაუჯერებელი სისწრაფით შენდება და ვითარდება, ერთ დროს ღარიბი ქვეყანა კი მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის მიხედვით ამჟამად მე-60 ადგილზეა მსოფლიოში — 13 236 დოლარით, საქართველოში კი, რომელიც სსრკ-ში ყველაზე მდიდარი და წარმატებული რესპუბლიკა იყო, ეს მაჩვენებელი 4 286 დოლარია.


სავაჭრო-გასართობი ცენტრი „ხან-შათირი“


## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი, ქართული ფიტოთერაპიის შემქმნელი და დამაარსებელი იური ბურდილაძე მცენარეული პრეპარატებით სრული განკურნების გარანტიით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს, როგორიცაა კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, წყლულოვანი კოლიტი, პიელონეფრიტი, ნეფრიტი, გლომელურონეფრიტი. ქრონიკული ბუასილის ყველა ფორმა, ყურებში შუილი და ხმაური, გაციებითი ასთმა, კოქსართროზი, ართროზი, ქრ. ქოლეცისტიტი. ბ–ჰეპატიტი, პროსტატა, ადენომა, შარდის ბუშტის ანთება, საკვერცხის კისტა, კისტომა, ჰაიმორიტი, მოტეხილობის ყველა ფორმა, ქრონიკული ტუბერკულოზი და სხვა.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე, მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე) თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3 (დედათა და ბავშვთა მონასტერი)**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894